


ლიტერატურული გზეუტი

№ 7 (119) 11 - 24 აპრილი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



თამრი ფხაკაძე

ბოლო გზაზე

კინომოთხრობა

ეს მოთხრობა არ არის ინდაურე-ბზე.

ეს მოთხრობა სიყვარულზეა. ეს მოთხრობა ცხოვრებისეულ თეატრზეა, სადაც ყველას აქვს თავისი მთავარი როლი და სადაც, ერთი ცუნახოთ და თეთრი გედი კი არა, არამედ შეუხედავი, სავსებით არაგრაციოზული ინდაური გამოფართხუნდება ერთხელაც სცენაზე და ისე დაუფინყრად ითამაშებს, თქვენი მონონებული! ცრემლთა დენა არ აგცდებია!

დეკემბრის ერთ თეთრ დილას მოსე ბაბუამ ჩვეულებისამებრ აღარ გაიღვიძა უთენია, ჩვეულებისამებრ არ შეუნთო ღუმელში შემას ფიჩხი და ტოლის ნაკუნა, ჩვეულებისამებრ არ მოიმარჯვა პატარა თასით სიმინდი, არ ჩადგა ფეხი ძველ ბოტებში და არ წაფრატუნდა საქათმისკენ, სადაც მის მოლოდინში ინდაურები მშვიდად ყურყუტებდნენ.

აღარ დაიძრა მეზობლებისკენ მოსე ბაბუას საკვამურიდან პატარა, შეჩვეულ ღრუბლად გახუხული პურის და შემწვარი კომპის სურნელიანი კვამლი, აღარც პანია ქოთნით ადრიანად შემოდგმული ლობიოს ოხშივარი...

საათიც გავიდა. ორიც. მოსე ბაბუას ინდაურები ბნელში უკვე აფორიაქებულად დაწრიალებდნენ და შეშფოთებულად ლაღლალებდნენ — კაცთათვის გაუგებარ ენაზე გამოთქვამდნენ შიშებს და ეჭვებს. საქათმის დამჩიულ ფიცრებს შორის შემოჭრილ მზის შუქს ალმაცერი მზერით აკვირდებოდნენ, თითქოს ცდილობდნენ ნათლის ამ პანია ნავლე-ჯებში დაენახათ ბნელით მოცული ანწყო და მომავალი.

ლობის იქით ახალგაზრდა ქალმა ჭაზე შემოდგა წყლით სავსე ვედრო, გათოშილი, განითლებული ხელები ერთ მუჭად შეკრა, რამდენჯერმე

დაიორთქლა და თქვა:

— მოხუცი არ ჩანს რაღაც. ინდაურებისთვისაც არ უჭმევია ეტყობა... ცეცხლიც არ დაუნთია...

ქმარი სახლის გადმოსათოვლად ემზადება, ნიჩაბს არჩევს იქვე, ფარულში.

— გადადი, რამე არ უჭირდეს, — ამბობს თავაუნწევლად.

— გადამყვი, მეშინია მარტოს.

— რისი, გოგო...

— არ ვიცი.

კაცი ფარდულიდან გამოდის, ცას ასცქერის, თვალს უშტერებს ჩამოგუბებულ სითეთრეს წამით, თითქოს ცოლის შეუცნობელი შიშის მთესველი იმ რაღაც უხილავის ხილვა უნდაო.

— წამო, ჰა, გადავიდეთ, — ამბობს.

მოხუცი კარს არასდროს კეტავდა არც შიგნიდან, არც გარედან.

შევიდნენ. ნახეს.

მოსე ბაბუა, ინდაურების მწყემსი, სხვა, დიდ მწყემსს გაჰყოლოდა მარადიული მინდორ-ველებისკენ...

სოფელი არითმეტიკაა. მარტივი და უტყუარი ორჯერ ორი. წავლენ, წამოვლენ მეგაპოლისები — ცათამბჯენებად წამოჭიმავენ ცხოვრებას, უმაღლესი მათემატიკის ფორმულებად გამოთვლიან, მრავალუცხოვანი განტოლებებად აქცევენ და რა? ორჯერ ორზე დგანან. სოფლის არითმეტიკაზე. საძირკველი ეგაა.

სოფელი ანბანია: ანი, ბანი, განი, დონი... მიანყდებიან, მოანყდებიან მეგაპოლისები, ტრაქტატებად დადებენ, კონსტიტუციებად განერენ, დოქტრინებად აქცევენ ცხოვრების მუქ-ჩრდილებს, ადამიანური ურთიერთობების პროზა-პოეზიას ისევ და ისევ ცათამბჯენებად აახვავებენ და ანბანზე კი დგას ყველაფერი, სოფელზე...

... სიკვდილი დიდი მისტიკაა, მაგრამ მასაც აქვს საქმიანი მხარე.

მოსე ბაბუას ეზოში ხმადაბალი, საქმიანი საუბრებია.

შემის ფარდულში შეგროვილან ქალები.

ორკესტრია. თავისი დირიჟორით. თავისი პირველი ვიოლინოთი. დოლებით და ფლეიტებით...

— თქვენ ორმა ლობიო დაარჩიეთ, გარეცხეთ და ამ ქვაბში მოხარშეთ, — თქვა დირიჟორმა. ლონიერი, ტანადი ქალია. აწყობილი, იმედიანი. დიდი ქვაბი თონეზე გადებულ ფიცარზე დადო. თბილი ყაკეტის ჯიბიდან ქალაღდის ფურცელი ამოიღო და ჩააცქერდა:

— საკმაზი იზოს მოაქვს, ნიგოზი — ლარისას, თევზზე წასული არიან კაცები, კარტოფილი სოსიკოს მოაქვს... ბრინჯი, ზეთი გვაქვს...

— ვის მოაქვს, ვისია? — აზუზუნდა რამდენიმე ვიოლონჩელო.

— მე მომაქვს, — ქალმა წამით ასწია თავი და ისევ ფურცელს ჩააცქერდა, — ყველს ყველანი ჩამოვალთ თითო წველას ძროხიანები. ნადულსაც. ღვინის ამბავი კაცებმა იციან. ცოტა თვითონაც დარჩენია ცხონებულს და დათუნამ, ჩემსას დავემაცებო მგონი... ჰო. კიდევ რა მჭადს რას ვშვრებთ?

— მე და ლალი დავაცხოვთ, — ჩინჩლიანი ხმით ამბობს ფლეიტა, — ჩვენი იყოს ფქვილიც და დაცხოვაც.

— კარგი ძალიან, — ქალმა ჯიბიდან პასტა ამოიღო და რაღაც ჩანძინა ფურცელზე, მჭადის ამბავი ალბათ, — პურის ფქვილს ყველანი ჩამოვალთ თითო კილოს და ომარი ჩააცხოვს ფურნეში, გაახარებს ღმერთი.

ახმიანდა ორკესტრი ცოტა ხანს. მერე ჩაჩუმდა ისევ.

— ლიმონათების ფულია დასადები და ეგაა.

— რა უყვარდა საწყალს! — ომახიანად ჩაჰბერა ვალტორნამ, — ყოველ მერე დღეს ყიდულობდა ჩემთან. მსხალს უფრო. მსხლის ვიყიდოთ ახლაც, რა არი!

— სუფრებს, ჭურჭელს შენ და ნათიამ მიხედეთ, — დირიჟორი მარჯვნივ იქნევს ჯოხს, ორი ფაქიზი ვიოლინოსკენ, — წკრიალებდეს ყველაფერი.

— ნამცხვარს მე დავაცხოვთ, — ოდნავ ყრუდ დაამღერა არფამ, — ქალებს.

— გაიხარე, სალომე, გაიხარე! ღმერთი შეგვეწვევა, ქალებო, არაფერი დავიზაროთ, მადლია!

ნაზად, შეწყობილად ახმიანდა ორკესტრი. მელოდია სევდიანი და ოდნავ პათეტიურია. ნუხან, ჩივიან საკრავები, კვნესიან...

ნაგუნდავები ბავშვები შემოგროვდნენ ეზოში, ლოყებდნითლებული, დათოშილ-გახურებულები ერთდროულად. ორიოდ წუთით მოთოკილი, დამორჩილებული ხალისი და მხიარულება მაინც უსხლტებათ ტურის კუთხეებში, თვალბეჭე, აცმუკებულ ხელ-ფეხში...

აირია ორკესტრი, გაიფანტა სევდიანი მელოდია. დაფაცურდნენ

ქალები:

— კისერში გაყრია თოვლი, ბიჭო, რას ჰგავხარ!

— დედა, ჩემი სიკვდილი! გაყინული გაქვს ლოყები სულ, სახლში გაიქეცი, დედიკო!

— ქუდი რატომ არ გახურავს, შვილო!

— სად იყავი, გოგო, მოგკლავს ბეზიაშენი!

სიცოცხლე კოცონად აგუზგუზდა ერთბაშად სიკვდილის ნაფეხურებზე, თითქოს მინავლულ ცეცხლს ნავთი მიასხეს...

...

კაცები მარანში შეგროვებულან. იაფფასიანი სიგარეტის მყარალი კვამლი ერევა თოვლის სუსხიან სურნელს.

ასწლოვანი საწნახლის თავზე არყიანი ბოთლი დგას, თონის პური დევს — ნახატია. თლილი მინის პატარა ჭიქები უჭირავთ ხელში.

— აცხონოს გამჩენმა ღმერთმა, — ამბობს ერთი, ცოტა ხანს ფიქრიანად დასცქერის ჭიქას და გადაჰკრავს.

— აცხონოს, ნათელში ამყოფოს, — გადაჰკრავს სხვებმაც.

თოვამ იმატა. ჭის გვერდით მიმჯდარი შავი ძაღლი წამოდგა, დაფიქქული ბენვი შეიფერთხა და ფარდულში შემოილაღა, საწნახლის ქვეშ შეიყუჟა, თავი წინა თათებს დაადო და კაცებს ამოხედა. აწყლიანებულ თვალბეჭეში მსოფლიო სევდა ედგა.

— ვისია? — იკითხა ერთმა.

— ჩემი, — თქვა მეორემ, — ასე დამდევს საცა წავალ.

— ჩემი ქალზეა შეჩვეული, დაყვება ფეხდაფეხ, — მესამემ.

— თვითონ შეუჩენდი, რო ვიცი შენი ამბავი, — მეოთხემ.

ხმადაბლა ჩაიხვიხვიანეს, აფრუტუნდნენ.

— ჰე, საქმეს მივხედოთ, საქმეს, — პირველმა, — ქვეყანა საქმეა!

— რაღა საქმეა ამდენი, შე კაცო! მტერი და ავი, საფლავი, სასახლე, მოგვარებულია ყველაფერი. ზურია და კოტიკო თევზზე არიან წასული და ეგაა, ქალები კი აკეთებენ თავისას.

— ამას უყურე! ბიჭო, მაგიდები და სკამები გადმოსატანია, ბრეზენტი გადასაჭიმი, დენი გადმოსაყვანი...

— ეგ კიი...

— აბა, ცხონებულის გაცოცხლება არ დაუვალეზია ჩვენთვის არავის...

— ჰე, ერთი ცვთქვათ და...

ჩამოაწკრიალეს ერთი ცაჭა:

— შეგვენიოს, ჯანი მოგვეცეს, გაძღობა.

გადაჰკრეს. ნაიტეხეს თონის პურის ლუკმა. ხელები, ცხვირები დასწითლებიათ, ფეხს ინაცვლებენ მალიმალ.

სულ აქვე, სულ ახლახანს ჩავლილი სიკვდილის ნაკვალევს თოვლი გამალებით ფარავს, ფაფუკი, ბრჭყვიალა თოვლი — ლამაზი, მსუბუქი ნუგეში და თავის მოტყუება...



თუ ჭირდება შეუნიღბავი სიმართლე მკითხველს? დავაზუსტებ: საზოგადოების ნაწილს, ვინც მკითხველად ჯერაც ვერ შედგა. თორემ მკითხველად ამის ახსნა არ გჭირდება. ეს უსიტყვო შეთანხმებაა, დავაკვირდი, ახსნას არასდროს ჰქონია აზრი. ვამბობ: რამდენად ჭირდება-მეთქი სიმართლე იმ შეუვალ -ზოგადობას, აზროვნებაში ჩაკერული სტერეოტიპით, ვისთვისაც ლიტერატურა მხოლოდ ფრაგმენტია საკუთარი გამხელილი ნაკლისა, სარკეებიანი დარბაზი, თვალშისაცემი. მხილება სხვის ეზოსკენ მომზირალის, ვისაც ნაგავი გაუტანელი დარჩენია საკუთარი ეზოდან, ვინც, საგულდაგულად მაღავეს. რისი ტკბილსურნელებაც თავს - ბრუსგახვევს. შეგახსენებს. თუ ამ დალოცვილ (სტერეო)ტიპს სასახლეში სტუმრად ეწვევი.

აი, მკითხველმა, რა თქმა უნდა, ზუსტად იცის, რომ მე „პირთან საქმე არა მაქვს“, როგორც ჩემს უკვდავ ნინამორბედებს.

ვთქვი, -მეთქი: ჩემთვის შემოქმედთან სახლს ვერ ვეროვნი საზღვრები — არა, კუთვნილებების გრძობა განსაზღვრავს. ის ჩემია, ან არ არის ჩემი. სხვანაირად, ვთქვათ, ეროვნული, რელიგიური, გეო-პოლიტიკური ნიშნით რომ შეგვერჩია, მეტისმეტად ვინრო არეალს მივიღებდით. რადგან მათი უმეტესობა, ჩემიანების, სხვა არეალში მოხვედებოდა. მათ შორის როცა ეს ბედნიერი შემთხვევაა, ბუნებრივია, ლაპარაკი მასზე არაეთიკურია. გაეჭმდები.

ლიტერატურის კრიტიკა ზოგად, ჰუმანიტარულ სფეროდ რაკი მოიაზრება, ეს თავისთავად გულისხმობს: აქ ვერ იქნები (თავ)დაჯერებული. ვერასოდეს მიუსადაგებ რამე მიჩნეულ ფორმულირებას. მით უფრო, თუ ისეთ მრავალმხრივ, ამოუწურავ მწერალს ეხება, როგორც ოთარ ჭილაძეა. ამიტომ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ერთადერთი, პირობითად სწორი, კუთხე, მხოლოდ ჩემი ხედვის კუთხეა. მხოლოდ ჩემი პოზი-

ცია — ტექსტის აზრობრივ და ემოციურ მხარეებთან მიმართებაში. ეს არ იქნება ხელალებით კარგი ან ცუდი. არამედ უფრო: არსებული.

ოთარ ჭილაძე არ არის ის მწერალი, ვისაც თვალის ერთგადავლებით გადაიკითხავ. არა, მე სიმარტივის გენიალობას კი არ ვაკინებ, როცა ნიჭთან მისი ნაზავი მართლაც საოცარ საგანს ქმნის. ვთქვათ, ფიროსმანის ან ვაჟას შვლის ნუკრს. ეს სინათლის სულ სხვა მხარეა. მაგრამ როცა საქმე მკითხველის შრომას ეხება, აქ ეს თვისება უნდა გაგაჩნდეს. სამაგიეროდ, მე მომწონს მისი გაუწყვეტელი აზრის ჯაჭვები მოულოდნელი გაუთვლელიობით, რაც, ღმერთმა იცის, სად მიგიყვანს, თუ ფხვდაფხვ მიყვები მის თან-მიმდევრობას: მისეულ ალიტერაციებს, ომონიმურ შესატყვისებს, მკაცრი პროზისთვის უცნაურად, პოეტურად შეუსაბამოს; რთულ სინტაქსურ ფორმებს შინით დამოკიდებულებებს თუ გულითადად ჩაუღრმავებები, ყველა სარკმელს ზერეულად თვალს კი არ მოკრავ მხოლოდ, — მიეახლები, გადახედავ. ეს ისეთი დამაბნეველი ემოციაა, რაც მკითხველს თუ შეგიპყრობს, როცა სწორედ, აი, ამ წიგნს მიაგნებ, რასაც ეძებდი.

ეს რომანი არის „გოდორი“, ალგორითულ-გროტესკული ზოგადი კრიტიკრიუმე-დარეჯან სუმბაძე

„ერთადერთი მშობლიური სახლი“

შთაბეჭდილება ოთარ ჭილაძის რომანზე „გოდორი“

ბით. თუმცა ასეთი დაკონკრეტებაც პირობითია. სათაური, მეტაფორული შესატყვისი, სამწუხაროა, რომ „ერთადერთ მშობლიურ სახლს“ გულისხმობს, რაც ბავშვობის ადგილის და დროის კონკრეტულ მოცემულობას ესატყვისება. ვინმესთვის რაც შეიძლება ყოფილიყო, მაგალითად, ზღაპარი, წიგნი. მაგრამ მათვარი პერსონაჟისთვის (რომლის გენეალოგიური შტო ჩვენ თვალწინ თითქმის საუკუნის მონაკვეთს მოიცავს) ის იქცევა მეტაფორულად განზოგადებულ საერთო სახედ. და თუმცა მის შთამომავლებს თანდათან მეტად სრულყოფილ ტექნოლოგიურ დროებში მოუწევთ არსებობა, მიუხედავად ამისა, ის დარჩება მათთვის მუდმივად „ერთადერთი მშობლიური სახლის“ ალგორითად. ეს საუბრელი გენეტიკური ნიშანია.

მეტყველების ეფექტისტურობა, რაც უმეტესად ქვემდებარის შემთხვევაში ნაცვალსახელის მიერ სხვა სახელადი ნაწილის ჩანაცვლებით გამოიხატება, ქმნის სტილურ თავისებურებას: სამსჯელო თემის განზოგადებას. თითქოს სადაც გეკარგება ქვემდებარე, მაგრამ ამბავს „შესწევს უნარი“ მიესადაგოს, გაპიროვნდეს შენეულ შთაბეჭდილებებთან. აქ ამ ტიპის იმპროვიზაცია ბუნებრივია. ეს მწერლის საშუალებაა, ასცდეს ვინრო კონკრეტულ და სიტუაციურ მინიშნებას, იქცეს მეტად მრავლისმომცველად. ხოლო მრავალსიტყვაობა მასთან, როგორც ფოლკნერთან, როგორც მარკესთან, არ გულისხმობს მეტყველების სიჭარბეს, როგორც სტილურ ნაკლს. ეს არის მწერლის უნართაგანი, რაც რუსთაველის გაგებითაც, გამორჩეულ შემოქმედებს ხელეწიფებათ.

ლიტერატურული ავანტიურა, რაც თემატური თვალსაზრისით ევროპულ რომანს წარმოშობის პირველივე საფეხურზე ახასიათებს, აქ აშკარაა: ზერეალიზმის საბურველით, წარმოსახვისა და ჰალუციაციების ქვეცნობიერი ნიაღვრებით. სიზმარ-ცხადის, მკვდარ-ცოცხლის, დროის და ადგილის გაურკვეველი მოცემულობით. „გოდორი“ სიურრეალისტიკური რომანია. თვალწინ იშლება, ყალიბდება, ინგრევა და მეორდება სინამდვილე, ყოფის მრავალფეროვნებით, სიუჟეტებით, პერსონაჟთა მეტყველების დიფერენცირებული, მრავალმხიანი მოცემულობით. ეს აჩენს ნდობას მწერლის მიმართ, ხდება დამაჯერებლობის საფუძველი, საიდანაც მკითხველს გიჭირს თავის დაღწევა კარგახანს. ეს არაფრით გავს დამამბეჭებელ ემოციას, არამედ უფრო — დამაფიქრებელს, შემამოფრთხელს, და რაოდენ აბსურდულადაც არ უნდა ჟღერდეს, სამადლობელსაც. არა მარტო ღმერთის, არამედ — გარენარი კამელისაც, როგორც

მაპროვოცირებლის, ან: გამალიზიანების, „რომლის გარეშე მარგალიტი არ იბადება არც ბუნებაში, არც ლაბორატორიაში“. ხოლო ქალაქად გადატანა ეტაპია ამის შემდგომად, ოღონდ სწრაფად და სრულად, რისთვისაც ორი რამაა საჭირო მხოლოდ: ცოცხლად დარჩენა და შეჩვეული წესრიგის ხელშეუხებლობა, რომ თავიდან ავიცილოთ მკვეთრი იმედგაცრუება იმ ლუდოვიკო ბოლონიელით, რომელსაც „საქართველო თავის ადგილზე აღარ დაუხვდა“, ანუ, ნაცნობი საქართველო — რაინდული, კეთილშობილი. მაგრამ ამოდ როდი უვლია. ის იწყებს ამბავს, რაც ჩვენ თვალწინ მითოლოგიურ ამბად უნდა იქცეს, რომ მეგრე, რწმენის სფეროდ რეალობაში გადმოსული არცთუ საოცარ ამბად დაბრუნდეს. იმ ამბად, რაც თავს გვეხვევა, ავსებს ჩვენს ყოფას, მოჩანს ხშირად გაუსაძლისად. ეს კულტურული კოდი, ნაცნობი გამოცდილება, მკითხველს ქმედით მონაწილედ აქცევს ამ ამბის, რაც მიზეზი ხდება ჩემ მიერ ზემოთ ნათქვამი ფორიაქისა, საიდანაც მკითხველს გიჭირს თავის დაღწევა მშვიდად, ვიდრე თვალწინ ლეგენდა ყოფით ამბად გადაიქცევა, დესპანი — შემოიღო პაციენტად (თუ, მით უფრო, პაციენტის მორიგ ჩვენებად). ეს მწერლის ყოვლისშემძლეობა ანალოგია პროცესისა: კლასიკა

უნდა იქცეს მოდერნად; რაინდი — ქარს მიდევნებულად, ანუ პოეტად; ფასეულობა — გადაფასდეს.

ეს წიგნია, რაც აღწერს უკვე მომხდარს. უკვე ჯერაც მოსახდენს, რამაც ეს-ესაა ვმონაწილეობთ. რაც დამაბნეველ რეალობად გვეხვევა ირგვლივ. რასაც შემოქმედით თვალს სულ მცირე ერთი თაობით ადრე მანაც ხედავს, რაც აშკარაა. ამ პატარა სატრანზიტო ქვეყანაში, რომლის სტატუსსაც უცხოურ სახლებსა და სასახლეებში ადგენენ დიდი ქვეყნების წინამძღოლები და კარნახით შედგენილი დეპუტის ტექსტად უგზავნიან: „რომი კეისრის მოლოდინშია“, რომ სამადლობელ პასუხად უკან დაუბრუნდეთ: „თბილისის თავზე (შესაბამისად, რომის) ფერის დროშა ფრიალებს“.

კარგია, ცოტა არ იყოს, სახარბილო რამედ როცა იქცევა, როცა სიკვდილის პირას მყოფი ქვეყნის მიმართ აშკარა პატრიოტულ გრძობას აღვივებს. აი, იმ გრძობას, რომელიც მეგრე ემიგრაციაში, სამშობლოდან სიმორცხე, უცხო ქვეყნის ზეცამ უნდა დანამოს და გამოაცოცხლოს. რომელზეც მეტად დამაჯერებელია თუ ნოსტალგიის საბურველიდან ილაპარაკებ: როგორ გიყვარს შენი სამშობლო, რა უზადო პატრიოტი ხარ.

მაგრამ მანამდე ქვეყანა უნდა დაინგრეს და გადაკეთდეს სხვა რესპუბლიკად „განუსაზღვრელი ვადით“ და „ჯიბიდან გაკარდნილ მანანალებს, ბაზრის თაღლითებს, სადგურის ჯიბიერებს, გენეტიკურ ლოთებსა და მკვლევებს ბაზრის მოედანსა თუ სადგურის პლათფორმაზე სახელდახელოდ გამართული ტრიბუნლიდან“ შემართებით მოეწოდოს: „ვისაც ტანინიანი ღვინო და ხალიანი ქალები გიყვართ, უკეთეს ადგილს ვერ იპოვით ქვეყანაზე“ და სათავე დაელოს აქვე გოდორის კაცის „სისხლიანი დინასტიის წელთაღრიცხვას“, კამელისა თუ ჯუღაშვილის სიბერეში ზრდილობიან დედა კეკეთა შემთხვევითი ნაშვილების კაცთმოძულე მოღვაწეობას. ოღონდ მანამდე ბავშვმა ის უნდა ნახოს, რაც მას უნდა ენახა გოდორის მიღმადან, მისი უდაო, „ერთადერთი მშობლიური გარემოდან“, „ერთადერთი მშობლიური სახლიდან“, „თუკი რასაკვირველია საერთოდ გააჩნდა ამგვარი გრძობა, თუნდაც გოდორის მიმართ. თუმცა, როგორც თვითონ ამბობდა, არაფერი მონატრებია ისე, როგორც გოდორში გატარებული დრო“.

განსხვავებით დიოგენე სინოპელისგან, ის სისტემური წესრიგის მონაწილედგეკი არ ყოფილა, ან არქეტიპულ საწყისებს კი არ მიეღწეოდა, არა, ბედის თუ შემთხვევის წყალობით გახდა გოდორის მკვიდრი, რომელშიც მზეც ისე აღწევდა, როგორც ჩრდილი. და რომლიდან დანახული ფრაგ-

მენტები, ბავშვობის შთაბეჭდილებები, რაც მთლიანად კინძავდა მის ერთგვარ ბავშვობას, არცთუ სახარბილო ჩანდა. თუმცა ამას არ შეუშლია ხელი ისიც გამხდარიყო იმ მსოფლიოს მოქალაქე, რასაც მუდამ ქმნიან ისინი. შესაბამისი იმ მსოფლიოსი, რაც, როგორც ერთგვარ გაფრთხილებად, აკრძალვად, ხმად, ყველა სულიერს უნდა ესმოდეს, რომ აღარასდროს განმეორდეს.

ეს სხვა ხილვაა. მისი მჭკრეტელი კონკრეტული სუბიექტია, შემგრძნობია და აღმომჩნია, მიღები გარე სინამდვილის, რასაც ის სწორედ იმ კრიტიკრიუმებით იღებს და აფასებს, რაც მასშია ჩადებული წინაპირობად, გენეტიკად, აღზრდად, მოცემულ სინამდვილედ.

სინამდვილე კი ამაზრზენად საშინელია: ბინძურია. ლოგიკური სათავე რაჟდენ კაშელის ნთქმის და განაგებების ბრმად, ალაღებდზე მოხობილედ ოდისეისას საკუთარი უმდაბლესობის მწვერვალისაკენ. სადაც დრო, სივრცე, ნიადაგი, ხელისშემწყობი, წამახალისებელ ფაქტორებად იქცევენ თავებს.

ბავშვობა მნიშვნელოვანი ნაკრძალია, რაც შემდგომი ქმედითი კოდების სიმბოლურ გასაღებებს ინახავს. ტოლსტოი ხუთ წლამდე დროს მეტად ხანგრძლივად, ფუნდამენტურად მიიჩნევდა, ვიდრე დანარჩენს — ხუთი წლიდან ღრმა სიბერებდე. ბავშვობის ეგოს ანალიზს ეყრდნობა ფროიდის მეთოდი, ვინც აზროვნებითი ინდივიდუალობის საფუძვლად არა ფიზიოლოგიურ, არამედ ფსიქოლოგიურ განცდათა ფენომენებს მიიჩნევდა.

გოდორის კაცის მითის ცხოველმყოფელობა უნდა განსაზღვროს უმსგავსო თავისებურებამ, რაც კამელისის ყველა თაობის ერთგვარი გამეორებაა. ეს, საუკუნის ჯაჭვის რგოლები, მხოლოდ დროის კუთხით დახრილნი ერთმანეთის მიმართ, საერთოდ, ერთმანეთის სრულ ანალოგებს წარმოადგენენ. საუკუნე არაფერს ცვლის საკუთარი თავის გარდა. ის წარმოგვიდგენს რაჟდენ კაშელს ახალ-ახალ ეპოქალურ ნიადაგებზე. ზე-სასიცოცხლო უნარი მათი ადაპტირების უნარია. ეს შემდეგი და მსგავსი რგოლი რაჟდენის და მისი ცოლის, მასავეთ თავზე ხელაღების კაზაკი კლავას ნაშეირია. „რაც თავი ახსოვს“, იმ ხილვების დემონსტრირებას ახდენს მთელი, და შემდგომი ცხოვრებისას. გენეტიკური და აღზრდითი კოდი რეალიზდება დროის ახალ მოცემულობად. ქემმარინტი ბოლშევიკისთვის, მისთვის „უბრალოდ სულ ერთი იყო, ვის სისხლს დაღვრიდა. რადგან ამქვეყნად ყველაზე ძალიან სიკვდილის შიშით წამხდარი ადამიანის ცქერა უყვარდა და ადამიანის სისხლი სწყუროდა განუსყვეტელი“. ღრმა ბავშვობიდან, როცა ნახევრად მძინარს მამა მის მიერ დახოცილი გვამებით სავსე მანქანის ძარაზე სვამდა, „ასე ვთქვათ, გამოსანრობად“, „ნერვების გასაკაჟებელი“, „გვამის შიშის დასაძლევად“. მასაც კი არ ეშინოდა, მოსწონდა კიდევ ამაზრზენად სახეგაფითრებულ გვამებზე ხტუნვა და ფეხქვეშ თითქმის შედეგებული სისხლის ტბორში ჭყაპაჭყუპი, რაც სახეს „ნახად, სასიამოვნოდ უწინსვლავდა“.

თავისებური მორალური სახის უწყვეტობა, რაც ახალი სიცოცხლის უნარს ავლენს ყოველ შემდგომ ნიადაგზე, ერთგვარი მითის საბურველი იმოსება და საკუთარ რიტუალურ შინაარსს მხოლოდ ახალ-ახალი, გენეტიკურად და არსებითად მონათესავე, პერსონაჟებით იმეორებს.

ქალებიც შესაბამისი ღირსეულობით ავსებენ გოდორის დინასტიის მოზაიკურ სივრცეებს: კლავა, ქეთუსია, ფეფე, ლიზიკო.

კენინა ქეთუსია მიხილ ჯავახიშვილის მარგოს მონათესავე სახეა. არისტოკრატი, მოხდენილი, ფერმკრთალი, დახვეწილი. მისი ბედის დამსხვრეული მინანქარი კიდევ ერთხელ ქმნის ანალოგს წინამორბედის დაუფინყარ პერსონაჟთან. ის ლოგიკური სამსხვერპლე თუ სამიზნეა მასზე მონადირე ბედისთვის. ჯაყო ჯიჯაშვილის ანალოგი, ანტონ კამელი, მშვენიერი ქეთუსიას გარდასული ბედნიერების ნასახლარზე აგებს საკუთარი მომავლის კოშკს. მისი ხელით იხოცებთან მის მიერვე „ხალხის მტრებად“ შერაცხული მამა და ქმარი ამ ქალისა. ნათავადარი მამამისი ხელჩაქნეული დასცინის და ამბობს: „როცა შენისთანა ნაბიჭვრები დაეპატრონებინ ქვეყანას, თავმოყვარე კაცს იქ ნამდვილად აღარ დაედგომებო“. სამაგიეროდ ქმარი, უცხოეთში განსწავლული ვეპილი სიკვდი-

ლის წინ ენინალმდეგება ჯალათს, ვინც მიზნისკენ მიმავალ გზაზე ამართლებს ყველა საშუალებას: მოგვიანებით რომ ეახლოს ქალს და ხელის თხოვნამდე უგულვრფელად უტიფრობით აღუნეროს მისი ორი ახლობელი ადამიანის უკანასკნელი მძიმე წუთები. და ეს იმ ქალს, ვისი გონებაც წარმოსახული გზის უმცირეს ნაგლეჯს ეყრდნობა. დანარჩენი ყველა გზა და არჩევანი სულ ერთია, ამ წუთის მერე რომელ მხარეს გაგრძელდება. თვალს გაუხსნორებს ნაგანის ლულის სივარდილეს. უხანგრძლივესი მკვლელობის აქტს, თვითმკვლელობას. ცხოვრების ცირკის ყველა ნომერზე საინტერესოს. ის სამიზნედ ყოფნას ვერასგზით ასცდება უკვე. არც შეცდება. ეს ცხოვრების ლოგიკური ეტაპია — სუფთა სისხლის გაქარწყლება, გაზვევა გოდრის მოდგმის გენეტიკასთან, (ხელ)ახალი რაჟდენი კაშელის დასაბადებლად. ეს გროტესკული პასაჟები, თუ განცდითი კონტრასტების მონაცვლეობა, მკითხველს უქმნის განწყობის ისეთ ემოციურ კულმინაციას, რომლის იქით გაუთვლელია წარმოდგენა: სხვა მეტი რაღა უნდა მოხდეს! რაც ხდება, რაც ასე მსგავსია სინამდვილის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. არისტოკრატი ქეთუსიას უპროტესტო არსებობა დამონების, შეურაცხყოფის წინააღმდეგ, ბუნებაში არსებული გარკვეული სახეობის გადასარჩენად სისხლის გადასხმა, „გოდრის მოდგმის“ ცხოველისთვის სულის დათმობა, არსებითად ეს ასეც იყო. ხოლო მოდგმის პატრიარქი, „უკვე ბიუსტად გარდაქმნილი“ დგას მშობლიურ სოფელში, როგორც უკიდურესი ემოციების სამიზნე და კვარცხლბეკიდან ბოლშევიკური მოთმინებით იტანს დედის გინებასაც; ნერწყვით დამბალი, შუბლზე მიჭყლეტილი მხრჩოლავი ნამწვის სიმწარესაც დრომდე, ვიდრე კვარცხლბეკიდან ძალაყინით გადმოაგდებენ.

„მაგრამ რაჟდენი კაშელი პიროვნება კი არა სისტემაა, გნებათ, ზღაპრული დევის თავი — რამდენჯერაც არ უნდა მოკვეთო, მაინც ამოვა, ზუსტად ისეთივე და თანაც ახალი“.

აქ მითი ახალ ცხოვრებას იწყებს: რეალობაში სახლდება, ჩვენს გაურკვეველ რეალობაში. რაჟდენი კაშელი, მოხერხებული რეპტილია, ქამელეონის ადაპტირების მკვეთრი უნარით, მოცემულობის ყველა ხელახალ ნიადაგზე ახერხებს შექმნას შესაბამისი მყარლი ეკო-მდგომარეობა. ის მოდერნისტული ადაპტირების მაღალ უნარს ფლობს: „სხვათაშორის, საკუთარი რძლის დამორჩილება და საკუთარი დედაქალაქის აღება, თავისი სიმძაფრითა და მნიშვნელობით, ერთმანეთის ტოლფას მოვლენად აღინიშნება ალბათ კაშელების საგვარეულო მატინანეში და ყველაზე ნათლად დაადასტურებს პაპისა და შვილიშვილის სულიერსა და ხორციელ ერთიანობას, ერთნაირობას... აღინიშნება ისიც, პაპა და შვილიშვილი, მართალია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით, მაგრამ ერთნაირი სულისკვეთებით აღგზნებულნი და ერთი ჟინით შეპყრობილნი რომ მიისწრაფოდნენ თბილისისკენ: დასაპყრობად, დასარბევად, დასამორჩილებლად...“


მას უნარი აქვს ყველაზე ძნელად საარსებო რეალობაში მყარად დასახლდეს, გაიდგას ფესვი, განეწვოს და კეთილშობილის მშვიდი პოზით შეურაცხყოფს ყველაზე სუფთა, რასაც დღემდე ხელის გულზე ელოლიავე: ოჯახი, რწმენა, ახლობლები. ეს გოდრის მითიდან რეალობაში ასახული რიტუალია. რაჟდენი კაშელი ყველგან არის. ის ავსებს ყოველდღიურობას, ჩვენს ყოფნას, ჩვენს არსებობას. კეთილშობილის ხელგამონვდით ის ყველაფერს აუნმინდურებს. ის, ახალი რაჟდენი კაშელი, მხოლოდ თქვენს მორიგ მხარდაჭერას, აპლოდისმენტებს ელოდება.

იქნებ მიხილ ჯავახიშვილი ზემოთ შემთხვევით ან უცაბედად გაგვახსენდა. იქნებ სიტყვამაც მოიტანა, „თითქოს რაჟდენი კაშელის მამა, უფროსი ანტონ კაშელი, დანა-ჩანგლით მიირთმევდა, ვთქვათ, მიხილ ჯავახიშვილისა თუ ტიცინ ტაბიძის ხორცს...“ ღმერთო ჩემო, აშკარაა, მხოლოდ სიტყვამ თუ მოიტანა მოდგმა, რომელიც ამ შთამბეჭდავ ალეგორიულ სიმბოლიკას თავს ვერ დააღწევს. ამ მდაბიო არსებობისთვის სულად ყოფნა მეტისმეტად სანუკვარი სულის მდგომარეობა იქნებოდა. რა თქმა უნდა, ის ვერ შეძლებს გადალახოს ჭურად ყოფნის მდგომარეობა. მისი მოდგმა გოდრის გარსიდან ვერ გამოვა. საფიქრალს კაცი -ჭამიობის საუკუნე კი არა, მთელი მარტოობის ასი

წელი აღარ ეყოფა. ფსიქოლოგიური დრამის ფონზე, სადაც ვნება მოიცავს და ეუფლება ადამიანური შესაძლებლობის ყველა მისაწვდომ სფეროს, ლოგიკურია, ჩნდებოდეს კითხვა, დარჩენი კი სადმე ეთიკური იდეალები? არა აზრის პათეტიკური დატვირთვით. არა. ეს აზრია, რასაც მწერალი პერსონაჟი გაახმოვანებს ამ ფონზე, როგორც გაფრთხილებას, შეხსენებას, რომ ჯერ კიდევ რჩება რაღაც საიმედო, დაუკარგავი. ელიზბარი, ლიზიკოს მამა, იმ ტიპის კაცია, როგორც მუდამ ღიმილს მოგვრის ყველა თაობის მონსტრს, რაჟდენ კაშელს, მისი არამატერიალური ფასეულობების და მიდგომების გამო. „გენეტიკური ანტიპოდი კაშელებისა“, როგორც თავად აცნობიერებს საკუთარ ყოფნას, ის ერთგვარად არამყარად მოჩანს ამ ფონზე. ელიზბარი მწერალია. შეეკეტოდა საკუთარ სახლში, „ნიჟარაში“, „მეორე სინამდვილეში“ და

ლი ვერსია თამაშდება. აქ, ერთი მხრივ, ყამარი (ლიზიკო) „ძველი ქართული ტექსტების მიხედვით კი არ მოქმედებს“ (რაც, „ცოტა არ იყოს გულსაც ტკენს მწერალს“)... და, მეორე მხრივ, ყამარის მამისა და ამირანის (ან ღმერთისა და იაკობის) შერკინების პაროდია თამაშდება, სადაც ხალხმრავალ არენაზე ელიზბარის შუბით (უღვთოდ) დაჭრილი, ტახად ქცეული რაჟდენი, მარადიული დებილი და ხეიბარი, „გამწარებული სამ ფეხზე ურბენს მოედანს“ და ბოლმინი შურისგებით ემუქრება მწერალს.

მწერლისთვის კი, ვინც სამყაროს კრებს საკუთარ თავში, ვინც „ნებისმიერ წერაკითხვის მცოდნე ადამიანში ეძებს თავყვანი მცემელს“, ნათელია, „ყველაფერი შეიძლება ჰქონდეს საერთო კაშელებთან — ოჯახიც, მინა-წყალიც, ჰაერიც, სისხლიც კი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სიმართლე“. არადა მხოლოდ სიმართლეა საერ-



წერს ცხოვრებას კაშელების გამოუვალ საფიქრალბზე. „რა აზრი აქვს ადამიანურ სისუსტეთა აღწერას, თუკი არავითარი ზღვარი აღარ არსებობს დასაშვებსა და შეუძლებელს შორის... თუკი ადამიანი კი არ ენირება საკუთარ ვნებებს, მისი ვნებები აღარ არიან ადამიანური... ამდენად არც თანაგრძობას იმსახურებენ... არც აღტაცებას იწვევენ, არც სიხარულს...“ თავისებური გაორება, ანუ „მეორე სინამდვილის შესაძლებლობა“, წერის უნარი, ერთგვარ გამოსავლად ქცეულა მისთვის გარემოში, სადაც ყველა მოცემულობით გადარჩენის ნიშან-სივი არ უნდა ჩანდეს. მისი ცხადიც იმ აბსურდულ-ირონიულ სიზმრებს აგრძელებს, სადაც ნებით თუ უნებლიედ თავს აფარებს გამოუვალი რეალობისგან. რომანში კი ასეთი სიზმარი სულ ორია: მშვიდობის და ომის. თავისთავად, ომის მდგომარეობა სიზმართან მიახლოვებულ აზროვნებით განზომილებას რაკი გულსისხრობს, პერსონაჟის მონოლოგი საკუთარ თავთან ბუნებრივ სასიცოცხლო ნიადაგზე წარმოჩინდება. როგორც სიზმარში, ახსნილია გამაფრებელი ქვეცნობიერი ხილვები ერთგვარ აბსურდებად. სადღაც მუდამ ჩანს საიმედო გამოსავალი. ოდესმე ყველა ომის ბოლო მშვიდობაა.

რაც შეეხება მშვიდობის სიზმარს, თუ შეიძლება აქ მშვიდობის ენოდოს რამეს, ომის სცენის წინმსწრება, სადაც ქართული ზღაპრის „ამირანის“ იმპროვიზირებუ-

ლი ვერსია თამაშდება. აქ, ერთი მხრივ, ყამარი (ლიზიკო) „ძველი ქართული ტექსტების მიხედვით კი არ მოქმედებს“ (რაც, „ცოტა არ იყოს გულსაც ტკენს მწერალს“)... და, მეორე მხრივ, ყამარის მამისა და ამირანის (ან ღმერთისა და იაკობის) შერკინების პაროდია თამაშდება, სადაც ხალხმრავალ არენაზე ელიზბარის შუბით (უღვთოდ) დაჭრილი, ტახად ქცეული რაჟდენი, მარადიული დებილი და ხეიბარი, „გამწარებული სამ ფეხზე ურბენს მოედანს“ და ბოლმინი შურისგებით ემუქრება მწერალს.

მწერლისთვის კი, ვინც სამყაროს კრებს საკუთარ თავში, ვინც „ნებისმიერ წერაკითხვის მცოდნე ადამიანში ეძებს თავყვანი მცემელს“, ნათელია, „ყველაფერი შეიძლება ჰქონდეს საერთო კაშელებთან — ოჯახიც, მინა-წყალიც, ჰაერიც, სისხლიც კი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სიმართლე“. არადა მხოლოდ სიმართლეა საერ-

თო ამ უკიდურეს, კონტრასტული მოცემულობით გადავსებულ რეალობაში. არგუმენტი ყველას ერთი აქვს: მსაჯულს და განსასჯელს. არენაზე პირობითად იცვლებიან მსახიობები. ამ ოჯახურ შეერთებას, მწერლის სისხლისა ჯალათის სისხლთან, უნდა მოჰყვეს განმმენდა, ძველი ბოროტების ახსნა, ნათელი გზის დასაწყისი. მხოლოდ ეს გზა ესახება მწერალს მომავლად, საიმედოდ: „ასე იყო და ასე იქნება, გინდაც ათჯერ გადატრიალდეს ქვეყანა. ასე იქნება, ვიდრე საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ისტორიული სიბინძურებიდან, ერთ მშვენიერ დღეს, პეპელასავით არ ამოფრინდება მათი საერთო სასწაულად გადარჩენილი და, რაც მთავარია, სამარადისოდ განმმენდილი სული...“

თითქოს ასეთი, ეპოქალური განზოგადების სიღრმის შემცველი, ამბები მუდამ, მარადიულ დროში რჩებიან და, ფაქტობრივი დასასრულის მიუხედავად, მუდამ მიმდინარეობენ. არსებითად არაფერი იცვლება თითქოს. წინაპრების აჩრდილები ცოცხლდებიან, მეორდებიან. რეალობის მიმდინარე რიტუალებში. ელიზბარი კი არა, თითქოს ექვთიმე ზის პარიზის ან ლუქსემბურგის მყუდრო ბაღში, მზეს ეფიცება. სხდომათა დარბაზებისა და წიგნთსაცავების ბინადარი, ვინც ბედმა „ემიგრაციის ეკლიან გზას გაუყენა, ხის ყუთებში ჩამწკრივებულ სამშობლოს სულთან ერთად...

უფროსი რაჟდენი კაშელის სიხარბესა და სისასტიკეს გაარდა მრავალგზის გარდაცვლილი, მაგრამ მაინც უკედავი, დაუღვეველი სამშობლოს ორმოცსაუკუნოვანი საგანძური“, აღარარსებული ქვეყნის ნივთმტკიცება, თუ სამხილი, დღეს იმ დაუფერებლისა, რაც წამდვილად არსებობდა. ეს ალუზია გამოკვეთს ელიზბარის მდგომარეობას ახალ დროში. მწერლის სამყარო სულიერი სამშობლოა, ესთეტიკურ ფასეულობათა გადარჩენის ადგილია, ნიადაგია მომავლისთვის. ყველა წუხილი, რაც მის სამშობლოს გადახდენია, თავს მის აზროვნებაში იყრის. მისი ნაწილი მჭვრეტელია და ნაწილი — მონაწილე. ეს ქმედითი ნაწილი გრძნობს, რომ მისთვის მოცემულ, ახალ რეალობაში მამისგან განწირულ და ცოლისგან ნალაღატეც ანტონზე ზრუნვა მისი მოვალეობაა. ის ცდილობს კიდევ. ამდენად, გარდაუვალია, მათი საერთო შთამომავალი სწორედ მწერალმა უნდა გაზარდოს. ეს ავტორის არჩევანია, ვინც გამოსავლად ამ გზას მიიჩნევს.

დეტალები არასდროსა შემთხვევითი ან უმნიშვნელო. შეიმჩნევა „ალვის ფოთოლიც კი, მამის გვამის გვერდით რომ ეგოდ იატაკზე“. აი, მსგავსი უცაბედი დეტალების მნიშვნელობას მოგვიანებით აცნობიერებ, როცა მწერალი გენიალური, მიკროსკოპული მგრძობელობით აღწესავს ფაქტებს, რაც ამბავმა უნდა დატოვოს: „განა ხმელი ფოთოლი გვამი არ არის?! ვინ უნდა აგოს პასუხი ფოთლის მკვეთლობისთვის?! განა ისიც ვილაცამ არ მოკლა?! მართლმსაჯულებამ ჯერ უნდა ირწმუნოს, არაფერი რომ არ კვდება ამ ქვეყანაზე თავისით, არც ადამიანი, არც ფოთოლი და მერე გაარკვეოს რა განსხვავებაა რაჟდენ კაშელსა და ნებისმიერ ალვის ფოთლოს შორის, თუნდაც სარგებლიანობის თვალსაზრისით განსხვავება წამდვილად დიდია და თანაც ფოთლის სასარგებლოდ. ფოთოლი ჩიტისხელა ჩრდილს მაინც აფენს მინაზე“. ან კი ეს რა საოცარია, თუ მისთვის „ერთადერთი მშობლიური სახლი“ ალვის ხეა.

კარგი შემოქმედის ყველა ხელშეხება, ყველა ტექსტს, აქვს ერთი თავისებურება: რაღაც დოზით კოდირებული მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამორჩეული ხიბლი. ამისი დასტური, არ ვიცი, რა იქნებოდა უფრო მეტად, ვიდრე ოთარ ჭილაძის მთელი შემოქმედება, გამოვლენილი სიტყვიერი ხელოვნების ყველა შესაძლო ალგორითი: პოეზიის, პროზის თუ პუბლიცისტური წერილის სახით. ვამბობდი, „გოდორზე“ მეტად მისი სხვა წიგნი მიყვარს მეთქი. თუმცა, ფაქტის მიღმა, რომ ის მის ტექსტებს შორის არ არის ყველაზე უფრო ტკობისმომგვრელი, არის ფაქტი: ის შემზარავად საჭიროა, სამახსოვროდ, რომ არსებობს, აი, ასეთი საფრთხილებელი გამოცდილება, გაფრთხილება. რასაც თავს უნდა არიდებდე. ცდილობდე მაინც, არიდებდე. თორემ არსებულს, რაც ფაქტია, აბა, რას უზამ.

„ჯერჯერობით არც მსაჯული არსებობს და არც განსასჯელი. თუ არსებობს, ორივე ერთ, ძირგახვრეტილ, უნიჩო და უიალქო ნაგში ზის და ცხოვრებისგან წამხდარი, მორჩილად მიჰყვება დინებას. არ იცის, რომელი მერჩზე გაირიყება ხვალ, ანუ, ახალს მოიგონებენ რამეს, თუ ძველი დაბრუნდება ისევ“.

მწერლის მიერ აღწერილი რეალობა უმეტესად მიმზიდველი ვერ იქნება. რაკი ის ხშირად ნაცნობ წუხილებს ამბურებს, როგორც რაღაც გარდაუვალს, თავდაუღწევს. შეუძლებელია გზიზღადდეს კელისა და სისხლის, ტყუილისა და ბოროტების სურათები, რითაც ჩვენი უახლოესი წარსულის ისტორია ისე აივსა, მწერალი თვალს ამაზე როგორ დახუჭავდა. ეს სამწუხარო, დამთრგუნველი რეალობაა. მე მემძიმება მისი ყურება. მე მას თვალს გავუსწორებ. მე მის შესახებ ვილაპარაკებ. მასზე დავწერ. გავაგებინებ ყველას. ყველას უნდა ახსოვდეს. ეს არ იქნება სიამოვნებით მიახლება. ეს იქნება საავადმულო. როგორც გზა მეხსიერებისთვის. გამორჩეული უნართაგანი „სოციალური ცხოველისთვის“, ისწავლოს რაღაც მაინც განვილიზე. და საკუთარ თავს ფიქრში მაინც გამოუტყდეს, რომ: არაფერია გაიძვერობით მოპოვებული წარმატების და კეთილდღეობის ბუტაფორია, თუ ახლობელ ადამიანს თვალი თვალს ვერ გაუსწორებს, თუ ხელი ხელჩაკიდების უნარს დაკარგავს. მწერლის ხმა ამას დაუღალავად შეგვახსენებს.

ნინო, ირაკლი, ეკა,
 ანა, ტარიკო, სანდრო,
 ნინჩო, თამუნა, სალი –
 ხალხი, ყველაზე სანდო –
 განელილები დროში –
შთამომავლობის სტრიტი! —
 ბედნიერების განცდა –
 რომ მათ სწორედ შენ ზრდიდი!
 ნინო, ირაკლი, ეკა,
 ანა, ტარიკო, სანდრო,
 ნინჩო, თამუნა, სალი... –
 ხალხი, ყველაზე სანდო! —
 ლამაზად განელილი
 მარადიული სტრიტი –
 კმაყოფილება სრული,
 სიამოვნება დიდი!
 მემკვიდრეები ჩემი –
 ღვთიური განძი ჩემი!

მე ვერსადაც ვერ წავალ –
 მე მარად თქვენთან ვრჩები!

ყურამოკრული ლექსარომბი

— საქართველოს ცოფიანი ძაღლები მიუქსიეს! —
 საქართველოს საქართველო ჯოჯოხეთად უქციეს!
 რალა გითხრა ამის მეტი – შენც ჩემსავით უწყი ეს!

დამნაშავის საქმეები თუმცა დიდხანს იძიეს –
 არაფერი გამოვიდა! შენც ჩემსავით იცი ეს!

ზოგიერთი მეფე ჩვენი სატანას დაუწყვილეს!
 ზოგიერთი პრეზიდენტიც! შენ ჩემსავით უწყი ეს!

— ჩემო ძმაო! ყველაფერი ასე კარგად თუ იცი,
 იქნებ მითხრა – საქართველო რად აპირებს სუიციდს!

პოსტკრიპტუმ

რაც გინდოდეთ, ის იფიქრეთ
 ორ გამომგულ-გამგულზე!
 მე? მე ხმა არ გამოიღია –
 მე, უბრალოდ, გავლექსე!

სამოცარი ცა...

არ ვთქვა? რა ვქნა: ჩემს ბათუმთან,
 ქობულეთთან, ჩაქვთან
 თითქოს ყველა ოცნება და
 ნატვრა ჩემი ჩაკვდა...

არ ვთქვა? რა ვქნა: სამშვილდესთან,
 ბებრისსთან და თმოგვთან
 თითქოს ყველა ოცნება და
 ნატვრა ჩემი მოკვდა...

...მაგრამ უცებ ცას ავხედე
 და მე დაფრჩი სახტად:
 მივხვდი — ყველა ოცნება და
 ნატვრა ჩემი ახდა...

სააჭვო ტირადა

— როცა კაცი საკუთარ თავს
 კაცის მოკვლის ნებას დართავს,
 იმ მოკლულზე ბევრად ადრე
 კლავს ის კაცი საკუთარ თავს...

ყველა სიტუაციაში
 შეიკავე, შვილო, თავი:
 კაცის მოკვლას ისევ ის სჯობს –
 იბოზე და ილოთავე...

ანხელა ხანდახან ზამოთ...

— როგორც აგერ ქადრებზე
 ცელოფანის პარკები –
 ჩვენც დავცარიელდებით,
 წავალთ, ავიბარგებით...

ხსოვნას ვინ, რანაირად
 ან როდემდე შერჩება –
 ამას ჩვენ ან ვინ გვეტყვის,
 ან რად გვინდა, შეჩემა!..

ისევ რატომ დაიფარა
 ზეცა ღრუბლით შავითა! —
 მთვარე რატომ ჩავიდა!
 მთვარე რატომ ჩავიდა!
 დედაჩემი საცოდავი
 და ჩემი ბეჩავი და!
 მთვარე ისევ ჩავიდა!
 მთვარე რატომ ჩავიდა!



ტარიელ ჭანჭურია

...ლამარა და მე ათ ივლისს
 ვბრუნდებოდით ჯავიდან!
 უცებ, სულ რომ არ ველოდით,
 მთვარე ისევ ჩავიდა! —
 გზებს წყვილიანი წაეფარა –
 მთვარე ისევ ჩავიდა!

ნეტა რატომ ჩავიდა...

პირველი ჭიქა

გუჯა ბუბუტიშვილის სადღეგრძელო

ჭაშნაგირი ნამდვილი და ნამდვილი ექსპერტი –
 გრძნობს, როდის დულს ქართულად
 ეგ ღვინო და ეგ სპირტი!

როცა სძინავს, სიზმარშიც დააგორებს ამ კასრებს!
 რატომ გიკვირთ, სუფრაზეც თუ კანონებს ამკაცრებს!

ამბობს: გარდა მიწისა, ხომ მაღალი ცაც მეღის! —
 ჩვენც იმ გზების პოვნისთვის გვჭირდებაო სასმელი!

ზოგს – „კამიუ!“ მე კიდევ „გრემის“ სიმაგრე მინდა! —
 მტკიცე გრემის ციხეზეც! —
 „გრემი“ სწორედ გრემიდან!

ჩვენი სიამაყეა ეგ ღვინო და ეგ სპირტი!
 აქ – გუჯაა თამადა, მით უმეტეს – ექსპერტი!

— ჰკარი ნიხლი დედიკონას –
 მოუმატოს ცოტა ჭინთვას:
 თეთრი გინდა? – თეთრი ვარ-თქვა!
 ბიჭი გინდა? – ვარ ბიჭი-თქვა!

...როგორც წყალი უკვდავების
 ამოვიდეს ზღაპრულ ჭიდან –
 ამობრძანდა ბიჭუკულა,
 დაიძახა უცებ — **ჭიტა!**

გაიზარდა,
 ღვინო სვა და
 ქალი წვა და
 კარტი ჩითა...
 ჩვენ ვუყვარდით! ჩვენ გვიყვარდა!
 დარჩა კაცურ მაგალითად!

...მის კუბოსთან რაკი ვერ დგას
 მისთვის მკვდარი დედიკონა –
 დედის ნაცვლად მე დავუდე
 თავთან ვარდის დიდი კონა...

— როგორ არ მიკვირდეს ამდენი ტვირთის და
 ამდენი ტკივილის ამტანი ამ ტანის...

როგორ არ მიკვირდეს ამ სულის დაღლილის —
 ზედ ვირტუალური ტყვიების დახლილის...

როგორ არ მიკვირდეს! — სიცოცხლის მიწურვილს
 გაძლება ხომ უნდა ამხელა სიძულვილს!

...მადლობა ძვირფას და წამებულ რძალს ჩემსას —
 წამებულ პოეტს და მის უჯრებს ვინც უვლის...

დაწყებითი სერკანტინი

სადღებრძელო

— ბიჭია თუ გოგოა თუ
 ქალია თუ კაცია –

გაუმარჯოს ყველას ერთად,
 ვინც ბრძანდება ცაცია!

ეჭვიანი ლექსარომბი

ერთად დასეირნობენ
 ის ბოზი და ეს ბოზი!
 ამ ტანდემს რომ ვუყურებ,
 მახსენდება **ლესბოსი!**

გამარჯობა შენი!

— მშვენიერო ქალბატონო,
 ჩემო მტრედო, ჩემო მართვევ,
 დაგიმადლებ — ბუნჩულა ხელს
 თუკი დღესაც ჩამომართმევ!

ხელჩაქნული ლექსარომბი

ერთი სული მაქვს, როდის მოვკვდები
 და სამოთხეში შენთან მოვხვდები...

ქაპაცს ნიგნი ვაჩუა

— რა მოხდება, შენს თაროზე,
 ერთი ნიგნი ჩემი იღოს!
 ოღონდ უნდა ნაიკითხო!
 თანაც ჩქარა! დია, **ციტო!**

საყვარლები

უხამსი ლექსპრომტების ციკლიდან

სადღაც ბინა იქირავეს –
 შევიდნენ და იქერავეს!

ვაშა ირლანდიელას

გთხოვთ, გაიხსენოთ, მცირე ერებში
 ვის ყავს მწერლები, თანაც ეგეთი:
 ჯონათან სვიფტი,
 ოსკარ უაილდი,
 ჯეიმს ჯოისი,
 სემუელ ბეკეტი!

ინვანტილური დიალოგი

— სამოთხეში როდის ანდა
 როგორ უნდა მოვხვდეთ?
 — ამისათვის, ჩემო კარგო,
 საჭიროა **მოვკვდეთ!**

რეალიკა ყველასთვის

— ჯერ მასთან კონიაკს ვსვამთ,
 მერე მას – **საჭესთან ვსვამთ!**

— გახსოვს? – შენ ატრაკებდი!
 მე ფეხს ფეხზე გაჭერდი!
 ვერაფრით ვერ მოგთოკე,
 არაფრით არ გაჩერდი!

რეკ-ლიკა

ცრუ სიმღერით, ცრუ ლექსით და იდიოტურ მაგ რეპით ვის ატყუებთ! ისე, ბლეფში მაგრები ხართ, მაგ-რე-ბი!

იუმორისკა კოტა ყუბანის თანხლებით

— დამიჭირეს, „ყ“* მომჭამეს, არაფერი გამიგია!

*** ცხოვრების წესი მეპურის – ცხოვრების წესი მეფურის!

*** მეძინა შენთან, და სიზმარში მეძინა სხვასთან...

ბოლო დღე

ფანჯარასთან მივიდა. დაინახა – გათოვდა. საწოლისკენ მიბრუნდა. დაჯდა. დაწვა. გათავდა...

ბოლო იმედი

— ნავალ, ამოვეფარები სამარეში დედის კალთას...

პოეტის დასასრული

გული, სავსე სიკეთით, გული, სავსე თაფლითა, შხამიანმა ისარმა სულ იოლად დაფლითა...

*** ოთხმოცი წლის თვალეში ჩავინვეთე მეცხრე ცა – კვლავ ავხედე მზეს, მთვარეს, დღეს მოფრენილ მერცხლებსაც...

*** ღმერთი? ღმერთი ისე მიყვარს, ისე ძლიერ მიყვარს – არ ვარ ღირსი? – სამოთხეში მაინც გადამიყვანს...

*** — შე ტრაბახა კარგო კაცო, ამას როგორ ვერა ხვდები: რაც არ უნდა მაგრა ხტოდე, ყელზე მაღლა ვერ ახტები!

საკვარული პროზოზი

— ცხრას რომ ათი დააკლდება, ავთო თინას დააკვდება!

ხმით მოტირლის ლექსაროგობი

— მინდა ვუთხრა სუყველას, თავის დროზე ვინც მენდო: რას ვაკეთებ? – ვზივარ და სულს ცრემლებით ვინმენდო!

დღეღამის რაჟიმი

— ნესადა მაქვს: დღის მანძილზე გულ და ნერვებდანყვეტილი – დარაჯივით ავდგე ღამით, ვიშრომო და... დავნვე დილით...

*** პრეზიდენტის პოსტს ეპოტინება! — მოკლედ, ერუსეთ-ეპოტინება!

*** — შენში ჰაერის უკმარისობას მე მგონი იწვევს უკმარისობა!

*„ყ“ – იგულისხმება ყური!

ქაპაპატი

— წავიკითხე! იქნებ მითხრა, რა გამოვა ლადავიდან! — ის გამოვა, რომ ამ ტანჯვას შენზე უკეთ გადავიტან!

*** ...მეც მათ მიპატიუებაზე სისხამ დილით ვდგებოდი – მაღვიძებდნენ კირკეგორი, კაფკა, კოკტო, კეპოტი...

*** საქართველო ბოლომდე გაატარებს ამ ხაზს! — მუდამ გვერდით ედგება ძმებს – ოსსა და აფხაზს!

*** — სხვა ცრემლი ფარისევლის და სულ სხვა მართლის ცრემლი! ...დღეს რა დღეა, იცი ალბათ – იოანე ნათლისმცემლის...

*** ვერ მოექცა იმ დღეს ზურა საკუთარ თავს მთლად კაცურად – მოისროდა საბანი და მცხეთის მინა წაიხურა...

შაბათი

ჟურნალები. რადიო. ტელეარხი. გაზეთი. ნიცმე. ჰაიდვეგერი. ორტეგა-ი-გასეტი...

*** შევცქერი ამ ბნელეთს, ჯოჯოხეთს, სკვარამს... ...მე ჩემი ქვეყნისთვის მინდოდა სხვა რამ...

გვიანი შემოდგომა

ჩემი ვარდები დაჭკნა ჩემი ჭადრები გახმა ჩემი მდინარე დაშრა იოლად გავალ გაღმა

*** მთლად მსოფლიო მწერლობაში გვაქვს ადგილი საპატიო – რუსთველით და აკაკით და ვაჟათი და საბათიო...

*** იმ წუხანდელი ქარიშხლის მერე ცა ახლა ისე მონმენდილია – თითქო დახვრეტას გვიპირებდნენ და გამოგვეცხადა მონმედ ილია!

*** დაქალი შემხვდა წელან ბავშვობის – გადავეხვიე, გადამეხვია... სულის ჭრილობა გადავუხვიე, სულის ჭრილობა გადამიხვია...

ჩაი, ჩაი, ჩაი...

დღეში რამდენს – ვუძლებ ტკივილს, დღეში რამდენს – ვიტან ჩეფირს – რა ძნელად და რა იოლად ვარსებობ და ვიტანჯები...

*** შენც სხვებივით ურევ – ხელს ოქროში ურევ!

*** ...მგონი უკვე დადგა დრო, მგონი უკვე შევძლებ —

ლოგინიდან გამოვძვრე და საფლავში შევძვრე...

*** „ვალაგებ უჯრებს...“ მურმან ლებანიძე

რომ არ შევმცდარიყავი და უკან რომ არ დამეხია – იქნებ ჯობდა: ეს ლექსები დამენვა ან დამეხია...

ბოლშევიკები

ყური სატანას მიუგდეს — სამშობლო რუსეთს მიუგდეს!

*** დალილი და დატანჯული ერის სრული აპათია ნურვის აფიქრებინებს, რომ ერმა ჯალათს აპატია!

*** ქართველი ერის სისუსტეები: შოთას წიგნი და სოსოს ტაეპი...

*** არა მარტო ხახუნით — ცეცხლი ჩნდება ქაქუნით!

მონოლოგა თვითმკვლელობისკენ

სამშობლოსთან თუ შეგექნა თავი სამართლებელი — გაიხსენე თოფი. თოკი. შხამი. სამართლებელი...

*** თოვს და თანაც ისე — გეგონება, არ თოვს, მაგრამ ჩვენს თვალს მაინც ახარებს და ართობს!

ჯალათი — სიტყვის კაცი

დაემუქრა, რომ სისხლს მისას დაღვრიდა! შეუსრულა! — შვილის თვალწინ დახვრიტა...

დაკრძალვა

ის, ვინც მხოლოდ ცხრა თვე იწვა დედამისის მუცელში, ჩანვა დღეს, სამარადისოდ, დედამისის მუცელში...

*** უცნაური წუთი... იდუმალი წუთი... ღვთაებრივი წუთი! — სექსი — დებიუტი...



დასასრული
დასაწყისი №118

ანა კორძაია-სამადაშვილის წიგნის სათაურია „მარიეტას გზა“ და, რა თქმა უნდა, მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს ბოლომდე გატყეპნილი ტრასა კი არა, სულის იდუმალებით მოცული ეკლიანი ბილიკი იქნებოდა. მოთხრობის ერთი ნაკითხვით ვერ დავდექი ხასიათზე მისი სიმცირის გამო. სულ ხუთი წინადადებაა, თუმცა პირველ წინადადებაში დაახლოებით 200 სიტყვაა. დანარჩენში ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები. ნავიკითხე მეორედ და ძალიან მომეწონა, მაგრამ მაინც მეპატარავა და გადავწყვიტე მარიეტას მსგავსი პერსონაჟი სხვა მოთხრობაში მომეძებნა. ასე შემომეკითხა თუ ნამეკითხვინა (არ ვიცი, რომელი ჯობია) მთელი წიგნი. მისი მსგავსი ქალების მთელი გალერეაა: ირა, მარგო, ჟანი, რიტა, მართა, ნინა, სედა და მრავალი სხვა. თითქმის სულ უცხოური სახელებია, რამაც ცოტა გამაკვირვა. რა, ასეთი ნანა, მაკა, ეკა, ლალი, დალი არ გვყავს? თუ არ გვეკადრება... საბოლოოდ ნინა ავირჩიე. რატომღაც ბექა ქურხულის ბიჭები გამახსენდა და დავინტერესდი, რას აკეთებენ ანას გოგოები... ეს გოგოები თუ ქალები თავგადასავლების მოხეტიალე მაძიებლები არიან — რა ქნან, თუ სჭირდებათ და უამისოდ არ შეუძლიათ. რეალურ ცხოვრებაშიც ხომ ასეა, თუ სასურველი რამ არ მოდის შენთან, შენ უნდა მიხვიდე მასთან. ამ გზაარეულ ქალებს შორის არაფერია არის ბოროტი და მკვლეელი, სიძულვილიც კი სიძულვილის გარეშე იცინან. მხოლოდ ორი რამ უნდათ: იყვნენ ლამაზები და ძალიან უყვარდეთ შეყვარებულებს, მაგრამ არც ერთი არის და არც მეორე. იუმორის და და თვითირონიის მეშვეობით იბრძვიან გადარჩენისთვის („ნუ დარდობთ, გეთაყვა, ალერგია მაქვს და იმიტომ ვგავარ კოლოს ნაკებს“ ეუბნება მარიეტანინა (კინაღამ მათი საყვარელი ტანინი არ გამოვიდა?) ოფიციატს), და თუ საბედისწერო ბრძოლას აგებენ, ამაყად იკარგებიან, სხვამ არ უნდა დაინახოს და დაიჯეროს ის რაღაც, რაც ჩაიფიქრეს მათ არ უნდათ ცხოვრებადღაგებულ ადამიანებს დამსგავსონ, ჩვეული დღის რეჟიმით რომ არსებობენ. დიახ, არსებობენ და არა ცხოვრობენ. ასეთების უმრავლესობა პიროვნება არ არის. სხედან ჭაობში და ერთ ხმაზე ყიყინებენ. ამნაირები ხომ ქელების შემდეგ აღარავის ახსოვს. ძებნა-ძებნაში ბოლოს „ნინაზე“ შევჩერდი, ხომ უნდა გამომეცნო, სად წავიდა მარიეტა. ამ ორ მოთხრობას ერთნაირი დასასრული და თითქმის ერთნაირი დასასრული აქვს. თითქმის... ერთი ასე იწყება: „ნინას დიდი მეგობარი არასოდეს ვყოფილვარ...“ მეორე კი — „ჩემი მეგობარი თუ არა, კარგი ნაცნობი მაინც, მარიეტა...“

თავიდანვე ვიტყვი, რომ მარიეტანინა პიროვნებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისეთი თვისებები აქვს, რომლებიც მხოლოდ უმცირესობას გააჩნია. თუ ჭრელი ცხოვრება აქვს, იმიტომ აქვს, რომ მწარე ლაღის მსხვერპლია. მარიეტანინა და სხვებიც სვამენ და უშვრი სიტყვებით იგინებინან, იგინებინან და არა აგინებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლმა და აგრესია ვერ იმარჯვებს მათზე. სხვა რა დარჩენიათ: „როცა უშნო ხარ, ობოლი და ხელფასსაც არ გაძლევენ, და შენმა კაცმა სხვა ქალი შეიყვარა, ისედაც ბევრი არაფერი გაქვს გასახარელი“. ჰოდა, იგინებინან. ეს ბილ-სიტყვაობა ზოგჯერ კიდევ უხდება სიტუაციას, მაგრამ ალბათ ჩამორჩენილობის ბრალია. მიმამჩნია, ზომიერება მაინც საჭიროა, ეს არც პერსონაჟის ღირსება უღირსობას დააკლებს რამეს და არც ავტორისას. შეიძლება ვცდები, რა ვიცი...

მარიეტანინას დარდს არც „რომაელთა ყოფის“ კითხვა შეველის და არც სიუზან ზონტაგის ესეების კრებულის, სადაც ალბათ (მოთხრობაში არ წერია) მხოლოდ „სხვისი ტყვილი“ ნაიკითხა. არც ჰელმუტ ნიუტონის ილუსტრაციების ყურება გამოადგებოდა, რადგან „ვოგის“ ფურცლებზე არასოდეს მოხდებოდა და არც ბავშვობაში ნასწავლმა უცხო ენებმა და ფრანგმა გადიამ გადმოიყვანეს ეკლიანი ბილიკიდან ტრასაზე. ეს უბედური, საბოლოოდ გაზასაცდენილი გოგო მაინც ბავშვით

მართალი და სხივით კეთილია. მასაც, როგორც მრავალ ადამიანს, დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალისდელ ქათამს, მაგრამ მარიეტანინა შორეულ მომავალზეც ოცნებობს, შეყვარებულთან ერთად ზღვის პირას გარუჯვაზე, ლამაზ ქორწილსა და შვილებზე... სანაცვლოდ თითქმის ყოველთვის ღალატია. მიუხედავად ამისა კი არ ბოროტდება, ამაყად ეგუება ბედს, როცა ისმენს: „რა ექნა, სოფო პატარაა, შენ კი ყოჩალი ქალი ხარ და უჩემოდაც კარგად იქნები“. პასუხი იყო — „ნამდვილად“, მეტი არაფერი უთქვამს. შემოიხვია თავისი ინდური, ჭრელი თავსაფარი და მარტო წავიდა ზღვაზე (ასეთი ჭრელი თავსაფარი უგზო-უკვლოდ დაკარგულ მარიეტას დანატოვარ ნივთებშიც აღმოჩნდა). იქიდან გაძვალტყავებული დაბრუნდა, თვითონ კი ეგონა კარგად გამოვიყურებო და პირველად მიჩვეულ კაფეში იმ იმედით მივიდა, იქნებ შეყვარებული ენახა. საბოლოოდ იმედგაცრუებულმა ნინამ მალაზიამ ვალი გადაუხადა მას „ვინც მისი დიდი მეგობარი არასოდეს ყოფილა“, თვითონ კი „წინდა სამარცხვინოდ ჰქონდა დახეული“, თითებს შორის უსერავდა. რა ვიცი, ბევრი მოიქცეოდა ასე უანგაროდ? ის ხომ არასოდეს დაფიქრებოდა, რომ სიკეთეც ეგოიზმია (რას არ იტყვის ადამი-

მანანა ამირეჯიბი

წიგნის სათაური და მკითხველი



ანი), ჯერ თვითონ მკეთებელს უხარია, რომ ამას სწადის და მხოლოდ ამის მერე უხარია სხვისი სიხარული. სწორედ ასეთი „ფერადი რეიტუზები, ზოგი უბეში და ზოგი თითებზე გამოხეული“ დატოვა თავის „მემკვიდრეობაში“ მარიეტამ, რომლის დაქალმა მოახერხა და მის „უკანასკნელ და რამდენადაც ახლა ვხვდებით, ერთადერთ სიყვარულს ცოლად გაჰყვა“ — გვიამბობს მოთხრობელი.

ამის მერე საბოლოოდ იმედგაცრუებულმა ნინამ და მთხრობელმა ერთად დალიეს. „ნიკოს გაუმარჯოს. ეგ არის ქართველი მამაკაცების არსებობის გამართლება, ჩემი ნიკოლოზა. მე როცა გავმდირდებდი, არ ვიცი, რას ვაუკეთებ. რა ვიცი, ყველაფერს, სტიპენდიას დაჯინიშნავ...“ ოცნებობს ძმობილისთვის ნინა და უსურვებს, რომ ნიკოს „ჰქონდეს ნარმატება, ფული, დიდი სიყვარული“. მარიეტანინამ უმნიშველო მეგობრობაც იცის და მეგობრის გატანაც. ყველა კაცს ერთ ქვაბში არ ხარშავს. ღამე მთხრობელთან გაათია, საერთოდ არ დანოვდა, „დილით ჭურჭელი გაურეცხავს, ყვავილებისთვის ხმელი ფოთლები მოუძვრია“ (ხმელი, ანუ თავის ცხოვრებასავით ფუჭი, ამან კინაღამ ცრემლი მომგვარა, თან გულმაც რეჩხი მიყო) და ნასულა იქ, სადაც, დარწმუნებული ვარ, მარიეტაც წავა. მაინც სად წავიდა ნინა? „ოდესღაც მთიდან ჩამოხიდილი, ახლა კი სახლიდან ნამოღებული ბროლიანი ქვევით სავსე ზურგჩანთა შექმლ-

ისდაგვარად კარგად მოირგო და დაიძრა...“ ჩასასვლელისკენ. განგებ არ ვამბობ, რა ჩასასვლელისკენ.

ანდა სად მიდის მარიეტა? მანაც დატოვა „პლანეტის ლამის ყველა ზღვიდან ჩამოტანილი კენჭები და ნიჟარები“, ქარვის, ხის და მინის მძივები და წავიდა. „მრავალი მავნე ჩვევის მქონე, გაძვალტყავებული (ნინასავით) და საკმაოდ გრძელი ცხვირით დამშვენებული, ორი ათას შვიდი წლის აღდგომა დღეს გავიდა სახლიდან“ მძიმე და მოუხერხებელი ხის ჩემოდნით. ეს ყველაფერი დაინახა მარიეტანინას და მისთანების მიმართ ზიზღით გამსჭვალულმა „ფანჯრიდან თვალთვალის მრავალწლიანი გამოცდილების“ მქონე რეჟიმიანმა მეზობელმა კაცმა, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გრძნობაარეული „მარიეტა რაღაცას ხმამაღლა მღეროდა და მთელი გზა თავისუფალ ხელს იქნევდა და თითებს ატკაცუნებდა“. შთამბეჭდავი სურათია, დღისით-მზისით გამზირზე მიდის ახლგაზრდა ქალი, ცა ქუდად არ მიჩანია, დედამინა ქალამნად, თითების ტკაცუნით ხმამაღლა მიიმღერის, რასაკვირველია, ნასვამი. და რად გამახსენდა „მხიარული, ფეხშიშველი ბოშა ქალი სტვენით მიდის პორტის სანაპიროზე“? მარიეტანინას ნამდვილად არ ემხიარულება, მაგრამ



ფალ (ისევე ეს საეჭვო ღირებულების სიტყვა, ნეტავი თავისნება ხომ არ აჯობებს) ადამიანებს ვერ ვივინებთ-მეთქი. მამ რატომ დაარქვა მისი სახელი „დაქალმა“ მარიეტას გაუჩინარებიდან ორ თვეში დაბადებულ თავის გოგონას, რომელიც, ყველას გასაოცრად და სამწუხაროდ, გარეგნობითაც და ზნითაც სცხნიას დაემსგავსა. ანდა რატომ არავის აძლევს მოსვენებას ორი რამ: რას მიათრევდა იმ მძიმე ჩემოდნით მარიეტა და რატომ შეიძულეს გამსენებლებმა თომას ბერნჰარდის „ერთი გზა“, მარიეტას გზა. იქნებ იმიტომ, რომ მარიეტაც, ალბათ ამ ავსტრიელივით მარტოსული, ყიამყრალი და ჭლექიანი იყო, თუმცა მოთხრობაში ამაზე არაფერი წერია.

წავიდა მარიეტა ხიდთან, მდინარის ჩასასვლელისკენ. იქ ნინა უცდის (ჩემს ფანტაზიაში), ნინა, რომელსაც „ეგონა, აქოდა, ქვებანი ზურგჩანთა მკილია, არ ამოვტივტივებდი და ყველა იფიქრებს, რომ პუნაში წავედიო“. დარწმუნებული ვარ, მარიეტამაც იქ და იმ მიხით მიათრია თავისი მძიმე ჩემოდანი. აი, ასეთი გოგოები თუ ქალები ჰყავს ავტორს, არავის რომ ავიწყდება სხვანაირობის გამო. ჩასასვლელი მდინარისკენ — ხან თვითონ მიდის ადამიანი ზედისწერასთან, ხან ზედისწერა მოდის მასთან...

არავინ ავალდებულებთ, მაგრამ ვისაც მარიეტა-ნინა ახსოვს, ყოველ აღდგომა დღეს იკრებებიან ეკლესიასთან და თითო სანთელს უნთებენ...

დიახ, სხვანაირები, უნდათ თუ არა, არავის და არასდროს ავიწყდება. უამართოდ ცხოვრება ხომ მოსაწყენად ერთფერი იქნებოდა, ყოფითსა და პოლიტიკის გარდა სხვა რამეზეც ხომ უნდა გვეფიქრა და გველაპარაკა...

ახლა ცოტას ავტორზედაც ვიტყვი. ეს წიგნი მოთხრობების კრებულია, მაგრამ ერთი წიგნია, რომანი, ოღონდ მოთხრობებს თანმიმდევრობა დასჭირდებოდა, სხვა დიდი არაფერი. მე, მაგალითად, დავინწყებდი „გამომიარეთ ხოლმე“-თი და „მარიეტას გზით“ დავასრულებდი. ანა კორძაია-სამადაშვილი გულწრფელი ადამიანია, რაც მეტად დასაფასებელია, ერთი ყალბი სტრიქონიც არ შემხვედრია მის მოთხრობებში. მე ვიტყვი, რომ ფრანსუაზა საგანი ჯიბეში ჩაისვა და თუ ერთმანეთისგან უფრო მკვეთრად განსხვავებული ტიპებს შექმნის, ცოტას ორთოგრაფიასაც მიხედავს, მაშინ კიდევ ბევრს ჩაისვამს ჯიბეში. ბილსიტყვაობაზე მგონი უკვე ვთქვი, ზომიერება საჭირო-მეთქი. ისე, რა თქმა უნდა, საბოლოოდ მისი ნებაა.

ამ პირველ სტრიქონებს ისე ვწერდი, რეზო თაბუკაშვილის წიგნისთვის თვალ-იც არ მომიკრავს, ოღონდ ვიცოდი, „მზეო არ ამოხვიდე“ რომ არსებობდა. დამეთანხმებით, დამინტრიგებელი სათაურია. ალბათ ჩემსავით, ყველას, ვინც წიგნი ნახა, მაშინვე გაახსენდებოდა „მზეო, ამოდი, ამოდი...“ და „მზეუ შინა და მზეუ გარეთა, მზეუ შინ შემოდიო“... არადა, უშნოდ ამეკვიტა, რატომ არ უნდა ამოსულიყო, რატომ არ უნდა გათენებულიყო...

ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ძლივს ვეღირსე. მოთხრობა ჯერ უცხად გადავიკითხე, მეორედ გულდასმით ნავიკითხე, მერე წიგნი დავხურე და სამი დღე ხელში არ ამიღია, ვფიქრობდი... აზრები ტვინმა თავისით რამდენიმე ნაწილად დააღავა.

ქვეყანა და პოლიტიკა

ბრძოლა პოლიტიკაში

არ ვიცი, ვცდები თუ არა, მაგრამ ბედისწერას ღმერთი კი არა შეცდომა ბადებს, ის არის ყველა უკეთუბნის ღვარძლიანი მშობელი. ჩემ მიერ წაკითხულ და განხილულ ავტორთა ნაწარმოებებში ნახსენები და ნაგრძნობია 90-იანი წლების ქაოსი, რომელმაც სხვადასხვა მხარეს გადაისროლა მოსახლეობა. დამთავრდა სამარცხვინო კომუნისტური წყობა და დაიწყო სამარცხვინო „ისტორია“, ანუ გამოვიდა „ვანის გავიყარე და უის შევეყარე“. ნეტავი ქართველები როდემდე უნდა ვიყოთ ვილაციანები. ამასვე განიცდის ამ წიგნის ავტორიც. ერთხელ დიდმა (ორივე მნიშვნელობით) რეზო თაბუკაშვილმა თქვა: პატრიოტიზმა პროფესია არ არის, პროფესიონალიზმი პატრიოტიზმია. მე კი არა, დიდი ფილოსოფოსიც ვერ იტყვის უკეთესად.

მოთხრობაში ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ჩემთვის, რომელსაც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს — სათამაშოსაც და ცოცხალსაც. სანამ მოთხრობის ამ ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟზე გადავიდოდე, ჩემი თვალთ ნანახი უნდა მოვყვე: მეგობართან მივდიოდი. მეტროსთან ვიდექი და სამარშრუტოს ველოდებოდი. უცბად ჩემს ფეხებთან ორი ჩიტი დახტა კი არა, დაენარცხა და ყურისწამლები ჩყვილით ერთმანეთს კორტნა დაუწყო. საიდანდაც უცბად მთელი ჯარი ჩიტებისა ქარიშხალივით გაჩნდა და მერე უნდა გენახათ და მოგესმინათ მათი ჩყვილი. ცოტა ხანში ჯარი ისევ გაუჩინარდა. ეს ორი დარჩა. გაჩუმდნენ. მერე ავტობუსების მოსვლის დროის აღმნიშვნელ ტაბლოზე აფრინდნენ, ცოტა ხანს ხმადაბლა „ილაპარაკეს“ და გაფრინდნენ. გული დამწყდა, რომ უტყვინო ჩიტები ჩვენზე გონიერები აღმოჩნდნენ და ერთმანეთი კი არ დახტეს, საქმე როგორღაც უსისხლოდ მოაგვარეს. ჩვენთან კი, როგორც რეზიკო ამბობს, „ბევრი ავტომატი ერგოთ მას და მისი თაობის ბიჭებს... ავტომატების ლულები უმეტესწილად ერთმანეთისკენ ჰქონდათ მიმკერული“.

მშვიდობა ტვინის საქმეა, კეთილდღეობა უფრო ხელების, მაგრამ არა ავტომატიანის.

ადამიანი და პოლიტიკა

რამდენიც არ უნდა ეცადოს, არა აქვს მნიშვნელობა რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის, ადამიანი ცრურწმენას ვერ ასცდება: სიზმარი, თვალის ათამაშება, შემთხვევით რამის გატყუება, მარჯვენა თუ მარცხენა ხელის მოქავეება და სხვა უამრავი. ყველას რაღაც აქვს დაცდილი, თანაც სხვადასხვანაირად. ამ მოთხრობაში, ჩემი აზრით, თითქმის ყველა პერსონაჟისთვის ჩიტია საბედისწერო ნიშანი. ის არავის უყვარს ვასკას გოგონას გარდა. ჩიტი თითქმის მაცლის განსახიერებს, ნებით თუ ბედისწერით ცუდის მაცნეა. აი, ამონარიდები: ჩიტს „ბასრი კლანჭებით ვასკას სულის, მესხიერებისა და შეგრძნებების საუკეთესო ნაჭრები ამოეგლიჯა და შორს მიაფრენდა, თვალუნევედნელ სიშორეში“. ეს იმ ადგილიდანაა მარიკა რომ ტოვებს ვასკას. ეს მაცილი მათი დაცვილების მოწმეც კი იყო. არც მას „მოსწონდა ჩიტები, უაზრო თვალები აქვსო“. „კუჭი კი „ჩიტს“ დიდი ჰქონდა და უძღები“, ანუ ხიფათს ხიფათი მოჰყვება. როგორც ავტორი ამბობს „ცუდი ამბები ეულად ხომ არ დანაწილებენ, სტუმრობისას „ჩანგალისტების“ მოყვანასაც არ თაკილობენ“. ჩიტი არ უყვარს ვასკას ნათლიასაც. „შუბლში გლიჯე ჩათლახ ჩიტს“, — ეუბნება შურდულის მჩუქებელი ნათლია. არც ცოტა მერეკილ გივიკოს უყვარს ჩიტი. არც ვიცი, რატომ გადავიკიდე ამ ჩიტს, არ უყვართ და ნუ უყვართ! ბოლოს და ბოლოს არც ჩემს შვილ რუსას უყვარს მტრედები, სისხლიანი ფეხები აქვთ და უშნოდ ყუყუნებენო. მგონი, ჩიტი არაფერ შუაშია, ის უბრალოდ ბედისწერის ნიშანი თუ სიმბოლო მგონია ამ მოთხრობაში.

ვნახოთ, ვინ არის მთავარი პერსონაჟი ვასკა, რომელმაც მერნის ნაკვალევზე სიარული ირგუნა. ეს არის არეულსისხლიანი და არეულცხოვრებიანი „კლასიკური ოროსანი“ თბილისელი ბიჭი, რომელიც ამბობს, რომ „ცუდი ბევრი იყო, მაგრამ ასატანი“. ასატანი... ეს სიტყვა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ბოლომდე გასდევს მოთხრობას, ოღონდ ნუნუნის გარეშე. ასატანი კი საკმარისზე მეტია, მით უფრო უცხოეთში იძულებით გადახვეწილი ადამიანისთვის.

გადახვეწილი ვასკა მშობლიურ ქალაქში ჩამოდის და ჩამოაქვს ლილის ფრაზა — „რომ ხარ, შენი არსებობით სიხარულის შენარჩუნება ძნელდება და ძნელდება, არადა, უნდა ეცადო“. ეს ძალიან მომეწონა.



ნა, აუტანელია უბედურის ნიღბის მტარებელ ადამიანთა სახეების ცქერა. რას მიაღწევნენ ამით, ვინმეს შეუძლია სხვაგვარად განიხილოს მისი მთავარი პერსონაჟის თვისებები? არავის. ინვალისი, რკინის ხელჯოხებიანი ნათია „გამოსასვლელი, საგანგებოდ ჩაცმული ნითელი კაბის ნაკეცებს რომ ისწორებს დაგრეხილი თითებით. სანამ დედაჩემის მიერ განყოფილ სადილს შეექცევა, ვიცი, რომ გიტარას მოითხოვს მორცხვად და საკუთარ ლექსზე შექმნილ ახალ სიმღერას გვიმღერებს“. დედამინაზე ერთი ადამიანიც არ შეგულებია, რომ ამ გოგონას სიყვარულით არ გადაეცვას გული. მას დამოუკიდებლად სიარული არ შეუძლია. მამას, ყოფილ მფრინავს, ნაფრონტალს, დაჰყავს. ეს კაცი ჩუმად და უწუნუნოდ ატარებს უღრმეს დარდას და სევდას. „ქმარი გაქვავებული სახით უხმოდ ისმენდა მის (გივი) ცოლის“ ჩხუბს, კვლავ ძლიერად ეჭირა მკლავებში თავისი ცოლ-შვილი და დოდოს ანწილობის მიუხედავად, მშვიდი, ნელი ნაბიჯით მოჰყავდა“ შვილი. აქაც ყველანაირი მკითხველს არ შეიძლება გული არ შეეკუმშოს მისი ერთგულების, პასუხისმგებლობის გრძობის გამო. ბოლოს ნათიანდაზვარდნილი მამის მოვლაც ნათიას ერგო. ვასკა, რომელსაც თავიდან ნათია არ უყვარდა, შემდეგ ღმერთს სთხოვს რომ დაეხმაროს, თუმცა ნათიას ეს არ სჭირდებოდა, რადგან „ღმერთის ის მაგრად უყვარდა და ჩემთვის შესაშური თვისებებით აძლიერებდა... და მე მამხნევებდა ის ძალა, რომელსაც ნათიაში ვხედავდი“. ასეა, ადამიანები იმიტომ გვექვია, რომ ერთმანეთი კი არ ვხოცოთ, არამედ თანალობა გამოვიჩინოთ.

ეს სტრიქონები რომ დავამთავრე უნებურად გავიფიქრე, „კარგი რა, ბიჭებო, (ვიგულისხმე ბეჯა, არჩილი და რეზიკო) ნაკლები იქეიფეთ და ბევრი იშრომეთ, თქვენ ხომ ძალიან იმჩიერები ხართ, წიგნის სათაურისანი მოთხრობებიდან ხომ არაჩვეულებრივი რომანი გამოვიდოდა, ასე ძალიან რომ არ ამოკლებდეთ დროის „უქონლობის“ გამო. იმიტომ კი არ ვამბობ, რომ გვიყვები რომანებზე, ვგრძნობ, რომ სივრცე-სიღრმეში ფრენა გეხერხებათ, მკითხველს კი სიმაღლეც სჭირდება... დაგტუქსეთ, ალბათ გენეყენებთ, მაგრამ რა ვქნა, ასე ვიფიქრე და...“

ახლა ვნახოთ, როგორი ადამიანია ნა-

თიასგან თავისი ცხოვრების წესით რადიკალურად განსხვავებული ლილი, ეს კოჭლი, გზასაცდენილი ნარკომანი გოგო.

„თავისი უცნაური ნაბიჯებით დაიწყო აქეთ-იქით სიარული, თითქოს ზღვის სანაპიროზე ქვევს შორის ჩამალულ ნიჟარებს ეძებდა.

— რას შვრები? — ვკითხე. — ჩემს ჩრდილს ვუყურებ, — მიპასუხა თავაუნებლად, — ასაკთან ერთად შენი მოძრაობების, პლასტიკის ცვლილებებს მასში უფრო ნათლად ამჩნევ... თვითონ რაებს ამჩნევს! მან ომარ ხაიამიც იცის: „მთვრალი ვარ ცოდვით და მაფხიზლებს სულის ძიება, თქვი, ამ ცოდვის თუ შეგიძლია შენ პატიება“. და სწორედ აქამბობს „რომ ხარ, შენი არსებობით სიხარულის განცდის შენარჩუნება ძნელდება და ძნელდება, არადა, უნდა ეცადო...“ ნორმალური მშობლები რომ ჰყოლოდა და არა „ჩათლახი დედა და გოთვერანი მამა“, როგორი პიროვნება დადგებოდა ეს ერთგული, თვალდაგონებამახვილი გოგო? ალბათ, კარგი...

ალბათ-მეთქი. ცხოვრებაში სხვანაირადაც ხდება, გააჩნია, „ჩიტი“ რომელ მხარზე დაგასკუბტება და მოახერხებ თუ არა მალე აქშევას. ვასკამ მოახერხა და აუქშია, მაგრამ... მშობლები ვახსენე და ბეჯა ქურხულის უსახელო ბიჭის ლამაზი დედა გამახსენდა, ურთიერთობამ ერთმანეთი რომ შეაძულა. ვასკა ამ მხრივ ნამდვილი რაინდია, სულიერ სიახლოვეს გრძობს ქართველ ნათიასთანაც და ინგლისელ ლილისთანაც იმითაც, რომ იცის, ხელები კი არ უნდა ჩამოუშვა და უბედურის „როჟა“ აიკრა, უნდა იბრძოლო სიცოცხლისთვის და იფიქრო, რომ „ღმერთისკენ სავალი გზების არჩევას არ შეეცდებინა, ინტუციამ, ყისმათმა და ნებისყოფამ არ მილაღატოს და სხვა მიმართულებით არ გამაქანოს...“ საქართველოში დაბრუნებულს დარდი გამოჰყვა; „კაცური ინსტინქტი მოსვენებას არ მამძღვდა, რომ უჩემოდ დაიკარგება (ლილი), განსაცდელს გადაეყრება, მშველელი არ ეყოლება, ჩემ გვერდით კი დაცული იქნებოდა...“. ასეთი ფაქიზი დამოკიდებულება აქვს ვასკას ყველა ჯურის, დონისა თუ ფენის ქალებისადმი. ნამდვილი რაინდია, დღეს გაიშვიათებული ტიპი. მოთხრობის ბოლოსკენ, რადგან შერიგებაზე მოლაპარაკების შემდეგ სისხლის ალებას ბოლო მიუღება, ბედნიერი ვასკა ერთ ქალთან შეივსება, რომელსაც ასე აღწერს: „ერთი ქალისგან ვბრუნდებოდი, აღარც მახსოვს, როდინდელი ჩემი ქალისგან. არიან ეგეთები. მთელი ცხოვრების გზაზე, რაღაც მონაკვეთით (ძირითადად, ხანმოკლე) სულ უბრუნდები და რა გასაკვირიც უნდა იყოს, ის გიღვებს ძველებურად, ჯივრულად. გახეული მთვრალი და გამხუბრებულიც ასე სოფხარ, მოლხენილიც და დარდიანიც, ჩეჩქი ფულით ჯიბეში და სასესხებლად მისულიც, გიღვებს, ნალველს გიქარვებს და გიშვებს“. მოთხრობაში არცერთი ქალთაგანი არ არის ვინმე გამოჩენილი ოჯახის „სვეციკი“ გოგო, ისინი უბრალო ადამიანები არიან და მისთანებს უნდა დანახვა და დაფასება, თორემ „ბედნიერები“ ნამდუვნუმ თვითონ გვეჩხივებიან თვალში, როგორც „მწერალი, მხატვარი, არქიტექტორი, დიდი ფეხბურთელი და საზოგადო მოღვაწე“ გარეწარი ნუგო, რომელმაც „პარტიას მისცა თავი“. უჰ! როგორ მომწონს ეს მეტაფორა, რა კარგად, ზუსტად და მოკლებულად და დამატებულად და პიკეს უნდადგება, გარდაცვლილებს სულელურად და დამატებულს არქმევდა, ხოლო თვითონ გამჭრიახობით ინონებდა თავს, რადგან „სხვის ომში“ მონაწილეობა არ მიიღო. შემდეგ, ბოლო წვეთის, „სხვისი ომის“ გამო ყალყუშემდგარი ვასკა გვიყვება; „ფართის მერე ნუგო რომ შევათრიე სადარბაზოში... მიხვდა მაღალ, დახვეულკბიბებიან სადარბაზოში მოხვედრის მიზეზს, ისე გაფუჭდა, ისეთი ფერი დაე-

ლო, რომ ხელი აღარ დავარტყი“. ბარაქა-ლა შენს მოთმინებას, ვასკა. მე, კაცი რომ ვყოფილიყავი, ხომ ფაფად ვაქცევდი!

წერის დროს თან მდევდა სათაური და პასუხს ვერ ვაგნებდი. ახლაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ვიპოვე და ამოვხსენი. უმთავრესი ამ მოთხრობაში, ჩემი აზრით, სწორედ ის არის, თუ არამკვლელი როგორ იქცა იძულებით მკვლელად. სხვაში შეეშალათ მოკლულის მეგობრებს. ვასკამ თავი ვერ იმართლა და სხვა გზა არ იყო, უცილობელ სიკვდილს უნდა დამალვოდა, სადმე გადახვეწილიყო. 6-7 წლის შემდეგ დაბრუნდა, რადგან, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, თავისი ქვეყანა, შვილი და მეგობრები მოეწონა. მეგობრები, „რომლებთანაც გაბმული ძაფები მარილიანი წვიმებით და ქარტყილებით გაჯერებულ „ტროსკბად“ იქცნენ“. მარილიანი წვიმები იქნებ სულაც არ იწმინავს მეგობრის დაღუპვით გამოწვეულ ცრემლებს, მაგრამ მე ასე მგონია და ძალიან მომწონს. მოკლულის ძმამ შერიგება გადაწყვიტა, საკმარისია სისხლი. შერიგება სამი დღის შემდეგ უნდა მომხდარიყო. სახლს მიახლოებული ვასკა ბედნიერია, ოცნებობს: „მე ვარ ჩემი თავის ციხესიმაგრე და კედლებში გაჩენილ ბზარებს დაუზარლად მოხელონი ცემენტით ვლესავ. ეგეცა ხარ ადამიანი, რას გაულო კარები და შემოუშვა ნებით, რას კიდევ ცხელი კუპრი გადაასხა ციხის გაღვინიდან... ყველა ბზარს რა ამოავსებს და არც არის საჭირო, ცუდთან ერთად იქიდან იმდენი კარგი შემოჟონავს...“. ვასკა ისეთი ბედნიერია, რომ „ჩიტი“ სულ დაავიწყდა, მაგრამ არ დაავიწყდათ „ჩიტს“ და მოკლულის ძმაცაც, რომელსაც შერიგების შესახებ გაუგია და დასწრება განუზრახავს. „მოპირდაპირე სადარბაზოდან ლანდი გამოხტა... იარაღის ლულ-იდან ცეცხლმა ორჯერ დაალო პირი“. ორივე ასცდა ვასკას, მაგრამ არ ასცდა ჩასაფრებულს, ვასკას „ნასროლი ორი ტყვიდან ერთი სასიკვდილო აღმოჩნდა მისთვის“.

ძალიან შემეცოდა მოკლული კი არა (ღმერთო, რას ვამბობ!), ცოცხლად დარჩენილი ვასკა, ძალიან... როგორ ცხოვრებას შეუდგება ისევ გადახვეწილი, უსამშობლო, იძულებით მკვლელი ბიჭი, არავინ იცის...

რატომ არ უნდა ამოვიდეს მზე?.. ალბათ იმიტომ, რომ შავ ლამეში ნაფიქრმა შავმა აზრებმა არ ნახონ დღის სინათლე, რომ მკვლელად არ გადაიქცეს ეს „კლასიკური ოროსანი“ კეთილშობილი ბიჭი. არ ვიცი... მგონი, პირველად ვერ მივუხვდი სათაურს, ანდაც მივუხვდი. კიდევ ერთი რამ ვერ გავიგე, მთელი მოთხრობა დაწერილია პირობითად, პერსონაჟი ყველა ამბავს. შორესთანად მეორე თავს კი გვიამბობს მესამე პირი, ავტორი. ეს ნაწილი კიდევ ნავიკითხე, დავინტერესდი, რას და რატომ ვერ მოყვებოდა ვასკა თავისთავზე, ვერაფერი ვნახე. ამით კი არ ვინუნებ, ეს მოთხრობას არაფერს აკლებს, მაგრამ არც ამბავებს. მწერალს ასე სურდა და იყოს ასე...

მოთხრობაში კიდევ ორმა თემამ დამაინტერესა. ეს არის წართმეული საყვარელი სათამაშოები: ჩიტი (ბრჭყალების გარეშე), კაუჩუკის ბურთი, მატარებელი და სხვა ყველაფერი, რასაც ბავშვებს ვართმევთ-ხოლომე ჩვენს ნებაზე და ჩვენს სასარგებლოდ. დასაფიქრებელია, რა კვალს ვტოვებთ ამით ბავშვის ფსიქიკაზე, მაგრამ ეს ფსიქოლოგების საქმეა. მეორე — როცა მამა-შვილი, ვასკა და ნუცა, საცურაო აუზზე არიან, სადაც ათმეტრიანი კომპიუტერული დიდი ინტერესით იყურება ყველა და კომენტარებს არ იშურებს, უნდა გადმოხტეს თუ არა პატარა ბიჭი, რომელსაც ეშინია... მაგრამ უნდა შევჩერდე!

მე ხომ კრიტიკულ სტატიებს არ ვწერ და ამიტომ არც მჭირდება ცნობილი კრიტიკოსების თუ ლიტერატორების ციტატების კორიანტელი. ამ შემთხვევაში ერთი ჩვეულებრივი მკითხველი ვარ, რომელიც დაინტერესდა თუ რას ფიქრობენ და გრძნობენ 90-იანელები და როგორ ესმის მათი მკითხველს. ეს არის და ეს... ალბათ პროფესიონალები დაწერენ კრიტიკას, რომელსაც ყველა და მეც დიდი სიამოვნებით ნავიკითხავთ...

კიდევ ერთხელ მამაჩემი და დედაჩემი

მამაჩემის დახუჭული თვალები — მერცხლის მოშლილი ბუდეები.

პირველად ვნახე ჩვენს მავთულივით განვრილებულ და დაჭიმულ მოთმინებაზე ჩამომჯდარი აი, ასეთი, აი ასეთი მამა მერცხალი — დაფეთებული, მხოლოდ ამ ერთხელ შეშინებული. ეს როგორ მოუვიდა, როგორ ჩამოასხა ათასი ცის ათასმა თავსხმამ ერთად მისი სახურავივით გაშლილი ფრთებიდან და ერთ ნაშში ჩამოურეცხა წლოვით ასე მყარად ნაშენი ბუდე. ეს როგორ მოუვიდა, როგორ?..

ზის და სხვა რომ ველარაფერი მოუფიქრებია, ეშინია, სხეულიდან ბალახივით გამოხეთქილმა გულისცემამ წვრილი მავთული არ შეარხიოს. მავთულის შერხვისგან ამოვარდნილმა ართიმულიმა ქარიშხალმა კი ჩვენ არ დაგვაფრთხოს, მასზე მეტად არ შეგვაშინოს.

მაგრამ ნამოუქროლებს დედაჩემის ერთი ამოხვრა ქარი, ნაიყოლებს დედაჩემის თვალების ფერს — კამკამა წყალში დალეკილ ქვიშას, დედაჩემის ფრთხილა სიცილის ჩიტბატონებს... ნაიყოლებს დედაჩემის სადაფის კლიფსებს ასკილის ყვავილის ფურცლებივით და დედაჩემის ლილისფერ კაბასაც. მიფრინავს კაბა, მიედინება, როგორც ქარდაკრული მდინარე ჰაერში და ვერცხლისფერი ლილები დამფრთხალი თევზებივით უსხმარტალებს. მიჰყვება ჰაერში მფრინავ მდინარეს დედაჩემის თეთრი ყელსახვევიც, მარტოხელა თოლისავით...

ნამოუქროლებს ერთი ამოხვრა ქარი და ნაიყოლებს ნუშის ყვავილებიან ტოტსაც. სულ რომ გამხმარიყო, გაზაფხულობით ნუში ერთ ტოტს მაინც აიყვავებდა მხოლოდ იმიტომ, რომ მამა მერცხალს დედაჩემისთვის მოეტანა, როგორც მისი სიყვარულით ხელისგულზე გაშენებული ხეხილის ბალი. მხოლოდ ამიტომ ჰყვაროდა ნუში, მხოლოდ ამიტომ...

ნამოუქროლებს ერთი ამოხვრა ქარი და ნაიყოლებს ჩვენი წვიმის წყლით დაბანილი ბავშვობის ნედლ სუნს და ბავშვივით პატარა ბილიკს. ბილიკზე — ყველაზე დიდი და ღონიერი მამაჩემი და მე და ჩემი და — თიხის კოკებივით, მის ძლიერ მხრებზე აქეთ-იქით შემოდგმულნი, უდარდელად მორუკრუკენი.

მიფრინავენ, მიფრინავენ ასკილის ფურცლები, ქარდაკრული მდინარე თუ ჩიტბატონები, მარტოხელა თოლია თუ ნუშის ტოტები, ბილიკი თუ თიხის კოკები... მიფრინავენ დროარეული, გეზარეული ფრინველებივით — ზაფხულიდან ზამთარში... მიფრინავენ და ვეღარ უძლებს მათ დანახვას მამა მერცხალი, კრთება, ჰაერის მძიმე კედლებს ეხეთქება და ჩამოშლილ ბუდეებთან ჩამოვარდნილი, საბოლოოდ კვდება.

ნაუუ, ნაუუ, ნაუუ... ირხევა და წყდება მავთულიც, მავთულიდან ჟღერიალი მღვრიე ტალღებივით გადმოდის ჩვენზე. და მოდის და მოდის გაუჩერებლად.

დედაჩემი რა? რა, დედაჩემი? — ვითომ ძლიერი, სინამდვილეში მამაჩემის გარეშე სუსტი... ადგა, მისთვის დამწინფებული შინდის ტუჩები ჩამოიკრიფა, გამოაშრო, კერკად აქცია. მამაჩემის ჩრდილს მიაკერა ამწყდარი ლილებივით, მერე ამ ჩრდილს შეეფარა და ასე დარჩა, მამაჩემით მოჩრდილული და სულ იქითკენ მზირალი, საითაც მამაჩემის დახუჭული თვალებია — მერცხლის მოშლილი ბუდეები.

ლელა ცუცქირიძე

*** არაფერს ვიტყვოდი სიყვარულზე, მაგრამ აგარაკის კარადა არ მასვენებს, სტუდენტობის დღიურივით მიფურცლავს კაბებს და შარფის სანიშნეს მიგდებს მწვანე კაბიდან. ფანჯრიდან ტყე ჩანს, ისიც კარადასავით, ხის საკიდებზე იქაც მწვანე კაბები იფურცლებიან, კაბებზე ბუდეებია ბროშებივით, ბროშებში კვერცხები — ნახევრადძვირფასი ქვებივით... მანამდე კი მინდორია, ჩემი მწვანე კაბასავით მიწაზე დაფენილი. ერთმანეთისგან ვერ გავარჩევ კაბას და მინდორს, მხოლოდ ესაა, როცა ზაფხულის შვრიისფერი შებინდებისას კაბის ელვა-შესაკრავი იხსნებოდა, ჩვენ ვერთდებოდით და დიდხანს, დიდხანს აგვდიოდა გასრესილი ველური მარწყვის სუნამოს სუნი, შემოდგომის პირს კი, როცა აგარაკებმა დათვებივით ძილს მისცეს თავი, მინდორის გაცვეთილი ბილიკი გადაიხსნა, მე ერთ მხარეს წავედი, შენ მეორე მხარეს, სიყვარული კი იქვე დარჩა, ორ კარადას შორის ბოდილა ბავშვივით გაჭედლილი.

მიცურავენ წეროები

როგორც თეთრი გონდოლები, მიცურავენ წეროები, ფიჭვების და ჩინარების შორდებიან კენწეროებს... ზურგის ქარი, წეროები, თეთრო, თეთრო გონდოლებო, ფრთხილად, ფრთები არ დაგებეთ შავი ღრუბლის მეჩქებზე. წინ გაცურდით, წეროებო, თეთრო, თეთრო გონდოლებო, იქნებ იქით ასახდენი სიყვარული გელოდებათ. აქ ნისლია, ნისლის აქეთ ისევ ნისლის სინოტივე, უკან ზამთრის მარტოობა და სიკვდილის სიმარტივე. მიცურავენ წეროები, დაუნერულ წეროებად რჩებათ თეთრო ბუმბულები მიტოვებულ კენწეროებს. მიცურავენ და ყელდან შეუმჩნეველად უცურდებათ მერამდენე გათენება — გაცრეცილი თავსაფარი. გაასწარით, წეროებო, თეთრო, თეთრო გონდოლებო, ქარებისაგან უთავებოლოდ აშლილ თოვლის იაღქანებს, უკან ნულარ მოიხედავთ, წეროებო, გონდოლებო, აქ რაც იყო და არ იყო, ყველაფერი მოგეჩვენათ. გაასწარით, სანამ სუსხი მისანივით გაგაშუმებთ, ფრთებზე სანამ გაგაშუმებთ ნისლის ლურჯი ორქიდეა, გაასწარით, წეროებო, თეთრო, თეთრო გონდოლებო, აქ ზამთრამდე ცოტა დარჩა, აქ ზამთრამდე ცოტა დროა.

მოხუცი სახლავი სიჩრნოვანი

„ეს სახლი, ძველი ინტელიგენტი“ ნინო ქოქოსაძე გოგოლზე ასეთი სახლებია (თბილისის სხვა ქუჩებზეც): წვიმის მერე აბანოდან გამოსულებს ჰგვანან — აგურის კედლები ვაფლის პირსახოცებივით შემოუხვევიათ. ჯერ ორთქლი ასდით, მერე აღმური. კარგად რომ გაშრებიან, სუროს ყელსახვევებს იკეთებენ, ცილინდრებს — საკვამურებს იხურავენ, აკაცის ოდეკოლონს ისხურებენ, ქუჩაში გამოდიან სახლები. სახლებს სახლები ელოდებიან აბლაბუდის ნაზი ვუალებით, ნიავზე ებურცებათ კოფთები ფანჯარა-ბროშებით და ნესტის ხვევრდის ქვედაკაბები. სახლებს ერთმანეთი უყვარდებათ, სახლები ქუჩაში სეირნობენ — მოხუცი სახლები აივნების ხელკავით. აივლიან, ჩაივლიან, ჩაივლიან, აივლიან, ერთმანეთისკენ იწვიან,

ერთმანეთისკენ იხრებიან სახლები. მოუმრავლდათ შთამომავლობა. თინეჯერი კორპუსები აწონილან, სიმაღლეში გადაასწრეს. უკეთიათ თეფშები — ყურსაცვამები. არ ესმით, არ ესმით აწონილ კორპუსებს, არასდროს არ ესმით მოხუცი სახლების.

იშლება გუელის კერამიკის სერვიზები — ღრუბლებზე საღამო და მთვარე ინთება — მაქმანის მბჟუტავი აბაჟური. სახლები იცხოვენ სახურავ ორცხობილებს და ფინჯან ჩაისთან ბაასობენ — საამურად. მერე ვარსკვლავების ლოტოს თამაშობენ, ფლირტობენ ქოთნის ყვავილების ფლირტით. მონსტერა: ძვირფასო, ო, როგორ მიყვარდით. ალოე: ძვირფასო, მაცოცხლებ... მონსტერა: ძვირფასო, ნუ გიკვირთ... სახლები ჰყვებიან ნიგნების დაფურცლულ გვერდებზე (კიბეზე) დაბეჭდილ, ათასგზის წაკითხულ რომანზე, უკრავენ სახლები როიალზე, მღერაინ სახლები რომანსებს. ქუჩაში ქარი და კატები აჯაზებენ, თუნუქის ქილები ბუნკერთან — დრამები. „ჟოლობი“ — საქსოფონი, საყვირი, ტრომბონი... ცეკვავენ სახლების აჩრდილები. ვალსი და ფოქსტროტი...

მერე აივნების ხელკავებით ხეების ხელჯოხებზე დაყრდნობილნი, ისევ სეირნობენ სახლები, სახლები ერთმანეთისკენ იწვიან, სახლები ერთმანეთისკენ იხრებიან...

ინგრევიან მოხუცი სახლები.

*** მაშინ, როცა სასურსათო მალაზიასთან რძის სავესე ბოთლები ფეხმძიმე ქალებივით მწკრივდებოდნენ და ერთმანეთის დაბერილ მუცლებს ცნობისმოყვარედ უთვალეიერებდნენ, ჩემი ქალაქის ქუჩებში ქურთი ქალები გამოდიოდნენ ზურგზე ჩვილივით აკიდებული გარიჟრაჟებით. მათ ყურის ბიბილოებს ოქროსფერი მზეები ცეცხლად ეკიდა, უთავებოლო ქვედაბოლოები კი სამყაროს ყველა მკვეთრი ფერით ბრიალებდნენ. თითქოს ნაცრისფერი ქალაქი უზარმაზარ სარეცხის ქვაბში ვარდებოდა და ათასფრად იღებებოდა. ყვითელი, მწვანე, წითელი, ლურჯი... ლურჯი, წითელი, მწვანე, ყვითელი... მწვანე, ყვითელი, ლურჯი, წითელი... უცნაური შუქნიშნებივით ციმციმებდნენ ქურთი ქალები ცარიელ ქუჩებში. ყველა ფერზე გადაძახილი შეიძლებოდა. ყველა ფერზე გაღიმება შეიძლებოდა, ყველა ფერზე გადასვლა შეიძლებოდა...

ახლა გარიჟრაჟს ნაცრისფერზე უსახური, გაცრეცილი ფერები აქვს. ყვითელი, მწვანე, წითელი, ლურჯი... ლურჯი, წითელი, მწვანე, ყვითელი... მწვანე, ყვითელი, ლურჯი, წითელი... თითქოს ვილაცამ ჩემი ქალაქის ათასფერქვედაბოლოებიანი ქურთი ქალები სამუდამოდ მოაჯადოვა და პოლიეთილენის ფარშევანგებად გადააქცია.

*** ღმერთო, მე გხედავ. შენ იქ ცხოვრობ, იმ მინის გამჭვირვალე, გუმბათიან სამურაბეში, ჩემმა შვილმა დედის დღეზე რომ მარუქა. თურმე მთელი კვირა აგროვებდა სკოლის ბუფეტისთვის მიცემულ ხურდას. არ ყიდულობდა შოკოლადებს, არც კოკა-კოლას, არც ფუნთუშას... არადა, რომ იცოდე, ჩემი შვილი რა მსუნაგია და როგორ უყვარს ტკბილეული, ღმერთო...



ნუკრი ფირცხალავას ნახატი

განგაში

ქალაქში საშიში ქარია,
ქალაქებს ტოვებენ კვარტლები.
კვარტლებს ტოვებენ ქუჩები.
ქუჩებს ტოვებენ სახლები.
სახლებს ტოვებენ მშობლები,
სახლებში ბავშვები რჩებიან.
ბავშვებო, მოშორდით ფანჯარას!
ფანჯარიდან საშიში ხედა!

ბავშვებო, ნუ ტოვებთ ოთახებს!
ბავშვებო, კართან არ მიხვიდეთ!
ბავშვებო, კიბეებს ერიდეთ!
ბავშვებო, ლიფტში არ შეხვიდეთ!
ბავშვებო, ნუ ტოვებთ ეზოებს!
ბავშვებო, საშიშად დაღამდა!
ბავშვებო, ბავშვებო, არ ჩანხართ!
ბავშვებო, ბავშვებო, სადა ხართ?!
ბავშვებო, დაბრუნდა ქალაქი,
დაბრუნდნენ კვარტლები, ქუჩები,
ბავშვებო, მშობლებიც დაბრუნდნენ!
ბავშვებო, გეყოფათ ურჩობა!
ბავშვებო, მშობლები გეძებენ,
ბავშვებო! სასწრაფოდ დაბრუნდით!
ჯერ კიდევ თბილია საწოლი,
ჩაი და ალუბლის ნამცხვარი.

ბავშვებო, ბავშვებო, სადა ხართ?!
აქ თქვენი სახლია! დაბრუნდით!
...ოლონდაც დაბრუნდით, ნუ შიშობთ,
არავინ არ გეტყვით საყვედურს...

პარი

საცხოვრებელი შევიცვალე.
თუ სურვილი გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ შემომიაროთ.
იმდენ ამბავს მოგიყვებით...
აი, თუნდაც ამ სახლის ყოფილ დიასახლისზე.
ამბობენ, რომ ლამაზი იყო, მხიარული.
საათივით მონიკნიკე ოჯახი ჰქონდა.
მთელი ცხოვრება სხვები უყვარდა
და თანაც ისე,
რომ საკუთარი თავის სიყვარული ავიწყდებოდა.

გამოდებოდა უთენია,
ყველას მაგივრად იწყებდა ფუსფუსს.
მის გარეშე დროულად ვერ გაიღვიძებდნენ,
ისაუზმებდნენ, ივანშემებდნენ,
წავიდოდნენ, მოვიდოდნენ და საერთოდ,
ვერ ისუნთქებდნენ...
ასე ეგონა.

... არიან-ხოლმე ასე ქალები.
მოდური, თხელი თავსაფარივით უფრიალებთ
გამჭვირვალე, მსუბუქი ფრთები.
მიფრინავენ საკუთარი სიზმრებიდან და ცხოვრებიდან.
ფიქრობენ, რომ მის ნახვას მერეც მოასწრებენ,
მშობლიური კუთხეებით
და ჯერ სხვა ქვეყნის საზღვრებს ჰკვეთენ,
სხვა ქვეყნებში მოგზაურობენ.
მოგზაურობენ ქმრების ტურბულენტურ საღამოებში,
მათ ბახუსიან უდაბნოებში,
ჩამოდრულულ გათენებებში...
ჭიქებში ამოვარდნილ შტორმშიც შედიან
და ალისფერიალქნიან გემებს უცდიან.
მოგზაურობენ შვილების კრუნჩხვიან და
სიცხიან ლამისთევებში,

ბატონებით დანიშნულ ჩქარ მდინარეებში...
ქუჩის ფათერაკიან სავანეებში,
სადაც ერთ დროს მზესუმზირებით
გრძელკისერა და ყვითელი ჟირაფები
დამშეულ აფთრებდა და დაქცეულან და
სისხლის სუნს ელოდებიან...

ამასობაში კი, მოდური თავსაფარივით მოფრიალე,
მსუბუქი ფრთები
გადაუღებელი სიყვარულით უმძიმდებათ
და ერთხელაც,
საკუთარ თავში ავარიულად დაშვებულები,

აღმოაჩენენ, რომ
თეთრეულივით საგულდაგულოდ გახამებული,
ქმარშვილამოქარგული მზიანი სახლიც
ამ გადაუღებელი სიყვარულისგან
დაულპათ და სხვა სახლებისკენ

წვეთ-წვეთობით გაენრიტათ.
ჯერ ვთქვათ, ამობერილი საბნის პირის სახურავი —
გულაღმა მთვლემარე, ღიპით თავმომწონე ქმარი ნავიდა,
მერე ზენრის კედელი — ბიჭი,
ბოლოს ბალიშისპირის ფანჯარა — გოგო.
გაინრიტნენ უკანმოუხედავად
და სხვა სახლებში გადაზიდეს თავისი ხმები:
ქმარმა — აშლილი აკორდეონით ხრინნანი,
ბიჭმა — ბას-გიტარასავით დაბობებული,
გოგამ — პიანინოსავით მონოტონურგამებიანი.

ქალები კი დარჩნენ, სიცარიელეზე აჭედებული კარივით,
რომელშიც მხოლოდ ზარის რეკვის რეზონანსია
ჩარჩენილი,
არფის სევდიანი და ტალღოვანი მუსიკასავით.
დარჩნენ თავისცხოვრებაუნახავები,
თანდათან შაქარნაკლული მურაბებივით

აუმჯავდათ სხეულები
და თავები ნაჩქარევად მოხუფული
კონსერვებით ახედათ
მარტოობის გაუსაძლისი შაკიკისაგან,
როგორც ამ სახლის ყოფილ დიასახლისს,
ერთ დროს მხიარულად რომ ფუსფუსებდა

ყველას მაგივრად,
მერე კი, გაჩერებული კედლის საათის
უმოქმედო, მივინყებულ გუგულად იქცა.

...
ჩემზე რა, ჩემზე რა უნდა გითხრათ,
დაბზარულ ტანში
მარტოობის ლურჯი ყვავილი ამომივიდა
და ფანჯრის მინაზე გადავიდა ანარეკლივით...
...ჰო, მისამართი?
არც კი ვიცი, რა ანერია,
ახლავე ვნახავ:
„მარტოხელა მოხუცებულთა თავშესაფარი“.

მოდით, აუცილებლად მოდით, შვილებო,
და მხოლოდ თქვენზე,
მხოლოდ თქვენზე ვილაპარაკებ.

სინამდვილეში კი...

როგორც ყოველთვის,
აღდგომა დღეს ელოდნენ სტუმრებს.
გამოიპრანჭნენ ბებიჩემი ნინა და მეზობლის ქალი,
ისიც ნინა.

ბებიჩემს დილაბინდის სილურჯეში გავლებული,
მაყვლის ყვავილებშიყრილი კაბა ეცვა აფუებულ ტანზე,
მეზობლის ნინას, სარეველასავით კაფანდარას
და წვრილწელიანს,

ციდა ყვავილების მძივი ეკიდა.
ელოდნენ სტუმრებს, დიდხანს ელოდნენ,
და როცა მზე მთების იქით გადაგორდა
ნითელი კვერცხით,

ადგნენ, გამოხსნეს ბრაზიანად
დაჟანგული რკინის ჭიშკრები
და გზას გაუყვნენ.

როგორ იწვალეს, იფუსფუსეს,
დააცხვეს მჭადი ცხელ კეცებზე და
ხაჭაპურიც, იმერული, ჩემო ბატონო.
შვილებს ელოდნენ, შვილიშვილებს,
იმათ შვილებს და ასე შემდეგ,
და რა, არავინ არ მოვიდა, სულ არავინ!

მიდიან ხელიკივით ზანტად გადანოლილ ბილიკებზე,
დიდხანს მიდიან, მიშრიალებენ.
მსუქანი ნინა, ბებიჩემი, დინჯი ნაბიჯით,
დღესავით თეთრი მაყვლის ყვავილები უღამდება.
გამხდარი ნინა, მეზობელი, მსუბუქად მიხტის,
გზადაგზა ციდა ყვავილების მძივი ეპნევა.
იშვიათად შეხვდებათ ვინმე,
მაგალითად, ერთი —
ანწლის არყისაგან გვარიანად შენითლებული,
ხან ხევისპირას მინვება და ხან ორღობეზე,

ხან აღმართზე და ხან დაღმართზე,
თავის კანტურით ესალმება,
თან ბოდიშს უხდის,
იმერეთია, ჩემო ბატონო.
მეორე — ჯონჯლის ჯინჯილებიანი ეპოლეტებით,
გადამდგარი პოლკოვნიკივით წელგამართული ესალმება,
მესამე — ჭრიჭინასავით მხიარული და მოჭრიჭინე,
ნითელბანტიან გიტარას უკრავს.
მეოთხე — ვითომ მორცხვი ციციანთელა,
ხან გადამდგარ პოლკოვნიკს უკრავს თვალს,
ხან — აწწლის არყით გვარიანად შემთვრალს.
მსუქანი ნინა გაუვლის გვერდზე და

გაკანრავს გაბრაზებული,
გამხდარმა ნინამ შეიძლება ფეხიც წამოსდოს.
როგორც ჩანს, ძველი ანგარიშები აქეთ
ვითომ მორცხვი ციციანთელასთან,
ალბათ ქმრები გადაურია თავის დროზე
და ღამით გარეთ გაიტყუა თვალის პაჭუნით.
ხვდებიან ოდებიც, იმერელი ქალბატონებივით.
ათასჯერ წვიმის წყლით გარეცხილი,
უკვე დამდნარი, ჩუქურთმიანი აივნები აცვიათ,
მაგრამ მაინც,
კოპნიები და კოხტები, ჩემო ბატონო.
მიდიან ასე.

მთელი სოფელი გადაიარეს,
წყაროსთან ფეხზე გამოიცვალეს
აყალოს სარჩულგამოკრული კალოშები.
მსუქანმა ნინამ რძლის ჩატანილი
თბილისური „ბასანოკი“ ჩაიცვა,

გამხდარმა ნინამ — ადრე ჩემი ნაჩუქარი
ნითელი საბავშვო ფეხსაცმელი,
თავის დროზევე დიდი რომ ჰქონდა
და მაინც იმით დადიოდა გასვენებებში,
თავს იწონებდა.

ჩამოიფერთხეს კაბებიდან მტვერი და
ჩვენი ეზოს ჭიშკარი შეხსნეს.
— ჰაიიტ! — დაჰკვილა ამ დროს
ცხენივით ფაფარაშლილი კაკლის ხიდან ბაბუაჩემმა,
თვალეები გააკვესა ბუსავით.
ბებიჩემმა, მსუქანმა ნინამ, ყურადღება არ მიაქცია,
მიჩვეულია ამ „ჰაიტ-ჰაიტს“,
ერთიც იმერელია და მეორეც, ჩემო ბატონო.
ჩამოსნია ოდის ურდული.

ერთი სული აქვს, სახლში შევიდეს,
აინტერესებს, იქ რა ხდება.
ალბათ სანამ სახლში არ იყო,
თავგებმა რაგბი ითანამშეს
(ასე მე ვფიქრობ, თორემ ბებიჩემმა რა იცის რაგბის),
ობობებმა თავიდან გადაქსოვეს სახლი
(მანამდე თავად ჰქონდა გადაქსოვილი ყანისალით)...
— ჩიტმაც თავისი ბუდე იცის
და ამათ რაღა მოუვიდათ,
სახლისთვის რომ ვერ მოუგნიათ, —
ჩვენზე ამბობს, მაგრამ ჩუმად,
გამხდარმა ნინამ რომ არ გაიგოს, ისე.
იმას კი თავისი საფიქრალი ჰყოფნის, თავისი სახლის,
მისი ენაჩავარდნილი დღეებისა და ღამეების.

სინამდვილეში კი ყველაფერი ასე არაა.
სინამდვილეში მსუქანი ნინა, ბებიჩემი, მაყვლის ბუჩქია,
ლოზე არ ეყო და სახლს მიადგა,
უკვე ურდულს სწევს.
გამხდარი ნინა სარეველაა,
სანამ თავის სახლს მიადგება,
მანამდე ისიც ჩვენთან მოსდებია გადაშლილ ეზოს,
თითქოს ისვენებს.
ისედაც, ჩვენი ეზოთი იმოკლებდა გზას,
ჩამოჯდებოდა და სოფლის ამბებს
ლობიოსთან ერთად არჩევდნენ.

მერე ამ სოფლის ამბები არ ეყოთ და
იმ სოფლის ამბების გასაგებად სასაფლაოზე გადავიდნენ,
რა თქმა უნდა, გაპრანჭულები,
„რედიკულებით“, ჩემო ბატონო.
დანარჩენები, გზად შემხვედრნიც, სინამდვილეში —
ანწლი, ჯონჯოლი, ციციანთელა და ჭრიჭინაა,
იმ უბანში ეგენი დარჩნენ ერთგულად და დაუფასდათ,
კარგად გამრავლდნენ.
და ბაბუაჩემი აფრასიონიც, სინამდვილეში ბუა —
ცხენივით ფაფარაშლილი
კაკლის ხის გამოჭრილი ფულუროდან

რომ იყურება.
სწორედ მაგას ჰგავს ერთ ფოტოზე —
კაკლის ხესავით ფერმეცვილიზე და ძველისძველზე:
მუყაოს ფაფარაშლილ ცხენზე ამხედრებულს,
ტოტივით მალა ანეულ მუყაოს ხელში
მუყაოსავე დამბაჩა უჭირავს,
მარტო თავი აქვს ნამდვილი,

გამოჭრილი წრიდან მოუჩანს.
განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბუს წარბები აუპრეხია,
ბაბუაჩემს — ულვაშები.
— ჰაიიტ! — დასძახებდა ხოლმე კედლიდან
ლამის ბავშვობაშივე დაქვრივებული ბებიჩემის
და ობოლი შვილების შემწუნებლებს.
— ჰაიიტ! — და მუყაოს დამბაჩას ჰაერში დააქუხებდა.
სინამდვილეში კი,
წვიმდა და ქუხდა,
წვიმდა და ქუხდა
და ჭერიდან წვიმის წყალი ჩამოდიოდა,
ჩამოდიოდა...

შვილის უპირველესი მოვალეობა მანც ის ყოფილა, რომ სცოდნოდა და ყოველმხრივაც გაესიგნებინა, სად და რაზედ გაჩერებულიყო მამა, რათა იქიდან განეგრძო გზა და მოღვაწეობა თვისი.

ილია ჭავჭავაძეს ამ ეთიკურ ფორმულაში მოექცია შვილის ვალი, როგორც ქვეყნის ცხოვრების განმსაზღვრელი პირობა, მისი უმთავრესი წესი, მისი ზნეობრივი ქვეყნისეული, მისი არსებობის საფუძველთა საფუძველი.

ზვიად გამსახურდია ილიას ამ ანდერძზე ააგებდა თავისი მოღვაწეობის გეზს — გაიზარებდა, სად გაჩერებულიყო კონსტანტინე გამსახურდია და იქიდან გააგრძელებდა გზასავალს.

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსიც ამ ანდერძზე ააგებდა თავისი მოღვაწეობის გეზს — გაიზარებდა, სად და რაზედ გაჩერებულიყო ზვიად გამსახურდია და იქიდან გააგრძელებდა თავის გზასავალს.

ეს ყოველივე სიმბოლურ პლანშია ნაგულისხმევი.

თუმცა ყოფილი რეალობის ერთი შტრიხი თუ ერთი სხივი გარეგნულადაც დაადასტურებდა ამ მამაშვილურ მოვალეობას და უმცროსი კონსტანტინესათვის ბრიტანელ პრერაფაელიტთა ლექსების ქართულად ამეტყველებისათვის შთაბეჭდილებები ის ნამოწევა აღმოჩნდებოდა, ზვიად გამსახურდიას სახელს რომ დაუკავშირდებოდა და ამ დიდი განზრახვის შესავალია შემოგვრჩებოდა.

ესეი უილიამ მორისზე, პრერაფაელიტთა ერთი გამორჩეულ სახელზე.

და ესეი ოსკარ უაილდზე, ვინც ამ ლიტერატურული ძიების უშუალო წვერი არა ყოფილა, მაგრამ მათი ესთეტიკის დიდ ზეგავლენას განიცდიდა და ესეისტიც სწორედ ამ კუთხით დაუკვირდებოდა და შეაფასებდა მისი მრავალფეროვანი შემოქმედების მხატვრულ თავისებურებებს. და არ იკამრებდა მარტოდენ პორტრეტის გამოკვეთას და შექმნიდა მისი ლიტერატურული ზღაპრების ქართულ ვერსიასაც, რომელიც მისი ვაჟისათვის ერთი უსაყვარესი წიგნი შეიქნებოდა ბავშვობიდანვე, მის ყმაწვილურ ხილვებსა და მისწრაფებებს უშუალოდ გადაჯაჭვული, და მოგვიანებით პრერაფაელიტთა სამძოთი რომ დაინტერესდებოდა და მათი ლექსების გადმოქართულებას მოჰკიდებდა ხელს, უთუოდ თავისი ბავშვობის ნოსტალგიაც უბიძგებდა საამისოდ.

და არანაკლებად, ვიდრე პრერაფაელიტთა მნიშვნელოვანი ღვაწლი ხელოვნების განახლებასში.

რა იყო ჩვენი წამოწყება და მოძრაობა — ათიოდე ახალგაზრდის უმნიშვნელო ფანტაზიორობაო, — თავმდაბლურად აღნიშნავდა დანტე გაბრიელ როსეტტი, რომელსაც თავიდან უსათუოდ სწყინდა, მათ წრეულ სწრაფვას ხელოვნების ფერისცვალებისათვის კიჩურ თვალის დაფახულებასთანაც რომ გაიგივებდნენ, მაგრამ არც რაღაც განსაკუთრებულს ხედავდა თავისი სამწერლო ცდებში, რომლებიც — შთამომავლობის თვალში — სიმბოლიზმის სათავედაც დაისახებოდა და იმპერსონიზმისაც, კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი თავის მხრივ ქართულ ლიტერატურასაც რომ მოინიშნავდა ამ წრეში და კრებულისათვის დართული შესავალი წერილის „პრერაფაელიტიზმი დიდ ბრიტანეთში“ ბოლოს მკითხველს ამცნობდა პრერაფაელიტური ესთეტიკის ზეგავლენას გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ვალერიან გაგონინაძისთვის ან თუ ტიცინი ტაბიძის პოეზიაზე.

ეს ის დაკვირვებაა, რომელზეც ადრე თუ გვიან შესაძლოა ვრცელი ნარკვევი თუ სულაც მონოგრაფია ამოიზარდოს, მითუშეშეს, რომ მკვლევარს ხელთ ქართულ სივრცეში ექნება პრერაფაელიტური სკოლის გამოჩენის საწყისებიც.

როდესაც უაილდის ზღაპრებს ხელ-იდან არ იშორებდა, უმცროსი კონსტანტინე მამის, ცხადია, სრულიად არ დაგიდევდა ამ ნიმუშთა ლიტერატურულ სიახლესა თუ თავისებურებას და არც ის ანაღვლებდა, თუ როგორ მიეღწია მამა-ორის ამ ზღაპრების შესატყვისი სტილური ორეულისათვის, დაბეჯითებით რომ ირწმუნებოდა: ქართული ლიტერატურა, მიუხედავად სასულიერო-ქრისტიანული საწყისებისა, მაინც ენათესავება აღმოსავლურ ლიტერატურას, განსაკუთრებით ჩვენი საერო მწერლობა, რომლის უმდიდრესი ტრადიციებიც იძლევა შესაძლებლობას ყოველგვარი სტილის ეკვივალენტის შექმნისა, განსაკუთრებით კი ისეთი ორნამენტული, მალაფარდოვანი და

როსტომ ჩხეიძე

პრერაფაელიტურ ყვავილთა კონსტანტინე გამსახურდია

ოდნავ არქაიზებული სტილისა, როგორც ახასიათებს უაილდის ზღაპრებს, ხოლო აღმოსავლური სპეციფიკა მხოლოდ ადვილებს მისი ზღაპრების გაცოცხლებას ქართულ ენაზე, — თუმცა ის „ოდნავი არქაიზაცია“ მძაფრი პოლემიკის შუაგულშიც მოაქცევდა და მტკიცება და ახსნა დასჭირდებოდა, თუ რატომ აერჩია მანც ცხადამანც ეს სტილური მანერა.

ყმაწვილს ისე შეეთვისებინა და შეესისხლხორცებინა ეს უჩვეულო მხატვრული სამყარო, ჯერ მხოლოდ ალლოთი გრძობდა რაღაც განსხვავებულობას გასართობად შეთხზული ზღაპრებისაგან, უანრისაგან, რომელსაც ევროპელი მწერლები უაილდამდეც მიმართავდნენ, მაგრამ „დორიან გრეის პორტრეტის“ შემოქმედს ენერა ახალ დროში ზღაპრისათვის ჭკმარატივი მხატვრულობის მინიჭება, ბუნებისა და ცხოვრების სინამდვილეს პირობითობის ენაზე რომ გადათარგმნიდა.

რაო, რას ირწმუნებოდა და თვითონაც რატომ მოენდომებინა ამ ძველთუძველესი ანრის ადღგენა ახალ სამოხელში?

— ყოველი დიდი ხელოვანი, დაწყებული ჰომეროსითა და ესქილეთი, და დამთავრებული შექსპირითა და კიტსით, პირდაპირ უშუალო სინამდვილეს არაღმომართავდნენ თემის ძიებისას, არამედ ეძებდნენ თემებს მითებში, ლეგენდებსა და ზღაპრებში.

ზვიად გამსახურდია ამ ოთხი ტიტანის სახელს დაუმატებდა რუსთველსაც, უაილდის ზღაპრებს კი მოიხსენიებდა უჩვეულოდ ამალღებულ პროზაულ პოემებად, სადაც ცხოვრების როგორც ნათელი, ისე ჩრდილოვანი მხარეები, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის უზოგადესი მომენტები და პიროვნების ჭიდილი ბედისწერასთან პირობითობის მეშვეობით აზიდულიყო მალაღმხატვრულ სიმბოლურ განზოგადებად.

უაილდის მისვლა ზღაპართან ნატურალიზმის სიძულვილს რომ გამოენვია და კიდევ ხელოვნებისათვის ახალი დროისა და სივრცის გარეთ მდებარე სფეროს ძიებას, ეს მოტივები დასავლელ ლიტერატურათმცოდნეთ უკვე აღენიშნათ, და ქართული მკვლევარი და მთარგმნელი ამ გარემოებებს ჩვენთვისაც რომ გაიმეორებდა, მიუმატებდა ერთ მოტივსაც, თითქოს სასხვანათსოროსოდ და ნაკლებ მნიშვნელოვანს, მაგრამ მისთვის ყველაზე ძვირფასს და, ამავდროულად, უპირველეს შთამავგონებელს ამ ზღაპრების ქართულად ასამეტყველებლად:

— შესაძლოა, კელტურმა სისხლმაც მიიყვანა ზღაპრის ჟანრამდე.

საფულისხმოა, რომ როდესაც ირლანდიური საგების შოთა ჩანტლაძისეულ თარგმანს შეაფასებდა, ესეის „ძველირლანდიური საგა და მითოსი“ ამ მომხიბლავი აკორდით დაავგონებდა:

— ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ირლანდიელი მთქმელი-ოქროპირი გაცოცხლებულია ქართულ ნიადაგზე, თითქოს კელტი ხალხის გენია თავისი მონათესავე ქართული გენის პირით გვაუწყებსო გარდასულ დროთა ამბებს, რათა ალაგზნოს ჩვენს სულში ღრმად მიძინებული წყურვილი გმირობისა.

და აგრე ახლა კელტურ სისხლს ყვივლა სრულიად ახლებური ლიტერატურული ზღაპრის შესაქმნელადაც. და ესეისათვის დართული ეპიგრაფის ღრმააზროვანი მინიშნებაც ხელშესახებდა გაცხადებულობა და თითქოსდა შემთხვევით ჩაგებულური ფრაზის შემდეგ, მაინცდამაინც სულხან-საბა ორბელიანის ლანდს რომ გამოიხმობდა: და ზღაპარმა მარტივად სთქვას ჭკმარატივობისა.

ოსკარ უაილდის ირლანდიურ წარმომობას თავისი უშორესი ფესვებიც უნდა გადაეხსნა ზვიად გამსახურდიას წინაშე, ვინც საგანგებოდ წარმოაჩენდა პრერაფაელიტებთან უაილდის ნათესაობის გარემოებებსაც — თხზულებათა ერთი ნაწილის თემატიკა (მიდრეკილება ფანტასტიკურობისა და ზღაპრულობისაკენ), მხატვრულ სახეთა სტატიკურობა (განსაკუთრებით ლექსებში), რთული და ბევრისმთქმელი სიმბოლიკა და ცალკეული იდეები, რომელთაც ესეის სიუჟეტში თანდათანობით განიხილავდა, ხოლო როდესაც მის პოემში „ეროსის ნალკოტი“ ამოიკითხავდა უილიამ მორისის ქებას, ჯეფრი ჩოსერსა და პერბერტ სპენსერთან რომ აზიდავ-



და იმის სახეობას („...ჩვენი დიდებული, სადა ჩოსერის პირმშოა მორისი, სპენსერმა ხმატკბილი სტივრი უანდერძა მას ჩვენდა საშვებლად...“), კიდევ შეეცდებოდა თავის მხრივაც წარმოეჩინა პრერაფაელიტური ძიების ამ გამოჩეული ფიგურის ლიტერატურული პორტრეტი და მის ფონზე საცნაური გაეხადა მკითხველისათვის ამ სამწერლო სკოლის ესთეტიკური მრწამსიც და მხატვრული-იდუური პრინციპებიც, ალბეჭდილი შინაგანი წინააღმდეგობებითაც, მაგრამ ამლევარებით ხომ მაინც აამლევარებდნენ დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას და განსაზღვრავდნენ ინტელექტუალურ ნაკადს.

მორისის პოეტურ ბუნებაში ღრმად რომ ჩაიხედავდა, ნაედავებოდა თვით ბერნარდ შოუსაც, ვინც წიგნში „პორტრეტები და მიმოხილვანი“ განასხვავებდა პოეტის ორ ტიპს: ლიტერატურულსა და წინასწარმეტყველს და პირველ ტიპს მიაკუთვნებდა კიტსს, მეორეს კი მორისს.

არადა, ზვიად გამსახურდიას შეხედულებით, უილიამ მორისი ორივე ტიპს აერთიანებდა თავის რთულსა და მრავალფეროვან პოეტურ სამყაროში, ეს უკიდურესად ესთეტი შემოქმედი, ვინც თავდაპირველად შეგნებულად გაურბოდა თანადროულობას, ეძიებდა თემებს არტურის ციკლის ლეგენდებსა და სკანდინავიურ მითოლოგიაში და ცდილობდა ჩოსერის ტრადიციის აღორძინებას, მოგვიანებით კი ჩაეფლობოდა საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ მოღვაწეობაში და გააგრძელებდა ამ სფეროში რომანტიზმის საუკეთესო ტრადიციებს.

და ნიშანდობლივია, რომ მისი მიმდევარნიც ისევე გამოიკვეთებოდნენ, როგორც ოსკარ უაილდისა, რის დასტურებადაც რინარდ ოლდინგტონის რომანის „გმირის სიკვდილი“ ერთ პასაჟს მოიხმობდა, პრერაფაელიტთა შემოქმედებით პროფილის უმთავრეს ნიშნებს კი ამგვარად გვამცნობდა, რომ: მათ იმიტომ გაეიდუალებინათ რაფაელამდელი მხატვრების — ჯოტოს, ფრა ანჯელიკოს, სიმბაუესა და სხვათა პრიმიტივიზმი — რომ ფერწერაში ტექნიკის სრულყოფას დააბრალებდნენ ნანარმოების იდეურ-შინაარსობრივ გაღარიბებას, მანამდელ ხელოვანთა ქმნილებებში კი იპოვნდნენ — ყოველ შემთხვევაში, თავს დაირწმუნებდნენ — ბავშვური ტიტინით წარმოთქმულ მგზნებარე წინასწარმეტყველებებს. და რაკილა რაფაელამდელ მხატვრებში ხიბლავდათ პირველყოფილი სიხალავე და სინრფეღე, მათ რელიგიურ მისტიციზმს ნეოჰედონიზმის ნიადაგზე დაამყნობდნენ თავიანთ შემოქმედებაში და ამით დაუპირისპირდებოდნენ რაფაელისა და ფლამანდიური სკოლის „სიცარიელეს“.

ერთი მხრივ თუ ჯონ რესკინის შეხედულებანი შთავგონებდათ პრერაფაელიტებს, მეორე იდეურ მამად უოლტერ პეიტერი მოვლინებოდათ, დაპირისპირებული ვიქტორიანულ მორალს, უარმყოფელი ხელოვნების ზნეობრიობისა და ნეოჰედონიზმის მქადაგებელი, შემდგომ მისი მოწაფე ოსკარ უაილდი რასაც განავითარებდა.

ზვიად გამსახურდიას უილიამ მორისის პიროვნებაში ხიბლავდა ის, რომ დანარჩენ

პრერაფაელიტთა მსგავსად თავის ვინრო ესთეტიკურ ნაჭუჭში როდი ჩაკეტილიყო, არამედ — გარდა პოეტობისა და მხატვრობისა — წარმოგვიდგებოდა დიდ ტრიბუნად და მოქალაქედაც.

არა ჰყოფნიდა „თავხედობა“, შოუსა და უაილდის მსგავსად პირში მიეხალა სიმართლე თანადროული საზოგადოებისათვის?

სამაგიეროდ, გადაკვრითა და იგავურობით განუწყვეტლივ მიანიშნებდა ამ ყოფითი სინამდვილის უკუღმართობას და საამისოდ ალაპარაკებდა წარსულისა და მომავლის ადამიანებს.

ესეიმი ზვიად გამსახურდია ორიოდ სტრიქონსაც ჩართავდა მორისის პოეტური ნააზრევიდან, რაც აშკარად უკმარი გვეჩვენება მისი სხვა ესეების ფონზე, იქნება ეს ინგლისელი პერსი ბიში შელი თუ ამერიკელი პოეტები — უოლტ უიტმენი, კარლ სენდბერგი, რობერტ ფროსტი თუ ედვინ არლინგტონ რობინსონი. იქ ვრცელი ამონარიდებია მათი ლირიკიდან მოხმობილი და ზოგჯერ მთელი ლექსებიც. ეს პოეტური სტრიქონები ავტორს ზოგი წინასწარვე აემეტყველებინა ქართულად და ზოგსაც ესეის წერის პროცესში გარდაქმნიდა ქართულ ვერსიად, უილიამ მორისი კი როგორღაც გაჯიუტებოდა და ორი-სამი ერთბენო ფრაგმენტის გარდა არაფერს გამოატანდა ქართულ სამყაროში.

დალოდებოდა, ვიდრე მის ცალკეულ ლექსებს თარგმნიდა და ამ პოეტურ სამყაროს შესაფერის გასაღებსაც მორავებდა? მაგრამ ეს დალოდება რომ ძალიან გაჭიანურებოდა? ამიტომ ერჩივნა უკვე ჩაჯდომოდა ამ ესეის და ეგებ მისი წერილს შთავგონებელიყო ვრცელ მონაკვეთთა გადმოსაქართულებლად მაინც, თუ მთელი ლექსებისა არა. და თუმცა ამგვარი შთავგონება არ ენვეოდა, ჩინებულ ესეის მაინც დაგვიტოვებდა, ცალკე ოსკარ უაილდის ესთეტიკურ მრწამსზე უფრო სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად და ცალკე ახალ თაობათა შესაზღვრებლად, რათა მათ განეგრძოთ უილიამ მორისის დამკვიდრებაც ქართულ სივრცეში და პრერაფაელიტთა სკოლის სრულყოფილი სახის წარმოჩენაც.

დაე მის მომდევნო გაეთვალისწინებინათ, სად და რაზედ გაჩერებულიყო მათი წინამორბედი.

და ისე მოხდებოდა, რომ ილიასეული სიმბოლური მინიშნება მამაშვილობისა ამ შემთხვევაში პირდაპირი აზრითაც დადასტურდებოდა და კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი უილიამ მორისის სამ ლექსსაც (მათგან ერთი „ოქროს ფრთები“ მცირე პოემადაც შეიძლება მივიჩნიოთ) გახვევდა ქართულ ენობრივ სამოხელში და... მასთან ერთად დანტე გაბრიელ როსეტის, ქრისტინა-გეორგინა როსეტის, ალგერნონ ჩარლზ სუინბერნისა და ჯეიმზ კოლინზის ზოგიერთ ლირიკულ ნიმუშსაც შეკონავდა „ყვავილების წიგნად“ („საუნჯე“, 2013).

საერთო სახელწოდებად ამჯობინებდა ქრისტინა-გეორგინა როსეტის ამ ლექსის სათაურს, ყვავილთა დოთირამბს რომ ღაველენს, მთარგმნელისათვის კი პრერაფაელიტური სკოლის თავისებური ჰიმნიცაა, როგორც პირველყოფილი ბუნების სიმბოლო, და მათ ნახატებსაც ისე შეარჩევდა კრებულის გარეგნული მორთვისათვის, რათა — გარეკანიდან დაწყებული — ყვავილებს ყველგან განემსჭვალა ფერწერულ შედეგთა სული, თორემ მთარგანელობითი ხელოვნების თვალსაზრისით ეს ლექსი არ არის კრებულში რაღაც გამორჩეული და მას აშკარად ჩრდილავს თუნდ ამავე პოეტის სხვა ლექსი — „სიმღერა“ — ქართული ორეული, რომელიც ისევე შეიძლება მივიჩნიოთ ამ კრებულის გვირგვინად, როგორც ედვინ არლინგტონ რობინსონის „მინევერ ჩივი“ — ზვიად გამსახურდიას „ამერიკელი პოეტებისა“, მასთან ერთად რომ დამკვიდრდება ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნების უკეთეს მიღწევათა შორის:

რომც მოკვდე, უსაყვარლესო, მწუხარს ნუ მიძღვრე ჰანგებს, ნურც ვარდებს გაახარებდე, ნურც საროს, ჩრდილით ნაქებს: საფლავს ბალახად მოველე, ცვარ-ნამით სველი ტურფად; ან გამიხსენე თუ გინდა, ან დამივიწყე სულმთლად.

ჩრდილს მე ისედაც ვერ ვნახავ, ვერ ვიგონებო თქემს და წვიმებს, ბულბულის ხმას ვერ ვავიგებ, ტკივილს რომ გალობს მძიმეს:

და ოცნებებით დაისპი რომ დგას და არც დგას მუქვრად, ან მოვიგონებ თუ მინდა, ან დავივინყებ სულმთლად.

სულ თორმეტი ლექსი მოიყრდა თავს ამ კრებულში — ორი წლის ნაშრომ-ნადაგი თორმეტს ვერ გასცდებოდა, სამაგიეროდ, მთარგმნელი მაქსიმალურად დაცავდა თვითუფლის ფორმასა და რიტმიკას და სრულფასოვნებასაც მიაღწევდა.

წლების წინათ XIX და XX საუკუნეთა გერმანული პოეზიიდან რომ გამოაქვეყნებდა თარგმანების კრებულს „ვიტრაჟების“ სახელწოდებით — იოჰან ვოლფგანგ გოეთე რომ იწყებდა და ჰანს მაგნუს ენსცენსბერგერი აბოლოებდა (უამრავი ავტორიდან ზოგიერთის დასახელება ვიკმართ: ფრიდრიხ მილერი, ნოვალისი, ფრიდრიხ ჰოლდერლინი, ფრიდრიხ ნიცშე, გეორგ თრაკლი, სტეფან გეორგე, რაინერ მარია რილკე, გოტფრიდ ბენი, ინგებორგ ბახმანი) — ეს გამოცემა როგორც მიყრუვდებოდა, თუმცა სალიტერატურო ცხოვრება გვავალდებდა მის ჯეროვან შეფასებასაც და მხატვრულ ღირსებათა გამორჩევასაც, როგორც არაორდინარული კრებულისა, კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი მარჯვედ რომ მოარგებდა გასაღებს ამ უაღრესად განსხვავებულ შემოქმედთა პოეტურ ნიმუშებს, საკუთარ გამოცდილებას კი — ხანგრძლივსა და შეუპოვარ ძიებებს — წინათქმის ფინალში დაწურავდა:

— ევროპული პოეზიის გადმოქართულების კარგადაა შესაძლებელი ნონასწორობის დაცვა აზრისმიერ და მუსიკალურ-ესთეტიურ სანყისებს შორის. როგორც ბოლორიტმოვანი, ისე ურიტმო, მინაგანად რიტმიზებული ლექსების თარგმნას შევეცადე შესაბამისი ფორმის დაცვით. ლექსის სიტყვიერ ჩამოქნას რაც შეეხება, მასთან დაკავშირებით უნდა ითქვას: ქართულ ლიტერატურაში ცნობილი რომელიმე სტილის მარტოვედ მიბაძვა ვერ გამოდგება ამ საქმეში, თუმცა რუსთველის, გურამიშვილის, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის ტრადიციებს და პოეტურ მეტყველებასაც გვერდს ვერავინ აუვლის.

ეს ის ზოგადი დაკვირვებანი და პრინციპებია, რომელთაც პრერაფაელიტთა გადმოქართულების დროსაც დაეყრდნობოდა, თორემ პირწმინდად მუსიკალურობასა და სულიერ ჰარმონიაზე აგებული პოეტური შედევრის ჩინებული ორგულის შექმნაც რომ ხელეწიფებოდა, ედგარ ალან პოს „ყორანის“ მაგალითზეც დადასტურებდა — ოცზე მეტ ქართულ ვერსიას შორის მისი თარგმანი ერთ საუკეთესოდ რომ არის აღიარებული.

სად და რაზედ გაჩერებულიყო მამა... კრებულისათვის წამოღვარებული შესავალი „პრერაფაელიტიზმი დიდ ბრიტანეთში“ არსებითად ესეია — საცნობარო მხარე მხოლოდ ქარგა რომ არის პოეტური სულით გაუღწეოთილი მსჯელობისა, თუნდ ფერთა მეტყველების ირგვლივ დაწურულ მოსაზრებთა გამოთქმა უფრო მეტს ათვალსაჩინოებს, ვიდრე პრერაფაელიტთა ხელოვნური რეალიზმის ზოგადი ნიშნების ჩამოთვლა, არაბუნებრივად ნათელი და მკვეთრი ფერებით აღბეჭდილი, მარტოდენ ეს ფერები რომ მოეპოვებოდა შეურყენელ, ხელუხლებელ ბუნებას. ასეთი ზურგმუქცევა კი კლასიციზტური მხატვრობისათვის ნიშანდობლივი ყავისფერი და ოქროს ტონალობების მიმართ, რა გასაკვირია, რომ ერთბაშად შოკსაც გამოიწვევდა იმ სტილისტიკას შეგუებულ საზოგადოებაში, რომელსაც იმ სტილის იქით გადახედვა ვეღარც წარმოედგინა.

ხელოვნების დანიშნულებაზე რომ ჩამოაგდებდა სიტყვას, უილიამ მორისის შეხედულებას გაიხსენებდა, რესკინის გავლენით ხელოვნებას ისიც სამი კატეგორიის მიხედვით რომ აფასებდა: სარგებლიანობა, ფუნქციონალური უბრალოება, როდესაც ორნამენტი შემთხვევითობა კი არა, არამედ თვით საგანში ჩადებული აუცილებლობაა, და მასალის ოსტატური დამუშავება.

როდესაც ადამიანი შეწყვეტდა გარემოს უაზრო და უმოწყალო ნგრევას, შეძლებდა — მშვენიერების ობიექტური გამოცდილებიდან გამომდინარე — თვითონვე წარმოექმნა მშვენიერება და განეცადა ნამდვილი სიხარული თავისი გარეგანი. ეს კი სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა ქვემარტი სიხარული სიცოცხლისა, — ესეც ხელოვნებისა და ცხოვრების ჰარმონიული ერთიანობაც მორისის თვალთახედვით, ამ მხრივ სამაგალითოდ შუა საუკუნეები რომ დაესახა.

თვითონაც იმ გარემოს შეხიზვნოდა და

მკითხველსაც იქით იწვევდა, თუნდ იმ ზღაპრული ხიდისაკენ, მორკალულ, ოქროცურვილ ჯაჭვებს რომ ჰკრავდა და ზაფხულის წვიმებისას კიდევ უფრო მიმზიდველი სახლი, ხიდის თავთან მდგარი, შეგებლო თავშესაფრად დაგეგულებინა.

დანტე გაბრიელ როსეთი თავის საიდუმლოს გვიმჟღავნებდა: ჩვენ ორნი ხომ ერთნი ვიყავით, განუყრელი სავსება წარსულ დროში, ოდესღაც, და დაეღმერთს ენება ამაღლება იმ სულისა და მოქცევა უსაზღვრო ერთარსებად, რომლის სიყვარულსაც ერთფოსადმი იწვევდა მათი სულიერი მსგავსება.

ჯეიმზ კოლინზონი ყრმა იესოს კვალს დასდგომოდა და მის მზერას მიადევნებდა საკუთარ ხედვას, და იმ ნამიერ გაუღვებას გამოიკატებდა, ყრმის სახეს ღრმა მწუხარების ჩრდილი რომ გადაუვლიდა და მარიამი კი ამ გაუღვებას ღრმად ჩაიბეჭდავდა გონებაში და გაიხსენებდა იმ დღეებში, მერმედ რომ დადგებოდნენ.

ალგერნონ ჩარლზ სუინბერნი ყურადღებას რომ მიგვაქცევინებდა: ნათელი ვარდების ბაღში თეთრი ვარდი არც ისე თეთრიაო, — და კიდევ იმას: საბურველს მიღმა სუფევს აკრძალული, მზერა რომ ვერ წვდებაო, — თვითონ მაინც შეეცდებოდა სარკის ზედაპირის გარღვევას და მის მიღმა მოხილვას იმ იდუმალებისა, ადამიანის სულის პირველყოფილება და უმანკოება რომ იმარხავდა, და ეს სწრაფვა რაფაელამდელი ხელოვნების იქით რომ გადაინაცვლებდა ისტორიის გზებზე, არც გვერდით გამოეპარებოდა ამგვარივე ლტოლვანი და პირვანდებლობაში თხემით ტურფამდე ჩაძირვის ყინი, უოლტ უიტმენის „ბალახის ფოთლებში“ ასეთი ექსპრესიითა და წინასწარმეტყველური გზებით გამოხატული, და პირად მოვალეობად მიიჩნევდა — რაღა უოლდო მერსონის შემდგომ — კიდევ ერთხელ აღმოეჩინა ეს პოეტი და... სამუდამოდაც. სუინბერნს უნდა უმადლოდეს უიტმენი, ძალიან რომ აღარ გადაიდებოდა მისი დიდება და დროულად ჰპოვებდა შესაფერის ადგილს საკაცობრიო კულტურის მდინარეებში.

ეგებ ზედმეტი არც ყოფილიყო სუინბერნის ამ ლიტერატურული დამსახურების აღნიშვნაც, მითუმეტეს, უიტმენი თუ მტკიცედ დამკვიდრებულია ქართულ სინამდვილეში, ერთი უპირველესთაგანი — კონსტანტინე გამსახურდიას წყალობით, 1926 წელს მცირე კრებულთა და ესეით რომ გააცნობდა თვისტომთ ამ უჩვეულო შემოქმედს, მოგვიანებით ზვიად გამსახურდიაც რომ შემატებდა „ბალახის ფოთლების“ ქართულ ვერსიას რამდენიმე ნიმუშს, ჩვენს ესეისტიკას კი კიდევ ერთ მოხდენილ თხზულებას ამერიკული პოეზიის ამ გამორჩეულ სახელზე.

სად და რაზედ გაჩერებულიყო მამა... ამ შემთხვევაში — პაპაც.

და ასე გადაეჭდობოდა კიდევ ერთი დიდებული შემოქმედი პრერაფაელიტური სკოლის თვალსაჩინოს, უშუალოდ თუ ქვეშეცნეულად ეს გარემოებაც რომ შეგაგულიანებდა უმცროს კონსტანტინეს „ყვავილების ნიგნის“ საჭაშნიკ კრებულის მოსამზადებლად და იმ არეალის მოსანიშნებლად, ბრიტანული პრერაფაელიტიზმი, ჩვენთვისაც უკვე შინაურ მოვლენად დამკვიდრებული, კიდევ უფრო მიზანმიმართულ და სრულყოფილ გააზრებას რომ მოითხოვს ქართველ მკვლევართა და შემოქმედთაგან — დაგროვებული მასალის შესასწავლ-შესაფასებლად და იმ სრული და მოამბეჭდავი პანორამის აღსადგენად, ამ ლიტერატურული სკოლის ესთეტიკური პროგრამა და შემოქმედებითი პრინციპები ასე კანთიულად რომ აღბეჭდავენ.

...ოსკარ უაილდი შემოინახავდა ბერნჯონის გამონათქვამს: რაც უფრო მატერიალისტური გახდება მეცნიერება, მით მეტ ანგელოსს დაეხატავ და მათი ფრთები იქნება ჩემი პროტესტი სულის უკვდავების სასარგებლოდ.

რადა ჩვენც დაგვიხატავს ანგელოსის ფრთები და რადა ბრიტანული პრერაფაელიტური სკოლა შევივითვისებია სულ უფრო და უფრო ქართული კულტურისა და მხატვრული აზროვნების მდინარებისათვის, უკვე საიმედო საძირკველზე დაყრდნობილი.

*** ზვიად გამსახურდიას ვერც გადაარწმუნებდით, კელტურ სისხლს თუ არ აყვლილებინა ოსკარ უაილდი ზღაპრის სულის გადმოსანერგად თანადროულ, ანგელოსის ფრთებს მიღმა დაკარგულ სამყაროში.

ზვიად კვარაცხელია შიკრიბა და გამოკლება

ერთი კაცის პროფესიონალიზმი

ცოტა ხნის წინ არიანე ჭანტურია გარდაიცვალა.

ჩვენ რომ ჯანსაღი ღირებულებებისა და ევროპული ფასეულობების ერთგული საზოგადოება ვიყოთ, ეს გვარ-სახელი აუცილებლად ბევრს გვეტყობდა. გვეტყობდა, თუ როგორი უნდა იყოს ქვემარტივად პროფესიონალი და კეთილშობილი პიროვნება. როგორ უნდა იცხოვრო, როცა ასე მღელვარე ამბიციისა და ფსევდოინტელექტუალობის ნიაღვარი. თავი როგორ უნდა შეინახო, როცა თვითდამკვიდრებისა და საკუთარი პერსონის წარმოსაჩენად ნამდვილი დოღია გამართული.

არასოდეს მიკითხავს, მაგრამ მჯერა, რომ არიანე ჭანტურიას ბრწყინვალე ანგლისტად ჩამოყალიბებაში მისმა მშობლებმა შეიტანეს დიდი წვლილი. ლონდონიდან ზუგდიდში საცხოვრებლად ჩამოსულ ქეთინ ბოულსა და აკაკი ჭანტურიას ხუთი შვილი ეყოლა. ეს ოჯახი, შეიძლება ითქვას, იმ რანგის მოვლენა იყო, რომელსაც საბჭოთა სინამდვილის ერთ-სახე და ერთფეროვანი ყოფა არ გაახარებდა. ამიტომაც, დადიანების სასახლეთა ისტორიული მუზეუმის დამაარსებელი აკაკი ჭანტურია წლების განმავლობაში იკვირებდა იმდროინდელ ნათელ ინტელიგენციასა და პარტიულ ფუნქციონერებს, უვლიდა, იცავდა და სიცოცხლის ფასად უფრთხილდებოდა მუზეუმში დაცულ განძს.

მამის პატიოსნება და პროფესიონალიზმი შვილებზე გადმოვიდა მემკვიდრეობით. საერთოდ, ნიჭი და შრომისმოყვარეობა გენეტიკურია, მაგრამ მაინც მგონია, რომ ერთმა ადამიანმა, მარტოობაში, მხოლოდ საკუთარი თავთან დარჩენილმა უნდა გადაწყვიტოს — მინაში დამარხოს თავისი ტალანტები თუ ერთი-ორად გაამრავლოს. სახარების იმ იგავში „ტალანტის მინაში დაფლვა“ სწორედ ნიჭის იაფი, მიწერილი სიამეებისთვის მოცდენას გულისხმობს.

მთარგმნელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, რედაქტორი, „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ 13 ტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი, 2006 წელს ლონდონში გამოცემილი „გარნეტის“ მიერ გამოცემული „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ ერთ-ერთი შემდგენელი და რედაქტორი — ეს მოკლე, ყველასათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციაა. გარდა ამისა, არსებობს უამრავი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საგამომცემლო პროექტი, რომელშიც სხვადასხვა დროს აქტიური მონაწილეობა მიუღია არიანე ჭანტურიას.

არასდროს დამავინყებდა ის განსაკუთრებული სიფრთხილე, რომლითაც არიანე ჭანტურია ეკიდებოდა ნიგნის გამოცემას. მამამისის სამეცნიერო მონოგრაფიას, „საქართველოს გეოლოგიურ ისტორიას“ ვამზადებდით და ყოველი სიტყვა და ტერმინი გადასინჯა, რამდენიმე წყაროსთან და ლექსიკონთან შეადარა. არც თავის გამოცდილებას ენდო, გეოლოგებთან, ისტორიკოსებთან, ფილოლოგებთან გადაამოწმა, მათი შენიშვნები გაიზიარა. მოულოდნელად, ერთი-ორჯერ მეც მიკითხა აზრი. მაშინ გამიკვირდა და ეს ბერიკაცის კეთილ ჟესტად მივიჩნიე, ახალგაზრდის გამხსენებელი და აყოლიება რომ სურს. მაგრამ მერე დაგრწმუნდი, რომ არიანე ჭანტურია არ თამაშობდა — იგი სრული სერიოზულობით ეკიდებოდა ადამიანურ ურთიერთობებს.

ამის დადასტურება იყო, ცოტა ხანში რომ დამირეკა და მითხრა — მამაჩემის არქივში იონა მეუნარგიას დღიურები ვიპოვნე. გამახსენდა, რომ თქვენ გამოსცემთ მის მრავალტომეულს და გამოგადგებათო.

ეს „თქვენ“ მისგან მხოლოდ ოფიციალური, საქმიანი დამოკიდებულების ხაზგასმამა არ ყოფილა. კერძო ურთიერთობაში, პირად ამბებზე საუბრის დროსაც ერთდებოდა გაშინარებას და ასე მგონია, ამით თავსაც იცავდა და მოსაუბრესაც უფრთხილდებოდა — ეტყობა არ სურდა ამა თუ იმ პიროვნებაზე შექმნილი წარმოდგენის დანგრევა, რაც დამერწმუნებოდა, ჩვენს დროში ხშირია.

არიანე ჭანტურიას მასშტაბის პროფესიონალები რომ მიდიან ამქვეყნიდან,



ყოველთვის რჩება კითხვა — ვინ შეიძლება გააგრძელოს მათ მიერ დაწყებული საქმე? პასუხი, რაც არ უნდა პათეტიკურად ფლერდეს, ალბათ, ასეთია: სახელმწიფოში ზოგჯერ ისე ხდება, რომ საქვეყნო საქმეს ერთეული, იშვიათი, გამორჩეული ადამიანები იტვირთავენ, სწორავენ პირად ცხოვრებას, ჯანმრთელობას, და მათი წვლილის შეფასებისას ჩვეულებრივი საზოგადოება არ გამოდგება. არც მათი შემცველის ძიება იოლი.

ასეთ დროს, ამ დანაკლისის შესავსებად სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას: დიდ რესურსებს ხარჯავს განათლებისა და მეცნიერების სფეროში, აძლიერებს სკოლას და უნივერსიტეტს, აფინანსებს წარჩინებული სტუდენტების სწავლას უცხოეთის საუნივერსიტეტო სწავლებლებში, ხელს უწყობს განათლებამიღებული ახალგაზრდის დროულ დასაქმებას.

ვფიქრობ, ესაა მარტივი გამოსავალი იმ რეალობიდან, როცა დღითიდღე ტოვებენ ჩვენს საზოგადოებას ქართული კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ადამიანები, რომლებმაც თავიანთი საქმე რელიგიის რანგში აიყვანეს. საქმეს შენიღული და პროფესიაზე შეყვარებული ადამიანები. ისეთები, როგორიც არიანე ჭანტურია იყო.

რა ულის დადიანების ბაღს?

ისე მოხდა, რომ ცოტა ხნის წინ ვაკის პარკში ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობის წინააღმდეგ გამოთქმულ პროტესტს ვერ შევუერთდი, უფრო სწორად, იმ აქციაზე ვერ მოვახერხე მისვლა, რომელიც თბილისის მერიასთან იმართებოდა და მოითხოვდა ამ გადაწყვეტილების გაუქმებას. რა თქმა უნდა, დაგვიანებული პროტესტიც პროტესტია, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ მოვლენებს დროულად ვერ ვეხმარებით და ამის გამო ბევრი რამ უჩვენოდ წყდება.

ნამდვილი მოქალაქის პოზიცია ორ ცეცხლ შუა ყოფნას გულისხმობს — არც მუდმივი ჩასაფრება ვარა და არც ხელის ჩაქვეყნება ყველაფერზე, მე მაინც არაფერს შეკითხვბიანო. ეს, ჯერ ერთი, პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ნიშნავს და მეორეც — ნებით, უპირობოდ დათანხმებას ყველა იმ ინიციატივაზე, რომელსაც ხელისუფლება გეთავაზობს.

რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით შაბათობა მოეწყო ზუგდიდის დადიანების ბაღში. მახსოვს, წინასწარ მოწოდებებიც იყო, რადიორეკლამაც, რომ ჩვენ თვითონ გვეზრუნა და უსახსროდ დარჩენილი უნიკალური ბაღის გადარჩენაში მცირედი წვლილი შეგვეტანა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, მომზადდა თუ არა, მაგრამ სურვილი კი ნამდვილად იყო, რომ საინფორმაციო ალმანახი გამოეცათ, სადაც დაწვრილებით იქნებოდა მოთხრობილი დადიანების ბაღის შესახებ — მისი ისტორია, მნიშვნელობა და ის პრობლემები, რომელიც დროთა განმავლობაში წარმოიშვა.



მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში დაე-
 ით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის
 მიერ დაწყებული განაშენიანების შედეგად,
 მთავრის რეზიდენციასთან არსებული
 ბაღი მთელ კავკასიაში საუკეთესოდ აღი-
 არეს. როგორც ამ ამბების შემსწრე რუსი
 მოხელე და ისტორიკოსი კორნელი
 ბოროზდინი ირწმუნება, დადიანები ბაღ-
 ისთვის ხარჯს არ ზოგავდნენ – იტალი-
 იდან სწავლული მებაღე ჟოზეფ ზაბინი ჩამ-
 იყვანეს, რომელმაც ბაღი უვარგისი
 მცენარეებისგან განმინდა და ფრანგულ
 სიმეტრიულ სტილზე დაგეგმა. დედოფ-
 ლის მეცადინეობით, მილანიდან გამოიწ-
 ერეს იშვიათი ხეების ჯიშები და ყვავილე-
 ბის თესლი. ამ ყველაფერს სამეგრელოს
 ბუნებამ და ჰავამაც შეუნყო და ცოტა ხან-
 ში საუცხოო ბაღი გაშენდა.

ეკატერინე ჭავჭავაძე რომანტიკოსი
 პოეტის ოჯახიდან იყო და აქაურობა
 თავიდანვე ნალკოტად ჰქონდა ჩაფიქრე-
 ბული, ოღონდ არა მხოლოდ
 ეკოლოგიური, არამედ, ცხადია, კულტუ-
 რული თვალსაზრისითაც. ამ ჩანაწერს
 სამეგრელოში ომარ-ფაშას შემოსევამ შე-
 უშალა ხელი. რუსეთ-ოსმალეთის ომის
 დროს ოსმალთა ერთ-ერთმა გარნიზონმა
 მთელი დაბა და მთავრის სასახლე გადა-
 ბუგა, სასახლიდან ყველა ძვირფასი ნივთი
 გაიტანა, ძირიანად მოთხარა და გაანად-
 გურა ბაღი.

მოგვიანებით სამეგრელოს დედოფალ-
 მა სცადა აღედგინა ნაშთი ძველი დიდები-
 სა – ჯერ თვითონ, და მერე მისმა შვილმა
 ნიკო დადიან-მინგრელსკიმ, რომელმაც
 იტალიიდან მებაღე-დეკორატორი ძმები,
 გაეტანო და ჯიოვანი ზამბერლეტი ჩამ-
 იყვანა. ზამბერლეტიმაც სანკტ-პეტერ-
 ბურგიდან ეგზოტიკურ მცენარეთა იშ-
 ვიათი და ძვირფასი თესლები და ნერგები
 ჩამოიტანეს, შეაესეს არსებულ მცენარე-
 თა კოლექციას, გააფართოვეს ბაღის ტერ-
 იტორია.

საბჭოთა პერიოდში, ისევე როგორც
 ბევრ რამეს, დადიანების ბაღსაც შეეცვა-
 ლა პროფილი – ჯერ იყო და ქალაქის საბ-
 ჭოს კულტურისა და დასვენების პარკად
 იქცა, ათასგვარი გასართობითა და ატრაქ-
 ციონით გაივსო, შემდეგ კი ბოტანიკური
 ბაღის სტატუსი მიენიჭა. ნერგებს და
 სისუფთავეს მკაცრად იცავდნენ, მაგრამ
 ეტყობა მცენარეთა კოლექციის გამდი-
 დრებაზე დადიანებისთვის არ უზრუნიათ.

ბაღს კიდევ ერთი განსაცდელი გასუ-
 ლი საუკუნის 90-იან წლებში მოევიწინა, და
 ამჯერად, რა თქმა უნდა, ომარ-ფაშას ვერ
 დაეადანაშაულებთ. გართობისა და დას-
 ვენების სივრცე უმალ კრიმინალური
 გარჩევებისა და ნამალდამოკიდებულების
 თავშეყრის ადგილად იქცა. ჩემი თვალით
 მინახავს იქ გამართული ძაღლების ჩხუბიც
 – დასისხლიანებული ცხოველები და ჩვენ,
 სერის საყურებლად ნების თუ შემთხ-
 ვევით მოხვედრილი ბიჭები.

იმ დღესაც, როცა სამუშაო იარაღები
 ავიღეთ ხელში და დასუფთავებას შევუდე-
 ქით, ბევრი მოდიოდა და მაღლობს გვიხ-
 დიდა, რომ არ დავიზარეთ და სხვებსაც
 მაგალითი მივეცით. მე კი ყველაზე მეტად
 ერთი გულწრფელი და უცნაური კაცის
 სიტყვები დამამახსოვრდა: „კარგია,
 შვილებო, ღმერთი გაგახარებთ. მაგრამ
 ვშიშობ, სარეველა ბალახებს სხვა რამეც
 არ მიაყოლოთ უცოდინრობით, უფრო
 ძვირფასი“.

ვის ხელშიც არ უნდა იყოს – იქნება ეს
 განათლების, კულტურისა და ძეგლთა
 დაცვის თუ ეკონომიკური განვითარების
 სამინისტრო, მეცნიერებათა აკადემია თუ
 უზგადიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა,
 მთავარი პრობლემა მაინც ისაა, რომ ჯერ-
 ჯერობით არ არსებობს დადიანების ბაღ-
 ის განვითარების გეგმა. ეს საშიშროებას
 ქმნის, რომ დიდი ტრადიციებისა და
 ეკოლოგიური მნიშვნელობის ბაღი ერთ
 დღესაც უფუნქციოდ დარჩება. უფუნქ-
 ციოდ დარჩენას კი, ღმერთმა იცის, რა
 შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

ცხადია, რეაბილიტაციის პროცესი და
 ყოველთვის შენახვა დიდ სახსრებს
 მოითხოვს, მაგრამ იქნებ გვეცადა და
 ერთი-ორი პოლიტიკოსისა და ბიზნესმე-
 ნის კეთილი ნების იმედად კი არა, საერთო
 პასუხისმგებლობის საგნად გვექცია ად-
 ილი, რომელიც მთელ ქალაქს უანგაბადი
 ამარაგებს, ურბანურ სივრცესაც აცოცხ-
 ლებს და გავაღებულებს კიდევ, რომ
 გაუფრთხილდეთ ყველაფერს.

სიცოცხლეს გავუფრთხილდეთ.

ზვიად კვარაცხელია

შეკრება და გამოკლება



**ერთმორწმუნე სიშტი,
 ერთმორწმუნე მახვილი**

როდესაც ჩვენ გარშემო ასეთი მღელ-
 ვარე და სისხლიანი ამბები ხდება, პირვე-
 ლი, რაზეც ფიქრობ, ერთმანეთის გამხ-
 ნევებაა – თანადგომა, რომ ყველაფრის
 წამლეკავ ქარიშხალს ერთი ადამიანი ან
 ერთი ერი კი არა, მთელი შეგნებული კა-
 ცობრიობა დაუპირისპირდეს.

ღიახ, გამხნევება. ღიახ, თანადგომა.
 ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს – თუკი გადავწ-
 ყვიტით, რომ უნდა გადავჩრეთ და თავის-
 უფალ სახელმწიფოდ შემოვრჩეთ მსოფ-
 ლიო რუკაზე, იმპერიის ძალადობის
 წინააღმდეგ გამოთქმულ ყველა პრო-
 ტესტს ჩვენი ხმა უნდა შევეუერთოთ.

ყველას გამოგვეცდიან, შეეცდებიან,
 ყველა გაგვეტეხონ – ზოგი მუქარით, ზოგი
 მოსყიდვით, ზოგი – დანინაურებით, ყვე-
 ლაერთი, რაც კი ოდითგანვე ადამიანის
 დასაფრთხილებად, დასამონებლად მოგონი-
 ლა.

ყველაზე უარესი – შეუძლიათ, ნიჰილი-
 იზმის პირალისილი ნიჩბები გვირტყან,
 ისევე როგორც 25 წლის წინ, ანაც ხიშტები
 გამონვართონ, ისევე როგორც ეს ორი
 საუკუნის წინ დაწყებული ყველაზე საშინელ
 ამბავში ხდებოდა და აგერ ორი საუკუნეა,
 ყოველ ათ წელიწადში ერთხელ მეორდებ-
 ბა.

გავიხსენოთ. გავიხსენოთ, თუკი ის არ
 გვეყოფნის, რაც ჩვენ თვალწინ ხდება. მეტი
 რა უნდა დაგვემართონ, მეტი რა ნისქილის
 დოლაბი უნდა დაატრილონ ჩვენს თავზე,
 მათი ბოროტებისა და ქვებუდნობისა რომ
 ვირწმუნოთ.

სახელმწიფოს გაუქმება იყო და, გა-
 მოგვიცდია. თვალსა და ხელს შუა რომ
 გააქრეს მრავალი საუკუნის მანძილზე ნაშ-
 რომ-ნადაგი და ნაშენები. ამისთვის არც
 ლალატს მორიდებიან და არც დათქმული
 პირობის უკან წაღებან.

სამეფო ოჯახისა და ეკლესიის რბევა
 რომ ყველაზე მეტად ერთმორწმუნე ხიშტ-
 მა და მახვილმა შეძლო, ესეც დაგვეჯერე-
 ბა, საკუთარ ტყავზე, სულსა და ხორცზე
 გვატყვიან ეს ჭრილობები.

დაკარგული და გასხვისებული მიწებ-
 ის გამო კი, როცა იქნება, ყველა გამოიდ-
 ელს და იმპერიის ბნელ ბუდეში დაჩეკილ
 რენეგატს უნდა მოვთხოვოთ პასუხი. ისი-
 ნი ისტორიაში სახელოვან პოლიტიკოსე-
 ბად, როგორც უნოდებენ ხოლმე – „დიდი
 პოლიტიკის ფილიგრანულ ოსტატებად“ კი
 არ უნდა დარჩნენ, არამედ მედროვე და
 კარიერისტ, უსამშობლო ადამიანებად.

ვისაც კატეგორიულად ეჩვენება ჩემი
 ეს სიტყვები, შეუძლია, ეკრანს თვალი
 მოარიდოს, რადგან როცა ერი და ადამი-
 ანი ყოფნა-არყოფნის საზღვარზე დგას და
 თავის დაცვას ცდილობს, ენისმოჩლეკით
 ლაპარაკისთვის დრო არ რჩება. პირიქით,
 ყველაზე ძვირფას, ყველაზე ნამდვილ იარ-
 ალს ებღაუჭება ამ დროს – სიტყვას, რომ
 ყველას გააგონოს თავისი განსაცდელის
 შესახებ, შეასმინოს, დაარწმუნოს დანარჩე-
 ნები, რომ მათ კართანაც ჩამოადგება გან-
 საცდელი.

გაოცება თუ გინდა, ესაა სწორედ: უკვე
 მერამდენად ისმის ჩვენს საზღვრებთან

მონათმფლობელის ხრინწიანი ხველება,
 უნდა ერთხელ კიდევ დაგვსაჯოს ჩვენი
 ურჩობისთვის, რომ თავისუფლება ვი-
 ნატრეთ, თავისუფლება გავბედეთ. თუ არ
 დაგვსჯის, წყალობით აგვაგვებს მაინც –
 არ გაუჭირდება. აგერ, 90-იანებში სწორედ
 წყალობით ავსილმა საზოგადოებამ გამო-
 ილო ხელი: სახელმწიფო გადატრიალება
 დაგეგმა, პრეზიდენტი და უზენაესი საბ-
 ჭო დაამხო, არც ხალხი დაუზოგავს.

სწორედ რუსეთის იმპერიისა და მის
 წიაღში შობილი პოლიტიკური ორგანიზა-
 ციების კისერზეა მთელი მეცხრამეტე-
 მეთექვსმეტე საუკუნეების შემზარავი საგა,
 დაწყებული კანონიერი ხელისუფლების დამხ-
 ობებით, ხალხის გაჟღეკით, დამონებითა
 და მორალური გახრწნით დამთავრებული.

ადრე ნიჰილიზმი ვახსენე – ყველაზე
 ბასრი იარაღი, რომელსაც დღემდე წარ-
 მატებით იყენებს იმპერია. შეუძლია, გულ-
 ში გაგვიღვივოს ეჭვი, რომ არაფერს წარ-
 მოვადგენთ, ერთი პატარა ქვეყანა ვართ
 და მხოლოდ იმას ვახერხებთ, რომ
 სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავიკიდოთ
 ერთმანეთს და სისხლხორცეული კუთხე-
 ბიც დავკარგოთ; შეუძლია, წარმატებით
 დაგვარწმუნოს კიდევ, რომ მის გარეშე
 დავიღუპებით, შიმშილით გავწყდებით, ან
 კიდევ უარესი – ველური და ბარბაროსი
 ხალხი გვერტყევა. ეს ხომ მან შემოიტანა
 ჩვენში განათლების სხივი, განმანათლე-
 ბლობა, წერა-კითხვა მან გვასწავლა და
 დანა-ჩანგლის რიგვანი ხმარება რომ ვიც-
 ით, მათი წყალობაა, ღმერთმანი.

ერთმორწმუნე ხიშტი და ერთმორწმუნე
 მახვილი – ესაა სიმბოლო რუსეთის იმპე-
 რიასთან ჩვენი მეგობრობის, და არა მხ-
 ილოდ ჩვენს, სხვების – უკრაინის, ფინე-
 თის, პოლონეთის – მეგობრობისაც. ეს სიმ-
 ბოლო გამოიცხადეს შემწყნარებლობასა
 და მშვიდობიან თანაცხოვრებას, ადამი-
 ანებისა და სახელმწიფოებისთვის მხოლოდ
 შუღლი და სიძულვილი ემეტება. ამიტო-
 მაც არასოდეს მორიდებია ომს, რბევასა
 და დანთოკებას, ერთი ქვეყნის მეორისთვის
 გადაკიდებას.

სამაგიეროდ, ამის საპირწონედ, არც
 ჩვენ უნდა მოვერიდოთ ერთმანეთის გამხ-
 ნევებას, ერთურობის თანადგომას, და თუკი
 გვინდა, რომ გადავრჩეთ და თავისუფალ
 სახელმწიფოდ შემოვრჩეთ მსოფლიო
 რუკაზე, იმპერიის ძალადობის წინააღმ-
 დეგ გამოთქმულ ყველა პროტესტს ჩვენი
 ხმა უნდა შევეუერთოთ.

სოლიდარობა უკრაინას!
 22 თებერვალი, 2014

რა ღირს დაფასება?

რაც დრო გადის, სულ უფრო ხშირად
 გვემის ამ ქვეყნიდან წასული ადამიანებ-
 ის შესახებ: „აღიარებას ვერ მოესწრო“,
 „დაფასება არ ეღირსაო“. ეს სიტყვები უკვე
 ისეთი ბუნებრივი გახდა, რომ საგაზეთო
 ნეკროლოგი, თოქშოუ და ფეისბუქ სტა-
 ტუსები ამის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია.
 დანამდვილებით არ ვიცი, ამას რა იწვევს
 – ცხოვრების დაჩქარებული რიტმი, სადაც
 ერთმანეთისთვის დრო არ გვრჩება თუ
 მიცვალებულებისადმი ჩვენი განსაკუთრე-
 ბული დამოკიდებულება, მაგრამ ერთი რამ

ცხადია: დღითიდღე იზრდება დაუფასებე-
 ლი ადამიანების რიცხვი.

მაინც რას გულისხმობს ეს დაფასება?
 რა ისეთი მიუღწეველი მწვერვალია, დიდ-
 პატარა რომ ვაწყდებით გაუთავებლად და
 წარუმატებლად, არაფერს ვიშურებთ –
 გულს, სულს, ხელ-ფეხს, ნერვებს, არც სხ-
 ვებს ვზოგავთ და საკუთარი თავიც გადა-
 დებული გვაქვს, რომ ერთხელაც, როცა
 იქნება, ვენიოთ როგორმე.

რას არ ვხარჯავთ ამისთვის – მატერი-
 ალურ სიკეთეს, ძალისხმევას, ჯანმრთე-
 ლობას, ნებისყოფას, მაგრამ განა საკმა-
 რისია ეს, დაფასებული რომ გვრჩება? თუ
 შენც იმავე ადამიანების რიცხვში იქნები,
 ვისზეც ახლობლები, მეგობრები თუ სულაც
 უცნობი ხალხი დანანებით იტყვიან, აღიარე-
 ბას ვერ მოესწრო, დაუფასებელი წავიდაო.
 ბოლოს და ბოლოს, იქნებ გვითხრას
 ვინმემ, რა ღირს დაფასება?

ბობ დილანი თავის ავტობიოგრაფიულ
 წიგნში „ქრონიკები“ ერთ ამბავს იხსენებს.
 მაშინ, გასული საუკუნის 50-იან წლებში,
 მშობლიურ ქალაქ დულუთში უკრავდა
 თურმე. ვეტერანების ერთი მემორიალური
 შენობა ყოფილა, სადაც ყველა დიდი შოუ
 ეწყობოდა – ფერმერების შოუები, პოკეის
 თამაშები, საციკრო სანახაობები, კრივი,
 ქანთრისა და ვესტერნული დღესასწაულე-
 ბი. წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ კი
 საქვეყნოდ ცნობილ გორჯას ჯორჯს მთე-
 ლი თავისი პერფორმერების დასი ჩამო-
 ჰყავდა ქალაქში: გოლიათი, ვამპირი, სა-
 ჰაერო გიმნასტი, ძვლების მტკრეველი,
 კუდიანი, ჯუჯა მოჭიდავეები და კიდევ ვინ
 იცის, ვინ აღარ.

ეს გორჯას ჯორჯი დღეს არავის გვეც-
 ნობა, მაგრამ მაშინ, ეტყობა, ძალზე
 დაფასებული ვინმე უნდა ყოფილიყო.

„მე სახელდახელოდ აწყობილ სცენაზე
 ვუკრავდიო“ – გვიყვება ბობ დილანი, „შე-
 ნობის ფოიეში, ჩემ ირგვლივ ხალხი საქმი-
 ანად მიდი-მოდიოდა, მაგრამ მე დღად
 ყურადღებას არავინ მაქცევდაო“.

ამ დროს, მოულოდნელად, კარი ხმაუ-
 რით გაიღება და დარბაზში თავად გორ-
 ჯას ჯორჯი შემოიჭრება გრიგალივით.
 კულისებიდან კი არ შემოსულა, პირდაპირ
 ფოიეში აღმოჩნდა, თურმე საოცრად შთამ-
 ბეჭდავი სანახაობა იყო – ორმოც კაცს
 უდრიდა მთელი თავისი არაჩვეულებრივი
 სიდიადითა და სიცოცხლისუნარიანობით.
 მსახურებით, ქალებით გარშემორტყმულს
 საუცხოო, ბენვით განწყობილი მოსასხამი
 ეცვა და მისი გრძელი, ქერა კულულები
 თავისუფლად ეყარა მოსასხამზე.

ყველა მას შესცქერის, ხალხის თვალი
 და ყური მისკენაა მიპყრობილი. და უე-
 ცრად, გორჯას ჯორჯი სცენას რომ მიუახ-
 ლოვდება, მუსიკის ხმაზე მოიხედავს.
 „ფეხი არ შეუნელებიაო, – იხსენებს ბობ
 დილანი, – ნამით შემომხედა, თვალში
 კონტრაბანდული ვისკისგან უბრწყინავდა.
 თვალი ჩამიკრა და ისე მომესმა, თითქოს
 თქვაო: „გამოგდის, ხო იცი““.

„გამოგდის, ხო იცი!“ – რამდენი რამ
 ჩანს ამ სიტყვებიდან: ძლიერი და დაფასე-
 ბული ადამიანის ფსიქოლოგიური პორ-
 ტრეტი, მისი დამოკიდებულება სხვის –
 ნიჭიერი, უნარიანი, მაგრამ ჯერ დაუფასე-
 ბელი მუსიკოსის მიმართ; ზოგადად
 გარემოც ხომ თვალნათლივ ჩანს – თუ
 როგორ შეიძლება, შეცვალოს ყველაფერი
 ერთმა უაღრესად ადამიანურმა, თანა-
 გრძობით საცხე ფრაზამ.

„გამოგდის, ხო იცი!“ – ეს ზებუნებრივი
 სიტყვები წარმოსათქმელად თითქოს ად-
 ვილია, მაგრამ თუკი გულწრფელობა არ
 დაატანე, თევზის ფხასავით შეიძლება,
 გაგეჩხროს ყელში. დაგახრჩოს და გაგა-
 ნადგუროს, ისევე როგორც სიყალბემდე
 მისული ხობება-დიდება აცამტყრებს ნამ-
 დვილ ნიჭს, ნიჭიერ ადამიანებს.

დაუფასებლობის, აუღიარებლობის
 მიზეზიც, შურის გარდა, სწორედ ეს მგო-
 ნია – თავის დროზე წარმოთქმული არაფ-
 რისმოცემი სადღეგრძელოები, კრიტიკის
 მიუღებლობა და თვითირონიის ნაკლებო-
 ბა. ტაში და ოვაციები, რომელსაც ხშირად
 არაფერი აქვს საერთო ადამიანის მხ-
 არდაჭერასა და წახალისებასთან.

„გამოგდის, ხო იცი!“ – დარწმუნებუ-
 ლი ვარ, ბევრ ჩვენს მეგობარს, კოლეგას,
 თანამოქალაქეს სჭირდება დღეს ეს სი-
 ტყვები, გულწრფელი და შთამაგონებელი,
 ზომიერების განცდით თქმული. ისეთი –
 იუმორსაც რომ იტყვას, ყურადღებას არ
 თანაგრძნობსაც. ამიტომ იქნებ და
 დავიზაროთ და სადაც მოვხვდებით, როცა
 მოგვიხერხდება, სხვა თუ არაფერი,
 გასამხნეველად ეს მაინც ვუთხროთ ერთ-
 მანეთს:

„გამოგდის, ხო იცი!“

დასასრული

...
 — ახლა ერთი საქმე. ინდაურებს რა ვუყოთ? — იკითხა ქალმა და დაკეცილი ფურცელი უაკეტის ჯიბეში ჩაიღო.
 — უი, დედა, ინდაურები! — ლოყაზე ხელი იტკიცა მეორემ, — დავხოცეთ მშვივრები, ქალო!
 — ვაჭამე მე, — მესამემ, — სიმინდი დავუყარე.
 — ჰოდა, იმას ვამბობდი, რა ვუყოთ-მეთქი ინდაურებს? — ისევ დასვა კითხვა თავქალმა.
 — იყონ ასე ჯერ. ჯერ არავის ცალია მაგათვიინ...
 — დედა, რა მოუჭირა, ქალებო?! ნამნ-ვა ცხვირ-პირი!
 გამალებით, რალაცნაირად, საქმიანად თოვდა. დეკემბრის თოვლი — ყველაზე თოვლი, ადვილად დასადები, ძნელად დასადნობი — ამატებდა და ამატებდა, საათობრივ უბრუნებდა შნოს ნაფხურებდამჩნეულს, ნავალს, შელახულს...
 — აღარც აიღებს თებერვლამდე...
 — მოკლედ, რახან ვერაფერს მეუბნებით, ასე ვიტყვი მე, — თქვა ქალმა, — ჯერ ასე და მერე ისე არ უნდა ამ საქმეს. არც დიდი მოცლა და არდადაგები. თორმეტი ინდაურია სულ. ჰოდა, როგორც ყოველი ცხოველები სახალწლოდ, ისე დავყიდოთ ჩვენც, იმ ფასად.
 — სამ-სამ თუმნად?
 — ჰო. ოცდაათ-ოცდაათ ლარად. კი მოუწევს სამას სამოცი ლარი.
 — ისე დავინაწილოთ შე ქალო, რალად უნდა სანყალ მოსეს ჩვენი 360 ლარი! ბილეთი აქვს ასაღები იქამდი თუ სასტუმროს ქირას მოთხოვენ!
 რამდენიმე ჩაიფხუკუნა, ხელისგული ააფარა უადგილო სიცილს.
 — ნუ იცი შენ ნუპაკი ლაპარაკი, გოგო, — თავქალმა, — იმ თავის ნაშრომ და ნანვალზე ფულად ავდგებით და პატარა ქვას მაინც დავადგამთ! სოფელი ვართ თუ რა ვართ! რალი არ გვხედავს, წავგლიჯოთ მკვდარს მისი ნანვალები, ხომ?! ერთ საცივს გადავყალოთ სინდისი და ნამუსი?!
 — სწორია, სწორია, — ქალებმა, — ქვა დავადოთ, წავანეროთ ლამაზად...
 — ვიხუმრე, შე ქალო...
 — გლახა არც ხუმრობა ვარგა და არც არაფერი...
 ...
 ინდაურები მოწყენილად მდუმარებდნენ საქათმეში. უხალისოდ წაკენკეს უცხო ხელით შემოყრილი მარცვალი. არსად ჩანდა ბებრულად მოცახცახე, დაკოჟრილი, კეთილი და თითქოს მოლაპარაკე ხელები, რომლებსკენაც უფრო მიუხაროდან, ვიდრე საკენკისკენ. ამ ხელებს ზაფხულიდან ზამთრამდე შემორჩენოდან სურნელი მოხარშული, ქატოგარეული ჭინჭრისა, რომელსაც ზოგჯერ პირდაპირ ხელისგულიდან კენკავდნენ... მაშინ ინდაურები პატარა, ღინღლიანი ჭუკები იყვნენ. ოჰ, რა კარგი იყო ამ კეთილ ხელებთან თამაში, ზედ შეხტომა, ჩამოხტომა, ისევ შეხტომა, ისევ ჩამოხტომა... ან ორ ხელს შორის, როგორც ბუდეში, ისე მოყურებდა... ამ ხელებით დაყრილ მარცვალს სხვა გემო ჰქონდა. შეჩვეული... თანაც ის ნაცნობი, მოგურგურე ხმა! ის კეთილი ბუტბუტი და ჩიფჩიფი!...
 რალაც ხდებოდა.
 დარეტიანებულებივით დაბორიანობდნენ ინდაურები ბნელ, უფშურ და საშიმ საპყრობილედ ქცეულ საკუთარ სადგომში, აქამდე თბილსა და საიმედოში...
 ღრიჭოებიდან ცივი, სუსხიანი სითეთრე ატანდა ალესილ, სახიფათო ნამსხვრევებად.
 ...
 — როგორ არ ჰყავდა, შვილო, ყველაც ჰყავდა სანყალს... — კითხვაზე მიუგებდა ახალგაზრდა რძალს დედამთილი, — მე თვითონ ამ სოფლის რძალი ვარ და წინაპრების არაფერი ვიცი, მაგრამ ისე, როგორც ახლა მე შენ გეუბნები, ცხოვნებული ჩემი დედამთილისგან ვიცი, რომ ერთი და ჰყოლია, გაღმა გათხოვილი, კალმით ნახატი, ულამაზესი! აქაური ბიჭი ჰყვარებდა და გაღმელს კი მოუტაცნია. იმ ქმარს გლახა სიმთვრალე ჰქონია, ეჭვიანიც ყოფილა. ერთხელაც გაგიჟებულა და

ის საცოდავი თავისივე ნანწავით მოუხრჩვია.
 — ნანწავით?...
 — ნანწავით.
 — უიმე, — დაიზაფრა გოგო, მერე უცებ გაიცინა, — მგონია, თმა აღარ გავიზარდო ცხოვრებაში მაგის გამგონემ. მჭადებს აცხოვდნენ. დიდ ტაფაზე. პატარა, დახატულ კოკრებს. ხელისგულზე-ში ამრგვალდნენ, აბრტყელებდნენ გუნდებს. ხელები ჰქონდათ — მარდი და მოხერხებული, ოლონდ რძალს — პუტკუნა და ოდნავ გაუბედავი, დედამთილს — ხმელხმელი, მცოდნე, გაბედული.
 — ცოლიც ჰყავდა ცხოვრებულს. მე რომ მომიყვანეს, უკვე აღარ გამოდიოდა კარში. სახსრებმა დაადგო, ასე ვიცი და მე თუ მკითხავ, დარდმა დაადგო, სახსრები რას უზამდა... აბა, ერბინა ეზოში შვილიშვილებს, სახსრები თუ მოერეოდა... შვილის დარდმა მოიღწო, ამოროს ღმერთმა ყველას, შვილო...
 — ერთი ჰყავდათ?
 — ერთი. მე რომ მომიყვანეს, აღარ იყო უკვე... მაღარო ჩამონგრეულა და შიგ მოყოლილიყო... უიმე, გახედე, შენ შემოგველე, ხოარ გამოასვენეს საცოდავი... რამე შემოიცივი, ყინავს!
 გოგომ ფაჩურები გაიხადა, წითელ ბოტებში ნადვა ფეხები და გავიდა.
 შემოვარდა ჩამთბარ შუშაბანდში სუსხი და ფანტელი.
 ქალმა ცომიანი ხელები შეიფერთხა და სკამზე ჩამოჯდა.
 ცეცხლი ტკაცუნობს ღუმელში. წითლად მანათობელი სამკუთხა ათინათი

თამრი ფხაკაძე

ბოლო გზაზე

კინომოთხრობა



თამაშობს იატაკზე, ღუმლის კარწინ.
 ქალმა ცეცხლს თვალი გაუშტერა, ყოფნა-არყოფნის ფიქრმა წაიღო ცოტა ხნით.
 ...
 კაცები შემის საჩუხს შეჭარბებოდნენ. ორი-სამი მოხუცებული სკამებზე იჯდა.
 — რამდენით იყო ესე იგი თქვენზე უფროსი, სიმონ ბაბუა? — ზედ ყურთან ჩაეკითხა ყველაზე მცხოვანს ერთი, სიგარეტის ხელი განზე გაიშვირა თან.
 — რაო, ბაბუა? — თოვლის ფიფქივით მსუბუქად იჯდა სკამზე მოხუცი.
 — უფროსი, უფროსი რამდენით იყო-მეთქი მოსე, უფროსი!
 — კიი, უფროსი იყო, ბაბუა, აბა?
 — რამდენით, რამდენით!
 — ოთხმოცდაცხრის ვარ, ბაბუა, ოთხმოცდაცხრის.
 — ე ბიჭო, დაანებე თავი, არ ეყურება, ხო ხედავ!
 არ ანებებს თავს, მაინც ჩასძახის:
 — უფროსი რამდენით იყო მოსე, უფროსი!
 მორიდებულად, დაბნეულად ილიმება მოხუცი:
 — კიი, ძალიანი თოვია ბაბუა, ძალიანი...
 — აგერ არაა მოსეს პასპორტი, თუ ასე გაინტერესებს ხნოვანება? — გაცრეცილ პასპორტს უწვდის ერთი იმას, და-ჟინებულს, — ასის ხდებოდა მარტში.
 — ასის?!

რა გინდა ჩემგან!...
 — უჰ, ბეჩა ნაზი!
 — რა იყო, სულ ვიქნები თუ?
 — სულ ვინ ვიქნებით...
 — ძაან ხვატში და პაპანაქებაში სიკვდილს ამისთანაში მირჩევნია ისევ, — ფაშფაშა, მძიმე ქალი ამბობს. სიკვდილზე ლაპარაკისთვის შეუსაბამოდ ლოყებლავლაჟა, მკვირვსახიანი...
 — უი, ბეჩა! ახლა ამან დაიწყო! გაჩუმდით, გოგო...
 მთები, თეთრი მთები გარინდულან გარშემო. სუსხი და სითეთრე ეყვნის წკარუნით ამკვეთრებს ყველა ბგერას, შორს არ უშვებს, იქვე ტოვებს.
 შავი ძალი მიტუსტუსებს კაცების ფეხდაფეხ.
 — ინდაურების კარგად აგროვდა... — ქოლგებქვემ ამბობს ერთი, — სუყველა აქავე გაიყიდა, სოფელში.
 — მოსეს ინდაურს ვინ არ იყიდის, ქალო, ათასი შენი გყავდეს! დედა შვილს ვერ მოუვლის, ის იმათ უფლიდა...
 — აბა, სანყალი...
 — უთენია გადიოდა ჭინჭარზე ზაფხულში. ახალ-ახალს უკრეფდა სულ, უხარშავდა...
 — საკუთარი ხელით აჭმევდა, ქალო, პანია ბავშვებივით...
 — სანყალი...
 მიინვენ წინ.
 დიდი, რუხი ხომალდი მიცურავს თითქოს თოვლის ზღვაში. თოვლმჭრელი,

სახელად „მოსე ბაბუა“. წინ — მსუბუქი, იოლი კუბო მიიკვლევს გზას მარადისობისკენ, ერთი დიდი ხომალდის ცხვირი, სხვა რა!
 დედა მილიკლიკებს გასიპულ, დათოვლილ ქვებს შორის, დათოვლილ ნაპირებს შორის.
 ტკაც! თოვლი იფრქვევა მისი სიმძიმით ჩამოტეხილი ტოტიდან.
 — ქალებო, — ამბობს ერთი, — ამდენ პუტუნ-პუტუნს, სირცხვილია ჩვენი, ვიტყვით ეს სანყალი მოხუცებული ცოტა მაინც...
 — მართალია ისე...
 — ჰე, მანამ სოფელში ვართ... მანამ გავედიოთ...
 — დაიწყე და...
 — დაიწყოს ვინმე და...
 — შენ დაიწყე...
 — ჰე, დაიწყეთ რომელიმე...
 ვერ იწყებს ვერავინ.
 ასი წელი! ასი წელი! — ფარულ, შეუცნობელ ალტაცებად უდგათ გულბეში... იმ-ხელა ნუგეზად... იიიიხელა შევებად...
 — ვერ ვიწყებ ვერაფრით ქალებო და რა ვქნა! განა არ მეცოდება, მარა...
 — მეც ასე, გოგო...
 — მეც...
 — გასაკვირი, პირდაპირ, რა გაგვიხდა ერთი კურცხალი...
 არ ეტირებათ!
 ასი წელი... ასი წელი ბუნდოვანი, გაუაზრებელი სიხარულის სხივად უდგათ თვალებში და არა ცრემლად.
 ამა სოფლის სოფელში მდუმარე ხომალდი მიცურავს სითეთრეში.
 და უცებ ფრთების ფართქუნი მოისმის რომელიღაც ეზოდან. დიდი, თეთრი ინდაური ღობეზე შეფრენილა და კისერ-წამოწვდილი იმზირება ქვევით. მანძილს ზომავს, ყოყმანობს, გადმოფრინდეს თუ არა.
 და ხტება.
 ძნელად, მოუქნელად მოფართხუნობს თოვლში, პროცესიას ენევა და ლაღლაღით მოსდევს კუდში.
 მის ხმაზე მეორე ინდაური გამოიფხორება რომელიღაც შეღებული ჭიპკრიდან და მოიჩქარის...
 — ქალო, ვისი არიან ეს ინდაურები? — გამოცოცხლდა ქოლგისქვეშეთი.
 — ერთი ნანიკოსია, მეორე — ანდროსი...
 — ქმ! აქშიო!
 — აქმა! გაბრუნდით უკან! აქმა! აბა თუ ეყურებათ რამე!
 — ბეჩა, მიხედონ მაინც...
 — ვინ მიხედავს, შე ქალო, ნანიკო იქ დარჩა, ანდროსი კუბო მიაქვს...
 მესამე ინდაური მოიფხორება წისქვილსუკნიდან. მეოთხე მოჩანს ორ-ღობეში...
 — ესენი ვიდასია, ქალო...
 — არ ვიცი...
 ოთხი ინდაური მიჰყვება პროცესიას და ხმამალა ლაღლაღებს. კაცებიდან უკან იხედება რამდენიმე.
 — რა იყო, ვისები არიან...
 — აქმა, აქმა! — წითელ ქოლგას იქნევს ახალი პატარძალი.
 — დაინახე, ქალო, ჩემიც რო მორბის! მორბის, თოვლში ეფლობა და ისევ მორბის მესუთე ინდაური, მოლაღლაღებს გზად მოთქმით...
 და უცებ ერთი აზრი მოგუდულ ჩორქოლად მოვარდება!
 — მოსეს ინდაურებია!
 — ტირიან, ქალო, ტირიან!
 — პატრონს ტირიან!
 — დედააა, რას ვხედავ ამას!
 — ვაიმე, მოსე ბაბუა, რატომ არ ხედავ, რა ამბავია, რატომ არ გესმის!...
 — იქნება ხედავს კიდეც და ესმის კიდეც, ბევრი ვიციოთ ჩვენ...
 — ამისთანა არაფერი მინახავს...
 — დედააა, დამზურძგლა სულ...
 — გვაჯობს ინდაურებმა, ქალებო!
 — გვაჯობს, გვაჯობს...
 — მოსე ბაბუააააა... ამათ გამოხედეეეეეე, ამათი სიყვარული ნახ-ეეეეეეეე...
 წამოვიდა, წამოგორდა ალალი, გულიანი, დაუყვედრებელი ცრემლი. მიმქრალი ნადვერდალივით გაღვივდა, გახურდა გულები, დაინთო ცეცხლად სიყვარული...
 შედრკა სუსხი.
 შელღვა თოვლი...

მთარგმანი

ნანა ფურცელაძე

ახლახან გამომცემლობა „ქართულმა აკადემიურმა ნიგმა“ საინტერესო კრებული გამოსცა — „არაბი პოეტები V-XX სს“.

„არაბი პოეტები V-XX სს.“, როგორც წლის საუკეთესო თარგმანი, წარდგენილია ლიტერატურულ პრემიაზე „საბა“.

ქალბატონო ნანა, გახსოვთ თქვენი პირველი თარგმანი?

ჩემი სტუდენტობისას უნივერსიტეტში არსებობდა ახალგაზრდა მწერალთა წრე.

მოგვიანებით, საბჭოთა კავშირში ჩატარდა არაბული კულტურის დღეები.


ეს მაინც ფრამენტული შემთხვევები იყო. როგორც მთარგმნელმა, თანმიმდევრული მუშაობა არაბულ ტექსტებზე როდის დაიწყო?

სერიოზული მუშაობა თარგმანებზე „ათას ერთ ლამით“ დაიწყო. თუმცა იქამდე რამდენიმე ზღაპარი მქონდა თარგმნილი ისევე იმ საკავშირო ღონისძიებებისთვის.

პირველ ტომზე სამი წელი მუშაობდით. ნაწარმოები სათარგმნელად რთული იყო?

ზოგადად, ნებისმიერი ენიდან თარგმნა იოლი საქმე არ არის.

ტის პატარა ლექსსა და ჩემს რამდენიმე თარგმანს, არაბული ლიტერატურა ქართულ ენაზე თარგმნილი არ იყო.



მისი მთავარი მოთხოვნა რა იყო?

ამბობდა, თარგმანი უნდა იყოს ტექსტთან რაც შეიძლება ახლოს, მაგრამ იმავე დროს ქართულად უნდა იკითხებოდეს.

მისი მთავარი მოთხოვნა რა იყო?

ამბობდა, თარგმანი უნდა იყოს ტექსტთან რაც შეიძლება ახლოს, მაგრამ იმავე დროს ქართულად უნდა იკითხებოდეს.

ვახუშტი კოტეტიშვილი შემხვდა, მას ვთხოვე დახმარება და დავითანხმე კიდევც.


„ათას ერთი ლამის“ რვატომეულის ოთხი ტომი გადმოიღეთ ქართულად, ოთხი კი სხვამ თარგმნა. რატომ?

დაახლოებით ოცდაათი წელი მოვანდომე ოთხ ტომზე მუშაობას, დანარჩენი ოთხი კი თინა მარგველაშვილმა თარგმნა.



მაინც როგორია? როგორ ვითარდებოდა არაბული ლექსი?

არაბული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლები V საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება.



ვთქვით, სამი სტროფი, ერთნაირადაა გარითმული, მომდევნო სამი — სხვანაირად და ასე შემდეგ.

ქართულად თარგმნისას თქვენც, ანალოგიურად, ერთ თანხმოვანზე რითმავდით?

ცხადია, არა. ქართულშიც ასე რომ გარითმო, სრულებით უშინაარსო ტექსტს მიიღებ.

საინტერესოა, შუა საუკუნეების არაბული ლექსის ამა თუ იმ სახის გავლენა იმავე ეპოქის ქართულ პოემებშიც თუ იგრძნობა?

შუა საუკუნეებში და მითუმეტეს, უფრო ადრე, მოქმედებდა ერთგვარი კოლექტიური შემოქმედების პრინციპი — კომპოზიცია, საზომები, გამოთქმები, გამონათქვამები ერთი იყო.

„მოხეტიალე“ აფორიზმებზე ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

„ათას ერთი ლამის“ გამოცემით ვფიქრობ, თქვენი ოცდაათწლიანი მთარგმნელობითი საქმიანობის ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა.

ასეთი ნაშრომის შემდეგ, როგორც წესი, რაიმე უფრო მსუბუქ ლიტერატურას სთავაზობენ ხოლმე საზოგადოებას, მა-

ბანასლეხული „საგურამო“

თანამედროვე მხატვრულ პერიოდიკას კიდევ ერთი სქელტანიანი გამოცემა შეემატა – ლიტერატურული ჟურნალი „საგურამო“. უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი, რომ განახლდა მისი გამოცემა, რადგან აღმანახი 2001-2005 წლებში უკვე გამოდიოდა. ჟურნალის მხატვრულ-კონცეფციურ მიზანდასახულობასა და პერსპექტივებზე გვესაუბრება „საგურამოს“ მთავარი რედაქტორი ანდრო ბედუკაძე.

— ბატონო ანდრო, ახლახანს გამოვიდა განახლებული „საგურამოს“ მე-7 ნომერი. რა ისტორია აქვს ჟურნალს, როდის დაარსდა და რა პერიოდულობით გამოდიოდა?

— „საგურამო“ მეგობარ ლიტერატორებთან ერთად 2001 წელს დაეარსეთ. ამ დროს უკვე დაფუძნებული იყო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ილიას ფონდი“, რომელმაც ბევრ მნიშვნელოვან ნამოწყებასთან ერთად სალიტერატურო ჟურნალის გამოცემაც ითავა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჩანაფიქრით „საგურამო“ უნდა ყოფილიყო არა ტიპიური მხატვრული, არამედ უფრო ლიტერატურულ-ესეისტური და მთარგმნელობითი აღმანახი, რომელიც ფართოდ ასახავდა თანადროულ კრიტიკულ, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ აზროვნებას, გამოაქვეყნებდა მსოფლიო კლასიკური მემკვიდრეობის თარგმანებს. პირველი ნომრის სარედაქციო ნინათქმამიც ეს იდეა იყო გაცხადებული: „ჟურნალის მიზანი არის იმ საზღვროვანო სივრცის ორგანიზება, რომელიც დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, დანაწევრებული სახით არსებობს“. ჩვენთან სისტემატურად თანამშრომლობდნენ ისეთი ალიარებული მწერლები და ლიტერატორები, როგორებიც იყვნენ და არიან თამაზ ჩხენკელი, რევაზ თვარაძე, ზურაბ კიკნაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, დალი ფანჯიკიძე, ემზარ კვიციანი, ლალი ავალიანი, თამაზ ვასაძე და სხვანი. პირველივე ნომრიდან დაიწყეთ დოსტოევსკის „ძმები კარამა-ზოვის“ და თომას მანის „იოსები და მისი ძმების“, აგრეთვე, სხვა კლასიკურების თუ თანამედროვე ავტორების თარგმანების გამოქვეყნება. „საგურამომ“ მალევე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. მურმან ლებანიძისა და ტარიელ ჭანტურის ინიციატივით რუსთაველის საზოგადოებაში გაიმართა პირველი და მეორე ნომრების ხალხმრავალი პრეზენტაცია, სადაც ჟურნალი გამომავლეთა მალალი შეფასება დაიმსახურა.

— განახლებული ჟურნალი ზუსტად აგრძელებს ძველი ნომრების შინაარსობრივ თემატიკას და სტილისტიკას თუ შეიცვალა რამე?

— დიახ, ზუსტად აგრძელებს, თითქოს ათწლიანი წყვეტა არც ყოფილიყო. თქვენი ნებართვით, ვისარგებლებ შემთხვევით და დაწვრილებით ვისაუბრებ ახალი ნომრის შინაარსზე. ტრადიციული რუბრიკა „თანამდევნი სულები“ წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძის დღეისთვისაც აქტუ-


გრამ თქვენი მომდევნო მორიგი მხატვრული შეთავაზებაც საზოგადოებისადმი არანაკლებ მასშტაბური იყო. მიაშობთ როგორ მუშაობდით „მულაკებზე“.

— მულაკების კრებულში V-VII საუკუნეების პოეტები შედიან. ზოგიერთი ამბობს, ესენი ის მელექსეები არიან, მექაში პოეტურ პაექრობას რომ მართავდნენ, საუკეთესოთა ლექსებს კი ძვირფასს ქსოვილებზე წერდნენ და ასე წარმოაჩენდნენო. არაბულად სიტყვა „მულაკა“ დაკიდებულს, ჩამოკიდებულს ნიშნავს. შესაძლოა, სიტყვის ეტიმოლოგია მართლაც აქედან მოდოდეს, თუმცა ეს უფრო ლეგენდას ჰგავს. მეცნიერების, ლიტერატურის მკვლევარების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს, უბრალოდ, საუკეთესო პოეტების ლექსებია, ჩანერილი და სხვადასხვა კრებულებში თავმოყრილი ორი საუკუნის შემდეგ, „მულაკა“ კი „ყელსაბამის“, „წყობილი მარგალიტის“ ანუ ლექსის სინონიმია. კრებულებში თავმოყრილი ლექსების თითოეულ სიტყვას არაბი კომენტატორები განმარტავენ. სამი კომენტატორია, ხშირად მათი მოსაზრება ერთმანეთს არც ემთხვევა. თითოეულ კომენტატორს მეორის, მესამის განმარტება მოჰყავს, ერთს ეთანხმება, ან ამბობს, ალაჰმა უწყის ესა და ეს სიტყვა, სინამდვილეში, რას ნიშნავსო. ძალიან რთული ტექსტებია, არაბი კომენტატორების გარეშე დღეს სრულებით შეუძლებელი იქნებოდა მისი გაგება. ტექსტები, ცხადია, კომენტარებით ვთარგმნე, ამიტომ საკმაოდ დიდი ხანი მოვანდომე.

— არაბული ლიტერატურა რამდენიმე ეტაპად იყოფა. ისლამამდელ პოეზიაზე უკვე ვისაუბრეთ. თქვენს ახალ კრებულში შესულია ომანიანთა და აბასიანთა პერიოდის პოეტური ნიმუშებიც. მაინტერესებს, რა შეიცვალა VII საუკუნის შემდეგ, როგორ აისახა ისლამი არაბულ ლიტერატურაში?

— ისლამმა ერთგვარი ანტაგონიზმი გამოიწვია ზოგიერთ პოეტში, ბევრი მგობელი გამოაჩინა. როგორც იცით, ისლამი პოეზიას მწყარლად უყურებს, მაჰმადს პოეტები შეჩვენებული ჰყავდა, არადა, ყურანი რომ წაიკითხოთ, შეამჩნევდით, თავად როგორ ცდილობს ტექსტს პოეტურობა შესძინოს. ვინაიდან მონოთეიზმი, ზოგადად, წარმართობას ებრძვის, მაჰმადიც მოვიდა და დაუნყო ბრძოლა იმას, რაც არაბების წარმართულ ყოფაში უმთავრესი იყო — პოეზიას, პოეტებს. ისინი კი ყველაზე პატივცემული და დაფასებული ადამიანები იყვნენ იმდროინდელ საზოგადოებაში. მაგალითად, VI-VIII სს-ის მიჯნაზე მოღვაწე ავტორი ანთარა, გარდა იმისა, რომ ფაქიზ სასიყვარულო ლექსებს წერდა, ცნობილი მეომარიც იყო. ანთარას ამბები ხალხში იმდენად პოპულარული გახლდათ, რომ XII ს-ში ჯვაროსნული ომების დროს ზეპირი გადმოცემების საფუძველზე ოცდათორმეტკომიანი ხალხური რომანი „ანთარას ცხოვრება“ შეიქმნა. კრებულში ამ პოეტის ერთი ლექსი შევიტანე:

შენ გამახსენდი, როცა შუბები ჩემ სხეულში წყურვილს იკლავდნენ და ჩემი სისხლი დასდიოდნენ ინდურს, ორლესულს. ვისურვე ხელმა სატვერის პირს დაწაფებოდი, რადგან შენ ბავს მაგონებდა მახილთა ელვა.



ომიანთა და აბასიანთა ეპოქაში ისლამამდელ კასიდებში ჩანასახის სახით არსებული თემები ცალკე ჟანრებად განვითარდა ნატირალის, სატრფიალო, ღვივნის, ასკეტური პოეზიის სახით. გაჩნდა ე.წ. კარის პოეზია, ძირითადად პანეგირიკული ხასიათისა. ფორმის თვალსაზრისით არაბულ ლექსს დიდი ცვლილება არ განუცდია. ისლამამდელ ეპოქაში ჩამოყალიბებული ვერსიფიკაციული სისტემა XIX საუკუნის ბოლომდე ძალაში დარჩა.

— ევროპასთან კავშირებმა ალბათ დიდი გავლენა მოახდინა არაბული ლიტერატურის განვითარებაზე.

— როდესაც ნაპოლეონმა დაიპყრო ეგვიპტე, არაბებს გარკვეული კონტაქტები გაუჩნდათ დასავლეთთან. დაარსდა პრესა. პირველ გაზეთს „ეგვიპტის ახალი ამბები“ ერქვა. და შემდეგ, თანდათან დაიწყეს მსოფლიო ლიტერატურის თარგმნა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მათი კულტურის ისტორიაში. თარგმნეს ყველაფერი, რაც კი იქამდე ღირებული ყოფილა შექმნილი, დაწყებული ბერძნული ტრაგედიებიდან. ცხადია, ამან იქონია გავლენა მათ მწერლობაზე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მათთვის აღორძინების ეპოქა დაიწყო, განვითარდა ახალი ჟანრები, ახალი ფორმები, ლექსი გათავისუფლდა დადგენილი პოეტური სქემებისგან, წინასწარგანსაზღვრული თემატიკისგან, საზომებისგან, კომპოზიციისგან. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ არაბი პოეტების ერთი ნაწილი ისევ ცდილობს და მსუსურნეა იმ ძველ ყაიდაზე წეროს, თანამედროვე ავტორთა უმეტესობა თავისუფალ ლექსს ირჩევს.

— როგორ ჩაატოთ ერთ პატარა კრებულში მთელი არაბეთი?


— რა თქმა უნდა, სათაურის მიუხედავად, კრებული არ მოიცავს V-XX სს-ის ყველა არაბ პოეტს. მინდოდა, არაბული პოეზიის განვითარების დინამიკა მეჩვენებინა. აქ წარმოდგენილი პირველი ისლამამდელი პოეტის შანფარას (+550) ლექსი „არაბთა ლამია“ (ორიგინალში „ლასოზე“ გახლავთ გარითმული და სახელწოდებაც აქედან მოდის) საინტერესოა იმით, რომ მას ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“ უკავშირებენ. შანფარას „ლამია“ აღმოსავლეთმცოდნე სენკოვსკიმ XIX საუკუნეში თარგმნა. ეს გახლდათ ზუსტი თარგმანი, რომელიც პოლონელმა პოეტმა მიცევიჩმა გადაამუშავა სათაურით „ფარისი“. 1829 წელს „ფარისი“ ქართულად ს. რაზმაძემ თარგმნა. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ბარათაშვილის „მერანი“ სწორედ „ფარისის“ გავლენითა თუ „მომსგავსებითაა“ დაწერილი. მართალია, „ლამიასა“ და „მერანს“ აერთიანებს ტრაგიზმი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ორი სრულიად განსხვავებული ნაწარმოებია. შევეცადე, ორიგინალთან მაქსიმალურად ახლოს მეთარგმნა „არაბთა ლამია“. მისი და „მერანის“ ურთიერთმიმართების საკითხის განსჯა კი თქვენთვის მომინდვია. კრებულში შესული ლექსების თარგმანს წინ უძღვის მცირე ინფორმაცია თითოეულ პოეტზე. საერთოდ, არ მსურდა, მკითხველი გადამეღალა კლასიკური პოეზიის ნიმუშებით, ამიტომ მაგალითად, მულაკებიდან იქ ბევრი ლექსი არ შემიტანია იმიტომ, რომ შეიძლება თანამედროვე მკითხველს არც აინტერესებდეს „უდაბნოს პოეზია“ და უფრო მეტად XX საუკუნის პოეტების გაცნობა სურდეს. სწორედ მათი ლექსებით მთავრდება კრებული.

— თუ შეიძლება, XX საუკუნის პოეზიიდანაც გაგვაცანით ერთი ნიმუში.

— დიდი სიამოვნებით. კრებულში შესული თხუთმეტი ავტორიდან ერთადერთია ქალი — თანამედროვე პალესტინელი პოეტი დუნია ალ-ისმაილი. მაგალითისთვის, მის ერთ-ერთ ლექსს „შეხვედრა“ გაგაცნობთ:

ერთმანეთს შეხვდით მერე, მთელი ამ წლების შემდეგ. მე გავიღიმე. იმანაც გამოიღმა. — როგორ ხარ? — მკითხა — კარგად, — მივუგე... — და შენ? — მეც კარგად... რამე ხომ არ გინდოდა? — გამადლობთ, — ვთქვი მე. ის წავიდა. მე თვალეში ცრემლი ჩამიდგა.

ესაუბრა თამარ ჟურული



ალურ წერილს ლიბერალიზმის შესახებ. ამირან გომარტელის ნაშრომი ილიასა და აკაკის ფარული მხატვრული პოლემიკის საკითხებს ეძღვნება, ემზარ კვიციანიშვილის ესეე თენგიზ მირზაშვილის, რევაზ ინანიშვილისა და სხვა ცნობილ მოღვაწეთა სილუეტებს წარმოაჩენს, ქვეყნდება ფრაგმენტები როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური“, რუბრიკით „თვალსაზრისი“ დაბეჭდილია არქიმანდრიტ ილარიონის უაღრესად საინტერესო მასალა ქართული ანბანისა და ციფრების შესახებ, ლევან ბრეგვაძე არტურ ლაისტის უცნობ დაუმთავრებელ მოთხრობაზე გვესაუბრება, ივანე ამირხანაშვილი კი დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის მემუარულ წიგნს ეხმაურება. „ახალი თარგმანების“ რუბრიკით ქვეყნდება ეფენ იონესკოს რომანი და ნაჯზბ მაჰმუდის მოთხრობა, აგრეთვე, ვრცელი საუბარი მარტინ ჰაიდელგერთან და დიმიტრი ლიხაჩოვის „შენიშვნები რუსულ ხასიათზე“.

— სამომავლო გეგმებზე რას იტყვით, წელიწადში რამდენ ნომერს სპირდებით მკითხველს და რა სახის მასალებით გამოქვეყნება გაქვთ განზრახული?

— წელიწადში ექვსი ნომრის გამოცემა დაგეგმილი. ჟურნალი კვლავაც კლასიკაზე იქნება ორიენტირებული. დღეს უამრავი წიგნი გამოდის ბაზარზე, თარგმნილიც და ორიგინალიც, მათი შეფასება კი არ ხდება. ძირითადად ითარგმნება თანამედროვე უცხოელ ავტორთა ნაწარმოებები, საყოველთაოდ ცნობილი კლასიკური ლიტერატურა კი კვლავაც უთარგმნელი ან ხელახლა სათარგმნელია. შეიძლება გოეთეს, ჟან-ჟაკ რუსოს და, თუნდაც, მარსელ პრუსტის ნიგნები არ გვეკონდეს ქართულად? აღარაფერს ვამბობ კრიტიკულ და ესეისტურ ლიტერატურაზე. „საგურამო“ შეეცდება შეძლებისდაგვარად თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ დიდ საქმეში და მკითხველს მიაწოდოს მსოფლიო ლიტერატურისა და ჰუმანიტარული აზროვნების საუკეთესო ნიმუშები. განზრახული გვაქვს „საგურამოს“ ბიბლიოთეკის დაარსებაც. ჟურნალი რასაც დაიტევს, ხომ კარგი, დანარჩენი კი ამ სერიით წიგნებად გამოიცემა, რაც დიდი სტიმული იქნება მთარგმნელთათვის. ასე რომ, გვაპატიონ ჩვენმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა, მათ მხატვრულ ქმნილებებს რომ ვერ დავბეჭდავთ ჟურნალის სპეციფიკის გამო. სამაგიეროდ, ველოდებით ახალ-ახალ კრიტიკულ-ესეისტურ და პუბლიცისტურ ნაშრომებს, თარგმანებს, რეცენზიებსა და ბიბლიოგრაფიას.

ესაუბრა ელენე ადამაშვილი

მწერალთა სახლში გიორგი კეკელიძის ახალი კრებულის — „პოეზია 2008-2013“ — პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი გამოცემლობა „სიესტამ“ გამოსცა. პრეზენტაციის ორგანიზატორებმა პრესისა და ტელევიზიის ჟურნალისტებისთვის მოამზადეს პრესრელიზებიც, რომელშიც პოეტისა და მისი შემოქმედების შესახებ

კეკელიძის პოეზია, დისკუსიები ფამუქა და სვედელიძის „ნამასტი“



მოკლე ანოტაცია იყო განთავსებული და შეახსენეს მათ, რომ პოეტს, ესეისტს, ელექტრონული ბიბლიოთეკა lib.ge-ს დამფუძნებელსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს გიორგი კეკელიძეს გამოცემული აქვს არაერთი კრებული, არის 2009 წლის პრემია „საბას“ ლაურეატი, ასევე — „ოქროს ფრთისა“ და მუშვიტის საერთაშორისო პრემიების მფლობელი. ახალი წიგნი კი, როგორც „სიესტამ“ წარმომადგენელმა პრეზენტაციაზე განაცხადა, პოეტის რამდენიმეწლიანი შემოქმედების შეჯამებაა და, შეიძლება ითქვას, გამოცემლობასთან მისი ნაყოფიერი თანამშრომლობის ერთგვარი დასტურიცაა.

გრამ ქართულ ლიტერატურაში ამ მიმდინარეობას თავისი სახე აქვს, ვფიქრობ, ამასი გიორგის წვლილი დიდია. ვკითხულობ მის ლექსებს და ვფიქრობ, რომ პოეტი ერთზე წერს, მკითხველი კი სულ სხვას ნაიკითხავს ალბათ. ყველა დროის მკითხველი სხვადასხვანაირად აღიქვამს მის ტექსტებს. ეს პოეზიის ხანგრძლივობის ნიშანია... ის სიტყვას აფასებს, შესანიშნავი ვერსიფიკატორია, რომელსაც სინამდვილის თავისებური ხედვა აქვს“...

სალამო გიორგი კეკელიძის ლექსებით გაგრძელდა.

ბრძელდება პროექტი „დისკუსიები თანამედროვე რომანზე“. ამჯერად საზოგადოება მწერალთა სახლში ორჯან ფამუქის ნაწარმოებებზე სასაუბროდ შეიკრიბა. სალამოს დავით გაბუნია უძღვებოდა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ ლაშა ბულაძე, ირმა ტაველიძე და გიორგი ლობჯინიძე. ისინი შემთხვევით არ მოუწვევიათ — ლაშა ბულაძე წარმოადგენდა მკითხველს, რომელსაც მოსწონს ფამუქი და, როგორც მწერალი, პროფესიონალის თვალთ აფასებს მის შემოქმედებას; ირმა ტაველიძე ერთ-ერთ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის „ფამუქომანის“ ავტორია და კარგად ერკვევა იმ მიზეზებში, რომელმაც ჩვენში თურქი მწერლის ასეთი სიყვარული განაპირობა; გიორგი ლობჯინიძე კი, როგორც ლიტერატორი, წარ-

ციკლიდან „დისკუსიები თანამედროვე რომანზე“

ორჯან ფამუქი – სენტიმენტალური და გულუბრყვილო რომანისტი

დისკუსიის მონაწილეები: ლაშა ბულაძე, მწერალი, ირმა ტაველიძე, მწერალი, მთარგმნელი გიორგი ლობჯინიძე, პოეტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი მოდერატორი: დავით გაბუნია, დრამატურგი, მთარგმნელი

დასაწყისი: 27 მარტი, 19:00
დასრულება თავისუფალია

მწერალთა სახლი, თბილისი, შაბაძის ქ. 13

მოადგენდა პროფესიონალ მკითხველთა იმ ნაწილს, რომელსაც არ მოსწონს მწერალი და ამისთვის არგუმენტებიც მრავლად აქვს. დისკუსიას ესწრებოდნენ ფამუქის ქართველი მთარგმნელები და, რა თქმა უნდა, მისი რომანების ერთგული მკითხველი.

დისკუსიას საგანგებოდ დაერქვა „სენტიმენტალური და გულუბრყვილო რომანისტი“ — ფამუქის არაჩვეულებრივი, 2010 წელს გამოცემული წიგნის „გულუბრყვილო და სენტიმენტალური რომანისტი“ ოდნავ შეცვლილი სახელი. წიგნი აერთიანებს ორჯან ფამუქის მიერ ჰარვარდის უნივერსიტეტში ნაკითხული ლექციების კურსს რომანისტიკაზე, რომანების კითხვისა და წერის ხელოვნებაზე. როგორც დავით გაბუნია აღნიშნა, ეს წიგნი აუცილებლად უნდა ნაიკითხონ ფამუქის მოყვარულებმა და მათაც, ვისაც ის არ უყვარს, ვინაიდან წიგნი მისი შემოქმედების გასაღებია და უჩვენებს მკითხველს გზას, რომელსაც თურქი ნობელიანტი 35 წლის წინათ რომანით „ჯვედეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ შეუდგა.

ფამუქი „არ ესაყვარლება“, მაგრამ ის შესანიშნავად იცნობს მის შემოქმედებას. როგორც გაირკვა, ნობელიანტი მწერალი ლობჯინიძისეული შეფასების ოთხ საზომს ვერ აკმაყოფილებს: პირველი — ნაწარმოების რიგში და მწერლისგან მისი ფლობის უნარი; მეორე — რამდენად ცოცხალია პერსონაჟი და რამდენად არასქემატურია იგი; მესამე — მხატვრული ენა, მეოთხე კი — სიუჟეტი. გიორგი ლობჯინიძეს ოპონენტები დარბაზშივე გამოუჩნდნენ. დისკუსია გვიანობაზე გაგრძელდა.

ბესო სვედელიძემ მკითხველები თავისი ახალი წიგნის — „ნამასტი“ — პრეზენტაციაზე მიიპატიჟა. წიგნი „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობამ“ გამოსცა. „ნამასტი“ საზოგადოებას ავტორთან ერთად გიორგი კაკაბაძემ წარუდგინა. მან დასაწყისშივე თქვა, არ ვიცი, რაზე უფრო მეტი ვილაპარაკო, ბესოზე თუ მის შემოქმედებაზე და საზოგადოებას შეახსენა მწერლის შემოქმედებითი გზა — სხვადასხვა დროს- გამოცემული კრებულები და მიღებული არაერთი ლიტერატურული პრემია. „ბესოს შემოქმედება საფუძველს იღებს რეალობისგან,“ — აღნიშნა მან, — „თუმცა მწერლის ხელში ის საოცრად ტრანსფორმირდება, სიურრეალისტურ ფორმებს იღებს. ალბათ იმიტომ, რომ ბესო სვედელიძის პერსონაჟები გაურბიან რე-



პირველი სიტყვა ლაშა ბულაძეს ერგო. მიუხედავად იმისა, რომ ბულაძის შემოქმედება სრულებით არ ჰგავს ფამუქისას, მას, როგორც მკითხველს, მოსწონს ფამუქი: „ძალიან დიდი ხნის წინ ნაწიკითხე. პირადად ჩემთვის, მისი ყველაზე გამორჩეული რომანია „მე წითელი მქვია“. ავტორს აქვს განსაკუთრებული სტილი, ახასიათებს განსაკუთრებული სიტოზო და ძალიან მალე იქცევა ხოლმე მკითხველის საყვარელ მწერლად. ბევრი კარგი მწერალია, მაგრამ ისინი ვერ გესაყვარლებიან, ფამუქი კი თავიდანვე ასეთია“.

ირმა ტაველიძემ გაიხსენა, რას პასუხობდნენ ქართველი მკითხველები, როცა ის ფამუქით გატაცების მიზეზებზე ეკითხებოდა: „ის ჩვენია“... ირმა საუბარი სწორედ ამ კონტექსტში გაგრძელდა — რატომ უყვარს ფამუქი საქართველოში, რატომ მიიჩნევენ მას „თავისიანად“. ირმა ისაუბრა იმ თემებზე, პრობლემებიცაა, ყოფასა და ურთიერთობებზე, რის გამოც ქართველები ფამუქის ნაწარმოებებში აღწერილ გარემოსთან თუ პერსონაჟებთან ბევრ საერთოს პოულობენ.

გიორგი ლობჯინიძემ მიმოიხილა ფამუქის შემოქმედების დადებითი მხარეები, პოპულარობის მიზეზებზე ისაუბრა. ის, რომ მან ამდენი ადამიანის გული მოიგო, მის მასშტაბურობაზე მიუთითებსო, — აღნიშნა. თუმცა, გიორგის აზრით, ფამუქის ამგვარი პოპულარობის მიზეზი ისიცაა, რომ საქართველოში თურქოლოგიის ძალიან კარგი სკოლა არსებობს და, შესაბამისად, მისი რომანები საუკეთესო თურქოლოგებმა თარგმნეს, ეს კი ილბალია. მართალია, გიორგი ლობჯინიძეს

ალობას და მწერალი კი, თავის მხრივ, რეალისტურ ფორმებს გაურბის“.

ბესო სვედელიძის წიგნი ნეპალს ეძღვნება, მისი გაქცევის ადგილს, ადგილს, რომელზეც, ავტორის აზრით, წიგნები უნდა იწერებოდეს და რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებ. ბესო წიგნზე მუშაობის დასაწყისშიც გაიხსენა: „წელიწადნახევრის წინ დაწერე რაღაც თავები, ვარიანტები. მესამე პირში ვწერდი, მაგრამ მივხვდი, რომ გულწრფელობა აკლდა, ამიტომ პირველ პირში თხრობა ვარჩიე. წიგნი გზამკვლევიც დაგაჩქი. ეს ნაწარმოები, შეიძლება ითქვას, ორი ტექსტისგან შედგება, ერთი ჩვეულებრივი მხატვრული ისტორიაა ორ ადამიანზე, ორ მეგობარზე, რომელნიც ნეპალში მოხვდებან, ხოლო მეორე — დოკუმენტური ისტორია, რომანია ამ ქვეყნის შესახებ. წიგნი თავი მოეუყარე ყველაფერს, რასაც ნეპალსა და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე ვუყვები ხოლმე ადამიანებს...“

ავტორი შეეცადა, წიგნის სათაურად შერჩეული სიტყვის — „ნამასტი“ — მნიშვნელობით აესხნა დამსწრეთათვის, რა ხიბლავდა მწერალს ნეპალელ ხალხში. „ნამასტი“ ნიშნავს გამარჯობას, ნახვამდისაც, ერთმანეთის მოკითხვასაც, თუმცა მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა გაცილებით ღრმაა და იტყვს საოცარ სიყვარულს ადამიანისადმი, სამყაროსადმი, ის დაახლოებით ასე უდერს: „მე შენში ვხედავ ღმერთს, მე შენში მიყვარს ღმერთი, ჩემი სული პატივს სცემს შენს სულს... ჩვენ ერთნი ვართ“.

მოამზადა თამარ ჟურულმა

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com